გრ. მუშიშვილი

კლასთა გრძოლა
და
პროლეტარიატის დიქტატურა

სახელმწიფო გამომცემლობა

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა

გარდამავალი პერიოდი, როგორც ისტორიულ განვითარების განსაკუთრებული, აუცილებელი საფეხური, თითონაც ხასიათდება გარდამავალი ხანით.

გარდამავალი ხანა გარდამავალ ხანაში — ლენინს ეკუთვნის ეს გამოთქმა.

რაში მდგომარეობს ეს ცნება, რა არის მისი შინაარსი?

გარდამავალი ხანის „გარდამავალი ხანა" მრავალნაირ საზოგადოებრივ მოვლენას შეიცავს. ამ მოვლენათა საერთო დახასიათება, ზოგადი ფორმულა ასეთია: პროლეტარიატის რევოლუციონური დიქტატურის მანძილზე, ძველი, ბურჟუაზიული საზოგადოების ახალი, სოციალისტურ საზოგადოებათ გარდაქმნის პროცესში, მოკლეთ — სოციალიზმის მშენებლობის გზაზე, ხშირათ მრავალი დაბრკოლება წამოიჭრება, მნიშვნელოვანი სოციალური გართულება წარმოიშვება.

რასაკვირველია, ეს გართულება მთელი გარდამავალი პერიოდის, პროლეტარიატის დიქტატურის დამახასიათებელი როდია. ის არ მოასწავებს სოციალიზმის კრიზისს, არ არის ამ კრიზისის მაჩვენებელი, საზომი.

ეს საზოგადოებრივი მოვლენა, სოციალურ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, თან ახლავს სოციალიზმის გაძლიერებულ შენებას.

ეს არის კრიზისი ზრდის და არა დაცემის, დაქვეითების. ესაა გარდამავალ პერიოდის „საუმაწვილო ხენი".

სწორეთ ასეთი „გარდამავალი ხანაა" გარდამავალ ხანაში კლასთა ბრძოლის გართულება. პროლეტარიატის დიქტატურის მიმდინარე საფეხურზე, სოციალიზმის მშენებლობის თანამედროვე პირობებში საზოგადოებრივ კლასთა ურთიერთობა საკმაოთ გართულდა.

კლასთა ბრძოლა შედარებით გამწვავდა.

ასეთია დღევანდელი სინამდვილე.

ჩვენი მიზანია მოვნახოთ ამ სინამდვილის სოციალური ფესვები, გავარკვიოთ კლასთა ბრძოლის პრობლემა გარდამავალ პერიოდში, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში.

უნდა ითქვას, ეს პრობლემა საკმაოთ გაურკვეველია თეორიულად და მრავალთათვის ბუნდოვანია პრაქტიკულადაც. ამის ფაქტი მრავალზე უმრავლესია.

აშკარაა, არ გამოვსთქვამთ კლასთა ბრძოლის მეტად რთულ და მძიმე პრობლემის ყოველმხრივ გაშუქების სურვილს. არ ვაცხადებთ ამ პრობლემის ამოწურვის პრეტენზიას.

სრულებითაც არა.

ჩვენი სურვილია დავაყენოთ საკითხი სწორათ და შევეცადოთ მის გადაჭრას.

ამის იქით არ მივდივართ და გზის გაგრძელებას სხვებს ვუთმობთ სიამოვნებით.

პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლესი პრინციპი, საბჭოთა კავშირის პირობებში, ესაა პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის კავშირის განმტკიცება.

ასე ამბობდა ლენინი.

კლასთა ბრძოლის საკითხის გადაჭრა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, რა ურთიერთობასა და დამოკიდებულებაში იქნება „ადამიანი სოფლიდან" სოციალისტურ პროლეტარიატთან.

სწორი ურთიერთობისა და დამოკიდებულების მტკიცე საფუძველია სოციალიზმის გაძლიერებული მშენებლობა.

დიქტატურის ამოცანაა გადაუვანილ იქნას სოციალიზმის გზაზე ქალაქისა და სოფლის წვრილი მეურნეობა, საქონლის წვრილი წარმოება.

ამ ისტორიულ ამოცანასთანაა დაკავშირებული კლასთა ბრძოლის საკითხის ამოწურვა.

ამიტომაც საკმაოთ დიდ ყურადღებას ვაქცევთ სოფლის წვრილი მწარმოებლის პრობლემას, ვარკვევთ გლეხობის ადგილს პროლეტარიატის დიქტატურის საერთო სისტემაში.

საკითხის ასე დაყენება მიგვაჩნია სწორათ. ხოლო რამდენათ სწორათაა ეს საკითხი გადაჭრილი, ამას თვით მკითხველი დაინახავს.

დავაგროვეთ დიდძალი ფაქტიური მასალა, რომელიც საზოგადოებრივ კლასთა ურთიერთობას ასურათებს. ამ მასალით ვისარგებლეთ ძირითადი დასკვნების გამოყვანის დროს. თვით მასალა კი ველარ აღვნუსხეთ.

ეს შორს წაგვიყვანდა უსათუოდ.

გზის მოჭრა ვამჯობინეთ: გვერდი ავუხვიეთ საკითხის გაჭიანურებას, ფაქტების დასახელებას, რომლებსაც ბევრი მკითხველი იცნობს უშუალოდ.

საერთოდ, კლასთა ბრძოლის გართულების პირობებში წერა და ლაპარაკი როდია უმთავრესი.

მოსწრებულად შენიშნა კ. მარქსმაც, როცა სთქვა: „ნამდვილი მოძრაობის თითოეული ნაბიჯი უფრო მნიშვნელოვანია დუჟინ პროგრამაზე"-ო.

უდაო ჭეშმარიტებაა ეს. ამ ჭეშმარიტებით ხელმძღვანელობს ყოველი მარქსისტი, ლენინელი.

მაგრამ, ცხადია, არ არის უსარგებლო იმის გარკვევა, იმაზე წერა, რაც პრაქტიკულ საქმიანობის საგანს შეადგენს, „ნამდვილ მოძრაობის თითოეულ ნაბიჯს" წარმოადგენს.

პირიქით, ეს საჭიროც არის და აუცილებელიც.

აქაშია, საერთოდ, რევოლიუციონური თეორიის დანიშნულება.

დაკვირვებული მკითხველი, ალბათ, მრავალ ნაკლს შეამჩნევს.

ჩვენც ვგრძნობთ მათ, მაგრამ ვერ ვხედავთ: ძნელია საკუთარი უურების დანახვა.

ამისათვის საჭიროა სარკე, მაგრამ არა ელამი, ჩეხოვისებური!

სწორ საზოგადოებრივ სარკეთ ჩვენ მხოლოდ ობიექტიური, საქმიანი კრიტიკა მიგვაჩნია.

ა ვ ტ ო რ ი

მოსკოვი. მაისი, 1929.

ლენინის ინსტიტუტი.

კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ა დ ა
პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა

I

კლასთა ბრძოლა მიმდინარე პერიოდში

სოციალიზმის მშენებლობის მიმდინარე საფეხურზე ჩვენ ვხედავთ გარკვეულ სოციალურ ფაქტს — სწარმოებს საზოგადოებრივ ძალთა გადაჯგუფება, მწვავდება საზოგადოებრივ კლასთა ურთიერთობა, ღრმავდება კაპიტალისტურ და სოციალისტურ ელემენტების ბრძოლა.

კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ა მ ი მ დ ი ნ ა რ ე პ ე რ ი ო დ- შ ი ს ა გ უ ლ ი ს ხ მ ო თ გ ა რ თ უ ლ დ ა, გ ა მ წ ვ ა- ვ დ ა.

რასაკვირველია, კლასთა ბრძოლის გართულების ფაქტი არ არის შემთხვევითი და მოულოდნელი. მას მოეპოება შესაფერი საფუძველი, სათანადო ნიადაგი, ღრმა ობიექტიური პირობები. ამიტომ შეუძლებელია ამ უაღრესად მნიშვნელოვან სოციალურ მოვლენის ახსნა-განმარტება წმინდა სუბიექტიური თვალსაზრისით, მით უმეტესად — წინასწარ მოფიქრებულ და საგანგებოთ შეთხზულ თეორიით.

მეტად მარტივია ამ თეორიის დედა-აზრი, დაბალია მისი მეცნიერულ-მარქსისტული ღირსება. ამ „თეორიის" მიხედვით კლასთა ბრძოლის გართულების ფესვები სუბიექტიურ პირობებში უნდა ვეძიოთ. სახელდობრ — შემცდარია სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკული პოლიტი-

კა, სწორი არ არის პარტიისა და ხელისუფლების ხ ე ლ-მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ა. ეკონომიურ პოლიტიკისა და პარ-ტიულ ხელმძღვანელობის შეცდომები — აი რა არის კლასთა ურთიერთობის გამწვავების, კლასთა ბრძოლის გართულების ძირითადი მიზეზი. გამარჯვებული პროლე-ტარიატის და მისი პარტიის ეკონომიური და პოლიტიკუ-რი კურსი სწორი არ არის, შემცდარია და ამ შემცდარ კურსიდან გამომდინარეობს საზოგადოებრივ კლასების ბრძოლის გამწვავებაც გარდამავალ პერიოდში. ასეთია ამ თეორიის შინაარსი.

ჩვეულებრივი ობივატელისა და მსუბუქი აზროვნების ბუნებას სავსებით ეთანხმება უდიდეს სოციალურ მოვლე-ნის ასეთი გაგება. მიმდინარე სამეურნეო სიძნელენი, სასუ-რსათო და, საერთოდ, საქონლის მიწოდების კრიზისი, კლა-სთა ბრძოლის გართულება საკმაოდ არყევს ობივატელის გონებას. როგორც ვიცით, ობივატელი მოკლებულია სა-ზოგადოებრივ ინტერესს, საზოგადოებრივ თვალსაზრისს. მისი ინტერესია ყველაფერი, რაც — ჟ. გ ე დ ი ს მოსწრე-ბული შენიშვნის არ იყოს — კუჭისა და კუჭის ქვეშ იმ-ყოფება. აი რატომ ახდენს სამეურნეო კრიზისი და საზო-გადოებრივ ძალთა დაპირისპირება გამანადგურებელ შთა-ბეჭდილებას ყოველგვარი ჯურისა და რანგის ობივა-ტელზე.

სამწუხაროთ, ჩვეულებრივი ობივატელი ნიადაგს უმ-ზადებს სასოწარკვეთილებას, კურდღლის მშიშარობას სო-ციალურ განვითარების ასპარეზზე. იბადება პესიმიზმი, იკარგება გამბედაობა, ირყევა სოციალიზმის გამარჯვების მტკიცე იმედი, წამოიჭრება უ კ ა ნ დ ა ხ ე ვ ი ს სურვი-ლი. ასეთია მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ო ბ ი ს „საყმაწვილო სენი“ საერთაშორისო და, კერძოთ, რუსულ კომუნიზმში...

ცხადია, კლასთა ბრძოლა გართულდა მიმდინარე პერიოდში. ბრძოლის გამწვავებას ადგილი აქვს განსაკუთრებით ს ო ფ ლ ა დ. აქ სოციალური ფენები მწვავეთ დაუპირისპირდა ერთმანეთს. სოფლის მეურნეობის სოციალისტური ელემენტი მწარეთ შეებრძოლა კაპიტალისტურს, და პირიქით... ბრძოლამ ფართო საზოგადოებრივი ხასიათი მიიღო. ჩვენი ყოველდღიური პრესა სავსეა კლასთა ბრძოლის გართულების ფაქტებით. არ მოვიყვანთ მაგალითებს, კერძო შემთხვევებს, დამახასიათებელ ილიუსტრაციებს. აღვნიშნავთ მხოლოდ: საბჭოთა არჩევნებში, პურის დამზადების კამპანიაში, კოოპერაციაში დიფერენციალურ პაის შემოღებასა და მრავალ სხვა საზოგადოებრივ სახელმწიფოებრივ საკითხებში მთელი თავისი სიშიშვლით და სიცხადით გამოაშკარავდა ანტისოციალისტურ ელემენტების გამწარებული ბრძოლა თავიანთი კლასიურ ინტერესების დასაცავად. ბრძოლის ლოღიკას არ აქვს საზღვარი. სოფლის კაპიტალისტური ელემენტები ჯერ სცდილობდნენ — და სცდილობენ საშუალო გლეხების მიმხრობას, მათ გადმობირებას. რა თქმა უნდა, არც ღარიბი გლეხების „დამუშავებას" გაურბოდენ და გაურბიან თითოულ ხელსაყრელ შემთხვევაში. მაგრამ ამ ფანდმა ვერ გასჭრა, ღარიბ და საშუალო გლეხობის კავშირი მტკიცე აღმოჩნდა. საბჭოებშიაც კულაკები ვერ გაძვრენ, მათი გავლენა ძალზე უმნიშვნელო აღმოჩნდა. ახლა ბრძოლის ხერხიც შეიცვალა — კულაკური ფენები იარაღსაც კი აჟღარუნებენ სოფლის პროლეტარულ ელემენტებისა და პროლეტარულ ხელისუფლების წინააღმდეგ.

ეს არის კლასთა ბრძოლის გამახვილების უ მ ა ღ ლ ე ს ი წ ე რ ტ ი ლ ი საზოგადოებრივ განვითარების თანამედროვე საფეხურზე.

არის თუ არა კლასთა ბრძოლის გართულება ჩვენთვის. მ ო უ ლ ო დ ნ ე ლ ი? ცხადია, არა. კლასთა ბრძოლის გამწვავება ჩვენთვის არ არის მოულოდნელი, არც შემთხვევითი, გაუთვალისწინებელი საზოგადოებრივი მოვლენა. პირიქით, კლასთა ურთიერთობის გართულება ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ც არის სოციალისტურ მშენებლობის გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ პერიოდში. ეს არის კლასიურ, პროლეტარულ პოლიტიკის ფ ა რ თ ო დ, ღ რ მ ა დ და ს ა ფ უ ძ ვ ლ ი ა ნ ა დ გ ა შ ლ ა-გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს პ ე რ ი ო დ ი. მტკიცეთ ჩამოსხმული კლასიური ხაზი, მტკიცე სოციალისტური პოლიტიკა განსაზღვრულ პირობებში „აამოძრავებს" ყველა სოციალურ ფენას, განსაკუთრებით — კაპიტალისტურ ჯგუფებს. კულაკი, ნეპმანი და „ძმანნი მათნი" მაშინ „იღვიძებენ", „ამხედრდებიან", ერთი სიტყვით—კლასიურ თავდასხმაზე გადადიან, რ ო ც ა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ პ ო ლ ი ტ ი კ ი ს ს უ ს ხ ს მ წ ა რ ე თ ი გ რ ძ ნ ო ბ ე ნ. სოციალისტურ მშენებლობის განსაზღვრულ საფეხურზე რამდენად მტკიცეა და შეუპოვარი პროლეტარულ კლასიური პოლიტიკა, იმდენად აუცილებელი ხდება თვით კლასთა ბრძოლის გართულებაც. კლასიური პოლიტიკის დაჩლუნგება, კლასიურ-პროლეტარულ ხაზის გამრუდება, სოციალისტურ მშენებლობის შენელება, ამ მშენებლობის მეტად ნელი, შეუმჩნეველი მაჯის-ცემა — აი რა არის„ კლასთა ჰარმონიის" მთავარი დროებითი ნიადაგი და სოციალ-ეკონომიური საფუძველი.

რასაკვირველია, ყოველ აშკარა, ნათლად გარკვეულ საკითხის გაყალბება, ყალბად წარმოდგენა ადვილად შეიძლება. საერთოდ, ვულგარიზაცია გაცილებით ადვილი, იოლი საქმეა, ვინემ დასმულ საკითხის სწორად გაგება და შეთვისება. სრული სიყალბე და ვულგარობა იქნება ჩვენ

მიერ წამოყენებულ დებულებიდან ასეთი „დასკვნის“ გამოყვანა: — მაშ, რამდენად ვ უ ა ხ ლ ო ვ დ ე ბ ი თ სოციალიზმს, იმდენად ვითარდება კლასთა ბრძოლაც! ცხადია, ასეთი დასკვნა უნიადაგო სოფისტიკაა და მას არაფერი აქვს საერთო საკითხის მარქსისტულ შემეცნებასთან. რამდენად ვ უ ა ხ ლ ო ვ დ ე ბ ი თ სოციალიზმს, იმდენად კი არ მწვავდება კლასთა ბრძოლა, არამედ ნ ე ლ დ ე ბ ა დ ა ი ს პ ო ბ ა ეს ბრძოლა. სოციალიზმი კლასთა ბრძოლის, კლასების არსებობის უარყოფაა. სოციალიზმი უკლასო საზოგადოებაა. დღეს კი ვცხოვრობთ კლასიურ სახელმწიფოში. და აი აქ საკითხიც ასე ისმება: რ ა მ დ ე ნ ა დ კ ლ ა ს ი უ რ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა შ ი ვ ი თ ა რ დ ე ბ ა კ ლ ა ს ე ბ ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მ ი მ ა რ თ უ ლ ი — ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი პ ო ლ ი ტ ი კ ა, ი მ დ ე ნ ა დ ა ც „გ ა ი ბ რ ძ ო ლ ე ბ ს“ ის კ ლ ა ს ი, რ ო მ ე ლ ი ც მ ტ ე რ ი ა კ ლ ა ს ე ბ ი ს მ ო ს პ ო ბ ი ს, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, ს ა კ უ თ ა რ ი თ ა ვ ი ს მ ო ს პ ო ბ ი ს ა ც. თითოული მარჯვე სოციალისტური ნაბიჯი, სოციალისტური შ ე ტ ე ვ ა იწვევს მომაკვდავ სოციალურ ჯგუფების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა ს მეტ-ნაკლები სიძლიერით.

XV ყრილობის რეზოლიუციაში, სხვათა შორის, აი რას ვკითხულობთ: „მიუხედავათ სოციალისტურ სამეურნეო ხვედრითი წონის ხელმძღვანელ და საკმაოთ განვითარებულ როლის, საბჭოთა კავშირის ეკონომიკის საწარმოო ძალების ზრდას აუცილებლად თან ახლავს კლასთა წინააღმდეგობის ნაწილობრივი ზრდაც“. აქ აშკარათაა თეთრზე შავათ აღნიშნული: სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორი ფართოვდება, ვითარდება საწარმოო ძალებიც, მაგრამ ამასთან ერთად ნაწილობრივად

იზრდება და ფეხს იკიდებს საზოგადოებრივ კლასების ინტერესთა წინააღმდეგობაც. მაშასადამე, კლასთა ბრძოლის ნაწილობრივი გართულება „აუცილებლად თან ახლავს“ სოციალისტურ მშენებლობის „განვითარებულ როლს“. ასეთია საზოგადოებრივ განვითარების დიალექტიური ბუნება და მისი სწორად გაგება.

ცხადია, მკაფიო სოციალისტური პოლიტიკის წარმოება „ნაწილობრივად“ ართულებს კლასთა ურთიერთობას. მაგრამ განა ეს სოციალიზმის პოზიციების შესუსტებას მოასწავებს? სრულებითაც არა. პირიქით. კლასთა ბრძოლის ნაწილობრივი გართულება სოციალისტური პოლიტიკის, პროლეტარულ-კლასიური ხაზის მაჩვენებელია და სოციალიზმის საფუძვლების გამაგრებისნიშანი. ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტის პლენუმმა 1928 წლის ივლისში სამართლიანად და საკითხის ლენინურ გაგებით გაუსვა ხაზი იმ უდაო ჭეშმარიტებას, რომ მტკიცე სოციალისტურ პოლიტიკა „მივყევართ კაპიტალისტურ ელემენტების მხრით წინააღმდეგობის არა შენელებისაკენ, არამედ ამ წინააღმდეგობის გაძლიერებისაკენ, საბჭოთა ხელისუფლების კიდევ უფრო განმტკიცებასთან ერთად“. ჩვენთვის აბსოლუტურად უდაო დებულებაა: საბჭოთა ხელისუფლების გაძლიერება სოციალისტურ მშენებლობის გაძლიერებას ემყარება. სოციალიზმის პოზიციების გამაგრება-გაფართოება — აი რა არის საბჭოთა ხელისუფლების ციხე-სიმაგრე, მისი სიმტკიცის საფუძველი.

კლასთა ბრძოლის გართულება, „კაპიტალისტურ ელემენტების მხრივ წინააღმდეგობის გაძლიერება“ სრულე-

ბით არ არყევს პროლეტარიატის დიქტატურის საჭირ-
კველს. პირიქით, უფრო ამტკიცებს კიდეც: „კაპიტალის-
ტურ ელემენტების მსრივ წინააღმდეგობის გაძლიერება“
უფრო აფოლადებს პროლეტარიატის დიქტატურას, რად-
გან ეს „წინააღმდეგობის გაძლიერება“ სოციალიზ-
მის გაძლიერებულ მშენებლობიდან გა-
მომდინარეობს.

რევოლიუციონური კლასიური პოლიტიკა, სოციალის-
ტური მშენებლობის პირდაპირი ხაზი ხშირათ კლასთა
ბრძოლის გართულებას ჰგულისხმობს. შეიძლება ეს გარ-
თულება ნაწილობრივი იქნეს, შეიძლება — შედარებით
ფართო და ღრმაც. მაგრამ ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს სო-
ციალისტურ აქტიურ პოლიტიკის შედეგის — კლასთა
ბრძოლის გამწვავების. 1843 წლის სექტემბერში კ. მარ-
ქსი სწერდა რუგეს: „...ჩვენ გარკვეულად ვიცით, რა
უნდა ვაკეთოთ ამ ჟამად: მე ვლაპარაკობ არსებულის
დაუნდობელ კრიტიკაზე, დაუნდობელზე ორგვარი მო-
საზრებით: იმით, რომ ამ კრიტიკას არ ეშინია
საკუთარი რეზულტატების და იმითაც,
რომ ის არ დაიხევს უკან ხელისუფლე-
ბის წარმომადგენლებთან შეტაკება-
ში“.

მარქსს არ ეშინოდა დაუნდობელ კრიტიკის შეღეგე-
ბის. ჩვენი კრიტიკა, გამარჯვებული პროლეტარიატის
„კრიტიკა“ პრაქტიკული სოციალისტური პოლიტიკაა,
რომელმაც არ უნდა დაიხიოს უკან კაპიტალისტურ ელე-
მენტებთან ბრძოლაში. და რაც მნიშვნელოვანია, კლა-
სიურ-პროლეტარულ პოლიტიკას არ უნ-
და შეეშინდეს „საკუთარ რეზულტატე-
ბის“ — კლასთა ბრძოლის შედარებით გა-

ფ ა რ თ ო ვ ე ბ ა-გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს. აბის მტკიცეთ შეგნების გარეშე შეუძლებელია ძლევამოსილი მსვლელობა სოციალიზმის გზით.

საზოგადოებრივ განვითარების მეტად მნიშვნელოვან ულელტეხილზე ვიმყოფებით. აქ, როგორც ლენინი ამბობდა, პირდაპირაა დასმული ისტორიული საკითხი: Кто-кого? ვინ ვის დასძლევს — სოციალისტური თუ კაპიტალისტური ელემენტი, რომელი მათგანი გაიმარჯვებს? აი, ეს საკითხი უკვე პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ, მთელი თავისი სიგრძე-სიგანითაა მიმდინარე პერიოდში დასმული. „ან ჩვენ მოვაქცევთ ამ წვრილ ბურჟუაზიას — სწერდა ლენინი — ჩვენს კონტროლსა და აღრიცხვის ქვეშ (ამას შევსძლებთ, თუ ორგანიზაციულად დავრაზმავთ ხელმოკლე გლეხობას, ე. ი. მცხოვრებთა უმრავლესობას და ნახევრად პროლეტარებს შეგნებულ პროლეტარულ ავანგარდის გარშემო), ან ის დაამხობს ჩვენს მუშურ ძალა-უფლებას აუცილებლად და უსათუოდ, როგორც ამხობდენ რევოლიუციას ნაპოლეონები და კავენიაკები, სწორედ აი ამ წვრილ მესაკუთრეობის ნიადაგზე წარმოშობილნი. ასე სდგას საკითხი. მხოლოდ ასე სდგას საკითხი“ [1]). ასე სდგას საკითხი ამ ჟამად და, ცხადია, საკმაო ხნის განმავლობაშიაც არ მოიხსნება ეს საკითხი დღის წესრიგიდან. საქმე იმაშია მხოლოდ, რომ ამ საკითხის სიმწვავე განსაკუთრებით საგრძნობია დღეს, სოციალისტურ მშენებლობის თანამედროვე საფეხურზე. სოციალისტური და კაპიტალისტური ელემენტები დიდის სიმძაფრით ებრძვიან ერთმანეთს. ამ ბრძოლის ასპარეზი საკმაოთ გაშიშვლებულია, გაწმენდილი და ბრძოლაც ღებულობს მწვავე ხასიათს.

---

[1]) Н. Ленин. Собр. соч., ტ. XVIII, ნაწ. I, გვ. 205.

ასეთია კლასთა ბრძოლის გართულების სოციალური ნიადაგი.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, კლასიური საგადასახადო პოლიტიკა, საბჭოთა კოოპერაციის და საკრედიტო სისტემა მთლიანად ემსახურება სოფლის მეურნეობის სოციალიზმის გზაზე გადაყვანას. კულაკურ მეურნეობის ინტერესი აქ აშკარათ ილახება, იზღუდება. კულაკურ მეურნეობას უპირისპირდება კოლექტიური, ტეხნიკურად და სხვამხრივადაც უკეთ მოწყობილი მეურნეობა. ამავე დროს კ უ ლ ა კ უ რ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ა შ ე ა დ გ ე ნ ს ს ა გ ა დ ა ს ა ხ ა დ ო პ ო ლ ი ტ ი კ ი ს მ თ ა ვ ა რ ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ს. კულაკურ ზედაფენის 4 — 5 პროცენტი იხდის მთელი გადასახადის 30 — 45%-ს. მიუხედავათ ამისა, კულაკური მეურნეობა ჯერ კიდევ ი ზ რ დ ე ბ ა. პროლეტარული სახელმწიფო ჯერ კიდევ უძლურია ლარიბ და საშუალო მეურნეობის ინტერესი დააკმაყოფილოს მთლიანად. არ არის გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღების, ტრაქტორებისა და სხვა მანქანების საკმაო რაოდენობა. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ჯერ კიდევ ახალი საქმეა, მისი გამოცდილება ერთეულ წლებს ითვლის მხოლოდ. მეორე მხრივ, დაშვებულია დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი შ რ ო მ ა. კულაკური მეურნეობა ჯერ კიდევ ახერხებს მეურნეობის გაფართოებას, დაქირავებულ ძალით მუშაობს და, წარმოიდგინეთ, არც გაუმჯობესებულ მანქანა-იარაღებსაა ხშირად მოკლებული.

შედეგიც გასაგებია: საბჭოთა სახალხო მეურნეობის ევოლიუციის თანამედროვე საფეხურზე სოციალისტურ სექტორის ჩქარ ზრდასთან ერთად ნაწილობრივად იზრდება კულაკური მეურნეობაც, იზრდება კულაკი. პარტიის

XIV ყრილობაზე აი რას ამბობდა ამხ. ი. სტალინი კულაკურ მეურნეობის შესახებ: „ჩვენ დავიმორჩილებთ კულაკსაც და კერძო კაპიტალსაც ქალაქად. მაგრამ ჯერ ფაქტი ფაქტად რჩება — კულაკი იზრდება, კულაკი ეკონომიურად ჯერ კიდევ როდია საკმაოთ დატუქსული. კულაკი იკრეფს ძალას და ვინც ამას ვერ ამჩნევს, ვინც ამბობს, რომ ეს უმნიშვნელოა... ის პარტიას აყენებს სიფხიზლის დაკარგვის საშიშროების წინაშე და ანიარაღებს პარტიას კულაკთან, კაპიტალიზმთან ბრძოლაში, რადგან კულაკი კაპიტალიზმის აგენტია სოფლად“ [1]).

შეიძლება ითქვას, რომ ამ სიტყვას უკვე დაეკარგა მნიშვნელობა? სრულებითაც არა. ეს სიტყვები ძალაში რჩება დღესაც. კლასთა ბრძოლის გამწვავება თავის-თავად ჰგულისხმობს, რომ „კულაკი ეკონომიურად ჯერ კიდევ როდია“ ფესვებ გამოთხრილი. კულაკური საშიშროება რეალური საშიშროებაა. ამ საშიშროების საძირკველია სოფლის მეურნეობის წვრილ-ბურჟუაზიული ხასიათი, საქონლის წვრილი წარმოება. ლენინი ათასჯერ იმეორებდა: სანამ სოფლად ჩვენ გვექნება საქონლის წვრილი წარმოება, კაპიტალიზმის საფუძვლებიც არ გვაქვს დანგრეული, ეს წვრილი წარმოება ყოველწუთს აძლიერებს კაპიტალიზმსო. კულაკი „კაპიტალიზმის აგენტია სოფლად“. კულაკური მეურნეობის ფესვები ჯერ კიდევ ღრმათაა სოფლის მეურნეობის ნიადაგში ჩამჯდარი. ადვილი არ არის ამ ფესვების აღმოფხვრა. ხოლო ამ „აღმოფხვრის“ თითოული მომენტი აუცილებლად ჰგულისხმობს კლასიურ ბრძოლის გამწვავებასაც — კულაკური ელემენ-

---

[1]) И. Сталин. Вопросы ленинизма, გვ. 387. ხაზი ჩვენია.

ტი უბრძოლველად არ აიღებს ხელს თავის ეკონომიურ მდგომარეობასა და არსებობაზე.

ამ რიგად, კლასთა ბრძოლის გართულება ფაქტია დღევანდელ პირობებში. კლასთა ბრძოლის „ნაწილობრივი გამწვავება" კაპიტალისტურ ელემენტებზე სოციალისტური შეტევით აიხსნება.

ასეთია, ჩვენის აზრით, ამ დიდად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენის საფუძვლის სწორი გაგება, ამ საფუძვლის ახსნა-განმარტება.

II

პროლეტარიატის დიქტატურა და საზოგადოებრივი კლასები

ბურჟუაზიული საზოგადოება ორგვარ წინააღმდეგობას განიცდის. ერთია გარეგანი წინააღმდეგობა-მეტოქეობა ცალკე კაპიტალისტურ ერთეულებს შორის, მეორე — წინააღმდეგობა თვით კაპიტალისტურ წარმოების სისტემაში, სხვანაირად — კაპიტალიზმის შინაგანი, სტრუქტურული წინააღმდეგობა.

რასაკვირველია, წინააღმდეგობის ორივე ფორმა დიდათ მნიშვნელოვანია და საგულისხმო. მაგრამ, ცხადია, გაცილებით მეტი უპირატესობა ეძლევა შინაგან წინააღმდეგობას, რომელშიაც თანამედროვე კაპიტალიზმი რჩყოფება. წინააღმდეგობის ეს ფორმა იწვევს წინააღმდეგობას ცალკე კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის, ამ სახელმწიფოების შეიარაღებულ კონფლიქტებს საგარეო ბაზრებისა და წარმოების შემდეგი განვითარების ამოცანების გადასაჭრელად. თავის მხრივ, ეს „გარეგანი“ წინააღმდეგობა უფრო აღრმავებს და ამახვილებს კაპიტალიზმის დამახასიათებელ შინაგან წინააღმდეგობასაც.

ასეთია კაპიტალისტური განვითარების თავისებური დიალექტიკა.

რაში მდგომარეობს კაპიტალისტური განვითარების შინაგანი ანტაგონიზმი, შინაგანი წინააღმდეგობა და საით მივყევართ ამ წინააღმდეგობას?

ვინც თვალ-ყურს ადევნებს თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარებას, დასმულ კითხვაზე ადვილათ უპასუხებს. თანამედროვე კაპიტალიზმი არის მ ო ნ ო პ ო ლ ი ს ტ უ რ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი, კაპიტალისტური ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი. მისი დამახასიათებელი ძირითადი თვისება, სხვათა შორის, მდგომარეობს ორ უმთავრეს მომენტში. ესაა, კ. მ ა რ ქ ს ი ს სიტყვებით რომ ვსთქვათ — კაპიტალზე კერძო საკუთრების „გაუქმება", კ ა პ ი ტ ა ლ ი ს გ ა ნ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა, რა თქმა უნდა, წარმოების კაპიტალისტურ წესის ფარგლებში,—„კოლექტიური კაპიტალისტის" წარმოშობა, როგორც აღნიშნავს ლ ე ნ ი ნ ი. აქ წარმოება უაღრესად საზოგადოებრივია, კ ა პ ი ტ ა ლ ი ც გ ა ნ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ უ ლ ი ა კოლექტიურ კაპიტალისტებს შორის. ეს ერთი. მეორე — საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილება კი ძველებურია, კაპიტალისტური — მითვისება კერძოა. წ ა რ მ ო ე ბ ა — ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი, მ ი თ ვ ი ს ე ბ ა — ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი — ასეთია თანამედროვე კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობის მთავარი ძარღვი.

აქედან გამომდინარეობს სამრეწველო და საწარმოო ძალთა განვითარების კ რ ი ზ ი ს ი კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

ცხადია, შინაგან წინააღმდეგობის ეს ნიადაგი მუდამ ახასიათებდა კაპიტალიზმს, მის სამრეწველო ფორმებშიაც კი. ფინანსიური კაპიტალიზმის პირობებში ამ წინააღმდეგობამ მიაღწია განვითარების უმაღლეს წერტილს. კაპიტალისტური ტრესტი, სინდიკატი, კარტელი უზარმაზარი სამეურნეო მონოპოლისტური გაერთიანებაა, რომლის პატრონია არა ერთი და ორი კაპიტალისტი. აქ მონოპოლიის ბატონ-პატრონია კაპიტალისტების კოლექტივი,

„კოლექტიური კაპიტალისტი“ სააქციო საზოგადოების სახით. კაპიტალისტური მეურნეობის ფორმა, წარმოების გარეგანი სახე რადიკალურად შეიცვალა. მაგრამ შინაარსი— კაპიტალისტური განაწილება და მითვისება — უცვლელად დარჩა. აი რა არის, უმთავრესად, თანამედროვე კაპიტალიზმის შინაგანი, სტრუქტურული წინააღმდეგობა. კაპიტალიზმი გახვეულია ამ წინააღმდეგობის ხლართში.

სად არის გამოსავალი? აშკარაა, გამოსავალი ერთად ერთია — როგორც წარმოების, ისე განაწილება-მითვისების სრული განსაზოგადოება. კ. მ ა რ ქ ს ი ს ენაზე ეს ნიშნავს საწარმოო იარაღებზე კაპიტალისტურ საკუთრების გაუქმებას და მათ გადასვლას „ასოციაციურად შეკავშირებულ მუშების ხელში“. მარტივათ რომ ვსთქვათ, ესაა პროლეტარული რევოლიუციის განვითარება. ეს რევოლიუციაც ისტორიული აუცილებლობაა: საწარმოო ძალთა განვითარების და საზოგადოებრივ ურთიერთობას შორის აღმოცენებული წინააღმდეგობა ღრმა სოციალური გარდატეხით ამოიწურება. წარმოების განსაზოგადოებულ ფ ო რ მ ი ს ა და მითვისება-განაწილების კაპიტალისტური შინაარსის დაპირისპირება პროლეტარულ რევოლიუციაში პოულობს გამოსავალს. სოციალურ საკითხების გადაჭრის სხვა გზა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

მოკლეთ, თანამედროვე კაპიტალიზმი ღრმა შინაგან კრიზისს განიცდის, მწვავე შინაგან წინააღმდეგობაში იმყოფება, უცდის ძალას, რომელიც ბებიის როლს შეასრულებს — შეამსუბუქებს ახალ საზოგადოების მშობიარობის ტკივილებს. ესაა ძ ა ლ დ ა ტ ა ნ ე ბ ა, რომლის რევოლიუციონურ როლს თეორიულად ასაბუთებს ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი „ანტი-დიურინგში“.

კაპიტალისტური განვითარების ისტორიული ტენდენცია გენიალურად გაითვალისწინა კ. მ ა რ ქ ს მ ა. კაპიტა-

ლიზმის განვითარებით „საწარმოო საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადოება აღწევენ იმ დონეს, რომელზედაც ისინი ვეღარ მოთავსდებიან თავიანთ კაპიტალისტურ გარსში. ეს გ ა რ ს ი ი ხ ე ვ ა. რეკავს კაპიტალისტურ კერძო საკუთრების საათი. ხდება ექსპლოატატორების ექსპროპრიაცია“ [1]). ეს არის ისტორიული მომენტი, რომელსაც ფ რ. ე ნ გ ე ლ ს მ ა უწოდა „ნ ა ხ ტ ო მ ი აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში“.

ევროპიულმა მენშევიზმმა მარქს-ენგელსის ეს რევოლიუციონური თეორია სრულებით დაივიწყა. ძალდატანების რევოლიუციონური როლის მიფუჩეჩება, პროლეტარულ რევოლიუციის უარყოფა, პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპიალურად და პრაქტიკულად უკუგდება, აქედან — გარდამავალ პერიოდის სრული გაუთვალისწინებლობა — ასეთია თანამედროვე მენშევიზმის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა.

პროლეტარული რევოლიუცია შედეგია იმ შეუნელებელ წინააღმდეგობის, რომელიც თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებას ახასიათებს. ამ წინააღმდეგობის ნიადაგზე კაპიტალისტური კერძო საკუთრების საათიც დაჰკრავს და კაცობრიობა ისტორიულ „ნახტომს“ გააკეთებს თანამედროვე ბურჟუაზიულ წყობილებიდან თავისუფლების — კომუნიზმის სამეფოში. ეს არ მოხდება თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ. ფატალურად. ისტორია არ ვითარდება თვალ-დახუჭულად. ი ს ტ ო რ ი ა ს ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი ქ მ ნ ი ა ნ. რევოლიუცია არის ისტორიის ლოკომოტივი. „კაპიტალისტური გარსი“ ძალდატანებით იხევა. ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობასა და საწარმოო ძალთა გან-

---

[1]) К. Маркс. Капитал. ტ. I, გვ. 646.

ვითარებას შორის არსებული კონფლიქტი პროლეტარული რევოლიუციით სწყდება, ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობის განმტკიცებით ამოიწურება. ნ ა ხ ტ ო მ ი აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში უბრალო ფიზიკური ნახტომი როდია. ესაა ნახტომი ი ს ტ ო რ ი უ ლ ი თვალსაზრისით, მთელი პ ე რ ი ო დ ი, რომელიც ორ სამეფოს შორის იმყოფება და პირველიდან მეორეზე გადასვლის შარა-გზას წარმოადგენს.

პროლეტარული რევოლიუციის, სოციალური ძ ა ლ დ ა ტ ა ნ ე ბ ი ს უარყოფა ნიშნავს პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფას, ხოლო პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფა — კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის, გარდამავალ პერიოდის უარყოფას.

ა ი რ ას სწერს კ. მ ა რ ქ ს ი პროლეტარიატის დიქტატურისა და გარდამავალ პერიოდის შესახებ:

„კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოების შორის არსებობს ერთი საზოგადოების მეორე საზოგადოებაში რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ო ნ უ რ ი გ ა რ დ ა ქ მ ნ ი ს პ ე რ ი ო დ ი (die Periode der rewolutionären Umwandlung). მას ეთანაბრება პოლიტიკური გარდამავალი პერიოდიც, რომელშიაც სახელმწიფო სხვა არაფერია, პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ო ნ უ რ ი დ ი ქ ტ ა ტ უ რ ი ს გარდა“ [1]).

მაშასადამე, „ნახტომი აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში“—ესაა მთელი ხანა, რევოლიუციონური გარდაქმნის პერიოდი, ჩვენს ენაზე—გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი პ ე რ ი ო დ ი. ამ პერიოდს ახასიათებს საკუთარი

---

[1]) К. Маркс. Замечания на программу германской раб. партии (Критика готской программы), გვ. 69. პირველი ხაზი ჩვენია.

ახალი ეკონომიკა და პოლიტიკა. ახალი ეკონომიკა შეიცავს როგორც კაპიტალისტურ, ისე სოციალისტურ ელემენტებს, მხოლოდ იმ პირობით, რომ კაპიტალისტური ელემენტი მეტ-ნაკლები სისწრაფით ეცემა, სუსტდება და ბოლოს სრულებით იდევნება სახალხო მეურნეობიდან. გარდამავალ პერიოდის ეკონომიური პოლიტიკა მთლიანად ემსახურება კაპიტალისტურ საზოგადოების სოციალისტურ საზოგადოებათ რევოლიუციონურ გარდაქმნას.

მეორე მხრივ, „რევოლიუციონური გარდაქმნის პერიოდი" ყალიბდება შესაფერ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ფორმაში. ესაა „პროლეტარიატის რევოლიუციონური დიქტატურა" და მისი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია — საბჭოთა სისტემა. როგორც გარდამავალ პერიოდის, ისე პროლეტარიატის დიქტატურის ცნება მარქსის მიერ გარკვევითაა მოცემული. მართალია, პროლეტარიატის რევოლიუციონური დიქტატურის სახელმწიფოს საბჭოთა ფორმა მარქსს არ გაუთვალისწინებია. საბჭოთა სისტემის გათვალისწინება მარქსს არ შეეძლო, არ იყო ამის მაგალითი. პარიზის კომუნის გაკვეთილი კი მხოლოდ ერთს ეუბნებოდა მას: საჭიროა დამსხვრევა ძველი სახელმწიფოებრივი მანქანის და მისი მომართვა ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობის ნიადაგზე. ეს დასკვნა გამოიყვანეს მარქს-ენგელსმა. ხოლო კონკრეტიულად რა სახე მიეცემოდა დამსხვრეულ ძველ ,სახელმწიფოებრივ მანქანას, ამის გათვალისწინება მათ არ შეეძლოთ მთელი ნახევარი საუკუნით ადრე. ამისთვის საჭირო იყო რუსეთის ორი დიდი რევოლიუციის გამოცდილება და ლენინის გენიალური ტვინი.

გარდამავალი პერიოდი და პროლეტარიატის რევოლიუციონური დიქტატურა განუყოელი, იდენტიური ცნებაა. პირველის უარყოფა მეორის უარყოფაა და პირიქით. მენშევიზმი უარყოფს პროლეტარიატის დიქტატურას, აღიარებს სამეურნეო და პოლიტიკურ დემოკრატიას. ის არ სცნობს არც რევოლიუციონურ გარდაქმნის პერიოდს. მისთვის ასეთი პერიოდია კ ლ ა ს თ ა თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ო ბ ი ს პ ე რ ი ო დ ი, „დემოკრატიის ერა". აქ ლოღიკა დაცულია, მაგრამ ლოღიკა არა რევოლიუციონური მარქსიზმის, მატერიალისტურ დიალექტიკის. ეს არის სოციალიზმისათვის ბრძოლის უარყოფის ლოღიკა.

პროლეტარატის რევოლიუციონური დიქტატურის გარეშე შეუძლებელია ბურჟუაზიულ საზოგადოებრივი ურთიერთობის მოსპობა, წარმოების კაპიტალისტური წესების გაუქმება, კაპიტალიზმის ფესვების ძირ-ბუდიანად აღმოფხვრა. პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდს გაივლის ყველა ქვეყანა. აქ პროლეტარიატის დიქტატურის რკინის კანონი მეფობს მთლიანად და ადგილი არ აქვს არავითარ გამონაკლისს. მაშასადამე, ყ ვ ე ლ ა ქვეყანა გაივლის რევოლიუციონური გარდაქმნის პერიოდსაც — გარდამავალ პერიოდს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ზოგი ქვეყანა, რომელიც განვითარებულია საწარმოო ურთიერთობის, მეურნეობის სტრუქტურის თვალსაზრისით, შედარებით ა დ რ ე გადააბიჯებს გარდამავალ პერიოდს და სოციალიზმში გადავა. ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებისათვის გარდამავალი პერიოდი შედარებით უფრო ხანგრძლივი იქნება. მაგრამ ეს უკვე საკითხია რიცხვობრივობის და არა თვისების.

ხაზგასმით უნდა აღენიშნოთ ის გარემოება, რომ მარქსის აზრით გარდამავალი პერიოდი არის ერთი საზოგა-

დოებრივი ფორმაციის მეორეში გარდაქმნის რ ე ვ ო ლ ი-უ ც ი ო ნ უ რ ი პერიოდი. ამავე დროს პროლეტარიატის დიქტატურაც არის რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ო ნ უ რ ი. ვინც იფიქრებს, გარდამავალი პერიოდი უსათუოდ მშვიდობიანი, თანდათანობითი, ე ვ ო ლ ი უ ც ი ო ნ უ რ ი გარდაქმნის პერიოდია, უღალატებს მარქსიზმს და ოპორტუნიზმის ხრამში გადაიჩეხება.

გარდამავალ პერიოდს ბევრი რამ რჩება „მემკვიდრეობათ" კაპიტალისტურ წყობილებიდან. ეს ითქმის განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდის პირველ საფეხურებზე. აქ კაპიტალიზმის ნაშთები უფრო ცოცხალია და ხელშესახები. კ. მ ა რ ქ ს ი მოსწრებულად შენიშნავს კიდეც, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ისეთი საზოგადოება, რომელიც „ჯერ კიდევ გამოდის კაპიტალისტურ საზოგადოებიდან, მაშასადამე, ჯერ კიდევ ყოველ მხრივ — ეკონომიურად, ზნეობრივად, გონებრივად — დაფარულია ძველი საზოგადოების ლაქებით, რომლის (ძველი საზოგადოების) წიაღიდან გამოდის ის" [1]). გარდამავალ პერიოდის დანიშნულებაც სწორეთ ამ „ლაქების" მოსპობაში მდგომარეობს. მან უნდა მოგვცეს ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც სრულებით არ იქნება დამყარებული ქონებრივ უპირატესობაზე, საქონლის გაცვლა-გამოცვლასა და, საერთოდ, კაპიტალისტურ საბაზრო დამოკიდებულებაზე.

ჩვენ შეგვიძლია ძველი საზოგადოების ეკონომიურ, ზნეობრივ და გონებრივ „ლაქების" უამრავი კონკრეტიული ფაქტი დავასახელოთ, მრავალი ნიშანდობლივი მაგალითი მოვიყვანოთ. მაგრამ ეს საჭირო არ არის: თითოული

---

[1]) იქვე, გვ. 53.

ჩვენგანი გრძნობს და განიცდის ამ „ლაქების“ სიმწვავეს. მარქსის არ იყოს, ძველი საზოგადოების კულტურა ალპების მთებივით აწევს მხრებზე თანამედროვე საზოგადოებას.

ასეთია, მაგალითად, საზოგადოებრივი კლასების არსებობა, კლასთა ბრძოლა, რომელიც რევოლიუციონური გარდაქმნის, პროლეტარიატის რევოლიუციონური დიქტატურის, გარდამავალ პერიოდსაც ახასიათებს.

ბურჟუაზიულ საზოგადოების კლასიური დანაწილება დიდ სიჭრელეს წარმოადგენს. რამდენი საზოგადოებრივი კლასია კაპიტალისტურ წყობილებაში? ამ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა არც ისე იოლია, როგორც ერთი შეხედვით გვეჩვენება.

საერთოდ, საზოგადოებრივი კლასების თეორიული კვლევა-ძიება ჯერ კიდევ ღარიბ მასალას იძლევა. მარქსენგელსი სპეციალურად ვერ შეხებიან საზოგადოებრივ კლასების პრობლემას. რუსული მარქსისტული ლიტერატურაც ძალიან ღარიბია კლასების სოციოლოგიით. საყურადღებო და მთავარი, რაც გვაქვს ამ დარგში, ესაა პროფ. ს. სოლნცევის კაპიტალური ნაშრომი [1]). ავტორის აზრით, კაპიტალისტურ საზოგადოებაში მხოლოდ ორი საზოგადოებრივი კლასია — ბურჟუაზია და პროლეტარიატი. „კომუნისტურ მანიფესტში“ ვკითხულობთ: „საზოგადოება სულ უფრო და უფრო იყოფა ორ დიდ მტრულ ბანაკათ, ორ მოწინააღმდეგე დიდ კლასათ — ბურჟუაზიათ და პროლეტარიატათ“. პროფ. სოლნცევს

[1]) С. И. Солнцев. Общественные классы. Важнейшие моменты в развитии проблемы классов и основные учения. პეტროგრადი, 1923. ამხ. ნ. ბუხარინის აზრით, ეს ნაწარმოები „მეტად გულდასმით შესრულებული და ამავე დროს მარქსისტული შრომაა“ (იხ. Н. Бухарин. Теория ист. материализма, გვ. 314).

მოყავს ამონაწერები „კაპიტალის“ II ტომიდან, სადაც მ ა რ ქ ს ი ამბობს, რომ „არსებობს საერთოდ მხოლოდ ორი გამოსავალი წერტილი — კაპიტალისტი და მუშა“. *) ასევე აქვს ნათქვამი კ. მ ა რ ქ ს ი ს alter ego-ს — ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ს ა ც. პროფ. ს ო ლ ნ ც ე ვ ი ც მტკიცეთ ადგას თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე კაპიტალისტურ საზოგადოების მ ხ ო ლ ო დ ორ საზოგადოებრივ კლასათ დაყოფის თეორის.

მართლაც თუ ავიღებთ წმინდა კაპიტალისტურ წყობილებას, ავიღებთ გ ა ნ ყ ე ნ ე ბ უ ლ ა თ, აბსტრაქტიულად, როგორც ეს დაუშვა მ ა რ ქ ს მ ა „კაპიტალში“, ჩვენ უეჭველად საქმე გვექნება, როგორც ს ო ლ ნ ც ე ვ ი ამტკიცებს, მ ხ ო ლ ო დ ორ კლასთან. წმინდა, უალრესად, უკიდურესად განვითარებულმა კაპიტალიზმმა იცის მხოლოდ აი ეს ორი საზოგადოებრივი კლასი — ბურჟუაზია და პროლეტარიატი. გლეხობა, საერთოდ — წვრილი ბურჟუაზია და აგრარული არისტოკრატია კაპიტალიზმის ქვაბში ინთქება და ბურჟუაზიული საზოგადოებაც მხოლოდ ორ კლასათ იყოფა. ეს სწორია, თეორიულად აუცილებელი.

მაგრამ განყენებულად შესაძლებელსა და პრაქტიკულად არსებულს შორის ხშირად დიდია განსხვავება. მ ა რ-

---

*) ავტორი სარგებლოს უფრო ვრცელი ციტატით მარქსის Theorien über den Mehrwert-იდან („ზედმეტი ღირებულების თეორია“-დან): „კაპიტალისტი და დაქირავებული მუშა ერთად ერთი ფუნქციონერები და ფაქტორებია წარმოების, რომელთა ურთიერთობა კაპიტალისტურ წარმოების რაობიდან გამომდინარეობს... წარმოებას... შეეძლო დაუბრკოლებლად განვითარება, კერძო მიწათმფლობელნიც რომ გამქრალიყვნენ და მათი ადგილი დაეჭირა სახელმწიფოს. ისინი — მიწათმფლობელნი — არ წარმოადგენენ კაპიტალისტურ წარმოებისათვის „საწარმოო აგენტებს, თუმცა კაპიტალისტურ წარმოებისათვის აუცილებელიცაა მიწას ვინმე ფლობდეს, მაგ. სახელმწიფო, მაგრამ მხოლოდ არა მუშა“... იხ. С. Солнцев, დასახელებული შრომა, გვ. 201 — 202.

ქ ს მ ა გვაჩვენა კაპიტალისტურ საზოგადოების კლასებათ დაყოფის საერთო ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა. ეს არის მხოლოდ ორი კლასის შესაძლებლობა. მაგრამ ტენდენცია ჯერ კიდევ რეალობა არ არის. ამიტომ სინამდვილეში თ ა ნ ა მ ე დ-რ ო ვ ე კაპიტალისტურ-ბურჟუაზიული საზოგადოება მარტო ორი კლასიდან ჯერ კიდევ როდი შესდგება. თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში ბურჟუაზიასა და პროლეტარიატის გარდა არის აგრეთვე მ ე ს ა მ ე საზოგადოებრივი კლასი—მ ს ხ ვ ი ლ ი მ ი წ ა თ მ ფ ლ ო-ბ ე ლ თ ა კ ლ ა ს ი.

„კაპიტალის“ III ტომის დასასრულს კ. მ ა რ ქ ს ი შეეცადა გაერკვია საზოგადოებრივი კლასების პრობლემა. სამწუხაროთ, მხოლოდ ორი გვერდის დაწერა მოასწრო მან ამ საკითხზე, ხელთნაწერი შესწყდა მოულოდნელად. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ მ ა რ ქ ს ი მხოლოდ აქ შეეცადა ს პ ე ც ი ა ლ უ რ ა დ გაერკვია საზოგადოებრივი კლასების მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა. სწორედ აქ იძლევა ის ს ა მ ი საზოგადოებრივი კლასის იდეას კაპიტალისტურ საზოგადოების თანამედროვე პირობებში. კ. მ ა რ ქ ს ი ს აზრით, ეს კლასებია: მუშები, კაპიტალისტები და მსხვილი მიწათმფლობელნი. ესაა „თანამედროვე საზოგადოების ს ა მ ი დ ი დ ი კ ლ ა ს ი, რომელიც წარმოების კაპიტალისტურ წესს ემყარება“ [1]) — ამტკიცებს მ ა რ ქ ს ი. აი ამ „სამ დიდ საზოგადოებრივ კლასის“ განსაზღვრით ამოიწურება თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების სინამდვილე. სამივე კლასს ახასიათებს ნიშანდობლივი თვისება: პირველი კლასის საარსებო წყაროა შრომის ხელფასი, მეორესი—საწარმოო მოგება და უკანა-

---

[1]) Капитал, ტ. III, ნაწ. II, გვ. 423. ხაზი ჩვენია.

სკნელის — მიწის რენტა. მ ა რ ქ ს ი ასკვნის: თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში „ჩვენს წინაშე ს ა მ ი დ ი დ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ჯ გ უ ფ ი ა, რომელთა წევრები ანდა მათი შემადგენელი ინდივიდუუმები სცხოვრობენ შრომის ხელფასით, მოგებით და მიწის რენტით“ [1]).

ამ რიგათ, კაპიტალისტურ საზოგადოების რეალურ სინამდვილეში, მარქსის აზრით, არსებობს სამი დიდი საზოგადოებრივი კლასი: ბურჟუაზია, პროლეტარიატი და მსხვილი მიწათმფლობელნი. რასაკვირველია, უკანასკნელთა კლასი აუცილებელ გადაშენების გზას ადგას. ინდუსტრიალური კაპიტალიზმი აუცილებლათ იჭრება სოფლის მეურნეობაშიაც, ხდება სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია. ამ პროცესის დასრულება სრული განადგურებით ემუქრება მსხვილ მიწათმფლობელს, რომელიც მიწის რენტით ცხოვრობს და ფართო გზას უკაფავს მსხვილ მიწათმომქმედს — კაპიტალისტურ ფერმერს, კაპიტალიზმს. როგორც ანტიურ, მონურ საზოგადოებაში არსებობდა მხოლოდ ორი საზოგადოებრივი კლასი — მონათმფლობელი და მონა, ფეოდალურ საზოგადოებაში — ბატონი და ყმა, ისევე უალრესად განვითარებულ კაპიტალიზმში მოისპობა „მესამე ძალა“ და საზოგადოება მხოლოდ ორ კლასათ — ბურჟუაზიათ და პროლეტარიატათ — დაიყოფა რეალურად, სინამდვილეში.

კ. კ ა უ ც კ ი ც იზიარებს სამ საზოგადოებრივ კლასის აზრს. მისი შეხედულებით, მარქსსაც ასე ქონდა თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე საზოგადოების კლასებათ დაყოფა წარმოდგენილი. კ ა უ ც კ ი ამბობს: „თანამედროვე საზოგადოების სხვა-

---

[1]) იქვე, გვ. 424. ხაზი ჩვენია.

დასხვა კლასები შეგვიძლია დავაჯგუფოთ სამ დიდ კლასათ" [1]). ესაა ის კლასები, რომლებსაც მარქსი ასახელებს.

საზოგადოებრივი კლასები ეკონომიური კატეგორიაა, ეკონომიურ ნიადაგზე წარმოშობილი, განსაზღვრულ საწარმოო ურთიერთობის შედეგათ მოვლინებული. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეკონომიურ კატეგორიას ეთანაბრება პოლიტიკური კატეგორიაც, ამიტომ თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ჩვენ გვაქვს სამ კლასთან ერთად სამი პოლიტიკური მიმდინარეობა: ფეოდალურ-რეაქციონური, კონსერვატიულ-ლიბერალური და სოციალისტურ-კომუნისტური. პირველი შეიცავს აგრარულ არისტოკრატიის ინტერესებს, მეორე — ბურჟუაზიის, მესამე — მუშათა კლასის.

საზოგადოებრივ კლასების ინტერესები შეურიგებელია, შეუთავსებელი. ერთი კლასის ინტერესი ეწინააღმდეგება მეორის ინტერესს, აქედან — კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ა. ამ ბრძოლის ეკონომიური ნიადაგია საერთო ნაციონალური შემოსავლის განაწილების კაპიტალისტური წესი — კაპიტალისტი ითვისებს ზედმეტ ღირებულებას. თითოული კლასი სცდილობს ნაციონალურ შემოსავლის რაც შეიძლება მეტი ნაწილი მიიღოს. პროლეტარი მოითხოვს ხელფასის გადიდებას, კაპიტალისტი — მის დაკლებას. კაპიტალისტი სცდილობს საწარმოო მოგების გადიდებას, პროლეტარი — მის შემცირებას. მიწათმფლობელის მიზანია მიწის რენტის მომატება. ეს იწვევს საწარმოო მოგების „შეკვეცას", მუშათა ხელფასის შემცირებასაც. როგორც ვხედავთ, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის კლასიური ეკონომიური ინტერესი დაპირისპირებულია ერთმანეთ-

---

[1]) К. Каутский. Классовые интересы. გვ. 18.

თან, ხოლო ორივე მოწინააღმდეგე კლასის ინტერესი — მიწათმფლობელთა კლასის ინტერესებთან.

კაპიტალისტურ - ბურჟუაზიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი კლასების ინტერესები სასტიკათ ეწინააღმდეგება ერთმანეთს და არავითარ ძალას არ შეუძლია ამ ინტერესების შესმატკბილება. ამ შემთხვევაში ჩვენ ვლაპარაკობთ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატზე. მართალია, მსხვილი მიწათმფლობელთა ეკონომიური ინტერესი არ ეთანხმება კაპიტალისტური ბურჟუაზიის ინტერესებს. მაგრამ ეს უთანხმოება შედარებითია: საკმარისია პროლეტარული რევოლიუციის რეალური საშიშროება წარმოიშვეს და — კაპიტალისტისა და მიწათმფლობელის კლასიური ინტერესებიც უმალვე გამონახავს საერთო ენას და მოქმედების საერთო ნიადაგს, რასაკვირველია, საერთო მტრის— სოციალისტური პროლეტარიატის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მაგრამ ორი ძირითადი საზოგადოებრივი კლასის — ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის „კლასიური ბლოკი" შეუძლებელი საქმეა. ისტორიულ განვითარების თანამედროვე საფეხურზე ასეთი ბლოკი საერთაშორისო რეფორმიზმის, მსოფლიო მენშევიზმის ტკბილი ოცნებაა და არა სინამდვილე...

***

რამდენიე საზოგადოებრივი კლასია გარდამავალ პერიოდში, როგორია კლასობრივ ძალთა განწყობილება ისტორიულ განვითარების პროლეტარიატის რევოლიუციონურ დიქტატურის საფეხურზე?

თეორიულ აზროვნებაში ეს საკითხი ხშირად დიდ გაუგებრობას იწვევს

ნ. ლ ე ნ ი ნ მ ა სამოქალაქო ომების მიწურულს ასე დაახასიათა „საბჭოთა საზოგადოების“ კლასიური დანაწილება: „საბჭოთა რუსეთში... ჩვენ პ ი რ ვ ე ლ ა დ ვ ხ ე დ ა ვ თ მთელ მსოფლიო ისტორიაში მ ხ ო ლ ო დ ო რ ი კ ლ ა ს ი ს არსებობას: პროლეტარიატის... და წვრილი გლეხობის, რომელიც შეადგენს მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას“ [1]).

რევოლიუციონურ გარდაქმნის პერიოდში პროლეტარიატი, როგორც კლასი, როგორც ჰეგემონი, ხელმძღვანელი და წინამძღოლი საზოგადოებრივი ძალა, რასაკვირველია, რჩება უცვლელად. განსხვავება იმაშია, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ეს კლასი დამონავებულია, დამორჩილებული, ექსპლოატაციის ბრჭყალებში მოქცეული. სოციალისტურ რევოლიუციისათვის ბრძოლაში პროლეტარიატი მოწინავე მებრძოლ რაზმს წარმოადგენს. ის არის ძ ვ ე ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს გ ა მ ა ნ ა დ გ უ რ ე ბ ე ლ ი, რევოლიუციონურ მოძრაობის მესაჭე, ბელადი, რომელსაც მიყავს მთელი მშრომელი მასსა, გაძვალტყავებული ხალხი კაპიტალიზმის ციხე-სიმაგრეების დასანგრევად. ამიტომაც აცხადებს „კომუნისტური მანიფესტი“, რომ ყველა საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის „მხოლოდ პროლეტარიატია ნამდვილად რევოლიუციონური კლასი“.

„სოციალური რევოლიუციის მეორე დღეს“ მდგომარეობა ძირიანად იცვლება იმ მხრივ, რომ დაჩაგრულ-დამონავებული კლასი — სოციალისტური პროლეტარიატი — გაბატონებულ საზოგადოებრივ კლასათ გვევლინება. ახლა პროლეტარიატი არ წარმოადგენს კაპიტალისტურ ექსპლოატაციის საგანს. ის არ არის დამონავებული კლა-

---

[1]) Н. Ленин. Собр. соч., т. XVIII, ნაწ. I, გვ. 313. ხაზი ჩვენია.

სი. კაპიტალთან ბრძოლაში მან მხოლოდ მონობის ჯაჭვები დაჰკარგა და მთელი ქვეყანა კი დაიპყრო: დაამსხვრია ბურჟუაზიული ხელისუფლება და პროლეტარიატის რევოლიუციონური დიქტატურა დაამყარა. ასეთია უდიდესი სოციალური გარდატეხა, რომელსაც პროლეტარული რევოლიუცია იძლევა.

რა არ შეიცვალა? არ შეცვლილა პროლეტარიატის მოწინავე, ხელმძღვანელი როლი. გარდამავალი პერიოდი ახალი საზოგადოების მშენებლობის პერიოდია. აქ რევოლიუციონური პროლეტარიატი გვევლინება, როგორც მ შ ე ნ ე ბ ე ლ ი საზოგადოებრივი ძალა, სოციალიზმის მშენებლობის მესაჭე, ხელმძღვანელი. როგორც ბურჟუაზიულ წყობილების გ ა მ ა ნ ა დ გ ურ ე ბ ე ლ მოძრაობაში მოწინავე პროლეტარიატი თამაშობს წინამძღოლ, ხელმძღვანელ როლს, ისევე სოციალიზმის მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა შ ი ა ც პროლეტარიატი საესებით და მთლიანად ინარჩუნებს ამ როლს.

პროლეტარიატი, როგორც ძ ი რ ი თ ა დ ი საზოგადოებრივი კლასი, ძალაში რჩება გარდამავალ პერიოდშიაც *).

გარდამავალ პერიოდის მეორე საზოგადოებრივი ძ ი რ ი თ ა დ ი კლასია საქონლის წვრილ მწარმოებელთა მასსა — გ ლ ე ხ ო ბ ა. ეს არის ა ხ ა ლ ი საზოგადოებრივი კლასი, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების შემდეგ ყალიბდება კ ლ ა ს ა თ für sich.

---

*) არაფერს ვამბობთ იმ ელემენტარულ ჭეშმარიტებაზე, რომ პროლეტარიატის დიქტატურის მიზანია სოციალიზმის განხორციელება, საზოგადოების კლასებათ დაყოფის მოსპობა და, მაშასადამე, პროლეტარიატის, როგორც საზოგადოებრივი კლასის, მოსპობაც. რა თქმა უნდა, ეს პროცესი გარდამავალ პერიოდში იწყება და კომუნიზმში თავდება...

რასაკვირველია, „გლეხური კლასის“ ფორმაცია აუცილებელი არ არის ყველა ქვეყნისთვის. ინგლისში, მაგალითად, საქონლის წვრილი მწარმოებელთა მასსა — გლეხობა — თითქმის სრულებითაც არ მოიპოვება. ამიტომ პროლეტარული რევოლიუცია იქ არავითარ ახალ საზოგადოებრივ, კერძოდ საქონლის წვრილ მწარმოებელთა კლასს არ შექმნის. ეს კლასი შეიქმნება როგორც დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ერთეული და სოციალური ძალა პროლეტარიატის დიქტატურის იმ ქვეყანაში, სადაც გლეხური მეურნეობა არსებობს, გლეხური მასსა არის. ამის საუკეთესო მაგალითია საბჭოთა კავშირი.

კაპიტალიზმის პირობებში გლეხობა არ წარმოადგენს დამოუკიდებელ საზოგადოებრივ კლასს. წარმოების კაპიტალისტური წესის თვისება ისეთია, რომ ეს წესი ვერ ინელებს წვრილ მეურნეობას. წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის, კაპიტალისტური კონკურენციის, კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების პირობებში საქონლის წვრილი წარმოება იმ თავითვე განწირულია და სიცოცხლის ნიშანს მოკლებული. მართალია, მნიშვნელოვანი დაბრკოლებით, მაგრამ მაინც აუცილებლად ვითარდება კაპიტალისტური მეურნეობა სოფლად, მსხვილი საწარმო კაპიტალი იჭრება სოფლის მეურნეობაში. ამის შედეგია სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურ გზაზე დაყენება და აქედან გამომდინარე საზოგადოებრივი მოვლენა — გლეხური მოსახლეობის კლასიური დიფერენციაცია. ერთის მხრივ ფეხს იკიდებს მსხვილი კ უ ლ ა კ უ რ ი მეურნეობა, რომელიც შემდეგ კაპიტალისტ-ფერმერის მეურნეობათ იქცევა. მეორე მხრივ — ვითარდება სოფლის მასსის გალატაკება, ამ მასსის გადაქცევა დაქირავებულ ძალათ, ანდა, ლ ე ნ ი ნ ი ს ენაზე რომ ვსთქვათ — გლეხურ პროლეტა-

რებათ. აქ საშუალო გზა არ არის, აგრარული კაპიტალიზმის განვითარების ტენდენცია ახშობს მას. სოფლის მოსახლეობის პირველი ჯგუფი — კულაკური მეურნეობა — მიეკუთვნება მყვლეფელთა კლასს, მეორე — გაყვლეფილთა ბანაკს, ქალაქის პროლეტარიატს.

ფრ. ენგელსი საკმაოთ არკვევს ამ საკითხს თავის ნაწერებში, განსაკუთრებით კი ცნობილ ბროშურაში: „გლეხთა საკითხი გერმანიასა და საფრანგეთში". აქა-იქ ამავე საკითხს ეხება კ. მარქსიც, რომელიც იძლევა მეტად საგულისხმო შენიშვნებს. მეცნიერული კომუნიზმის ორივე მამათმთავარი კარგათ ხედავს გლეხურ მასსის დიფერენციაციას სოფლად და არც ერთი მათგანი არ სთვლის გლეხობას მთლიან დამოუკიდებელ საზოგადოებრივ კლასათ. ფრ. ენგელსი, მაგალითად, არჩევს გლეხობის სამ კატეგორიას: პირველი — გლეხები, რომლებიც ჯერ კიდევ ბატონ-ყმურ ურთიერთობაში იმყოფებიან — ბატონებისთვის მუშაობენ განსაზღვრულ დროს. მეორე — გლეხები-მოიჯარადრენი, რომელთაც არ გააჩნიათ საკმაო მიწა და იძულებული არიან იჯარას მიმართონ. და მესამე — „მსხვილი გლეხები", ე. ი. კულაკები. არც ერთი კატეგორია არ არის დამოუკიდებელი კლასი, თითოული მათგანი მიეკუთვნება ამა თუ იმ საზოგადოებრივ კლასს, რომელიც უკვე მოცემულია საზოგადოებრივ განვითარების მიერ.

ცხადია, საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, ვითომც კაპიტალისტურ საზოგადოებაში მხოლოდ ორგვარი გლეხური მეურნეობაა — მსხვილი და წვრილი. არის საშუალოც, მაგრამ ის დამახასიათებელი, მუდმივი მოვლენა არ არის. კაპიტალისტურ საზოგადოებაში საშუალო გლეხური მეურნეობა გარდამავალი მეურ-

ნეობაა, გარდამავალი წვრილიდან მსხვილ, კულაკურ — ფერმერულ მეურნეობაზე. აქ საშუალო მეურნე მუდმივ ქანაობს ორ პოლიუსს შორის: ჩელი შეუწყო პირობამ—ის კულაკათ იქცევა, არა და — გაღარიბდება. საშუალო გლეხობის შესახებ აი რას სწერს ფრ. ენგელსი: „იქ, სადაც საშუალო გლეხი წვრილ გლეხებს შორის სცხოვრობს, ის ინტერესებითად არ განირჩევა მათგან თავისი ინტერესებით და შეხედულებებით. საკუთარმა გამოცდილებამ უნდა დაანახოს მას, რამდენი მისი ტოლი გლეხი გადაიქცა წვრილ გლეხათ“ [1]). მეორე მხრივ, სულ სხვაა საშუალო გლეხი, რომელიც ეწევა მეურნეობას, სადაც გაბატონებულია „საშუალო და მსხვილი გლეხობა და მეურნეობის წარმართვაც, საზოგადოთ რომ ვსთქვათ, მოითხოვს მოჯამაგირეებს“. ასეთ შემთხვევაში, ენგელსის აზრით, „სულ სხვა მდგომარეობაა“ [2]). აქ საშუალო გლეხი დაქირავებულ შრომის ექსპლოატაციას ეწევა და ის მყელეფელთა კლასს მიეკუთვნება.

ერთი სიტყვით, კაპიტალისტურ მეურნეობის პირობებში გლეხობა ჭრელი მასსაა. ამ სიჭრელეში ორი ზოლი მოსჩანს: კულაკურ-ბურჟუაზიული ფენა და ღარიბი, დაქირავებულ-პროლეტარული მასსა. გლეხობა, როგორც ერთი მთლიანი კლასი, არ არსებობს. ამის ნიადაგი არ არის კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

ბურჟუაზიულ წყობილების დანგრევის შემდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში სურათი რადიკალურად იცვლება. ამ ცვლილების ეკონომიური მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ გამარჯვებული პროლეტარია-

---

[1]) Ф. Энгельс. Крестьянский вопрос... გვ. 70.

[2]) იქვე.

ტის ეკონომიური პოლიტიკა მიმართულია სოფლის მეურნეობის არა კაპიტალისტურ, არამედ სოციალისტურ ევოლიუციისაკენ. გამარჯვებული პროლეტარიატის სახელმწიფოებრივი ღონისძიება, დიქტატურის მექანიზმი, სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება, როგორც დამატებითი ეკონომიური ძალა, ერთ მიზანს ემსახურება გლეხობის საკითხში. ეს მიზანია სოფლის წვრილი მეურნეობის „გადაკეთება" მსხვილ გაერთიანებულ, სოციალისტურ მეურნეობათ, სოფლის მეურნეობიდან კაპიტალისტურ ელემენტების განდევნა.

გარდამავალ პერიოდში სოფლის მეურნეობის „მთავარ ფიგურათ" საშუალო გლეხობა გვევლინება. ეს არის საბჭოთა სოფლის ძირითადი მასსა, რომელიც უკვე განსაზღვრულ სოციალ-ეკონომიურ კატეგორიას, დამოუკიდებელ საზოგადოებრივ კლასს წარმოადგენს. ამ საკითხს ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საშუალო გლეხობა წარმოადგენს მეორე საზოგადოებრივ კლასს, რომელსაც ჩვენ ვხედავთ პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში. როგორც კაპიტალისტურ, ისე საბჭოთა ეკონომიკის პირობებში მსხვილი, კულაკური მეურნეობა სახალხო მეურნეობის კაპიტალისტურ სექტორს მიეკუთვნება. მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობა, რომელიც კოლექტიურ ფორმებშია ჩამოყალიბებული, საბჭოთა ეკონომიკის სოციალისტურ ნაწილს შეადგენს. უღარიბესი გლეხობა და მოჯამაგირეობა პროლეტარიატის რიგებში ითვლება.

აქ განსაკუთრებული და დამოუკიდებელი ადგილი საშუალო გლეხობას უჭირავს. აი გლეხობის ეს უდიდესი

ნაწილი ახალ საზოგადოებრივ კლასს შეადგენს.

რა არის კლასი? „კლასი ეწოდება ადამიანთა დიდ ჯგუფებს — სწერს ლენინი, — რომლებიც განსხვავდებიან თავიანთი ადგილით საზოგადოებრივ წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში, თავიანთი დამოკიდებულებით... წარმოების საშუალებებთან, თავიანთი როლით შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში და, მაშასადამე, საზოგადოებრივ სიმდიდრის იმ ნაწილის მიღებით და რაოდენობით, რომლითაც (ნაწილი) ისინი სარგებლობენ“ [1]).

ასეთ წმინდა მარქსისტულ თვალსაზრისით თუ მივუდგებით — და ეს საეჭვო არაა — საზოგადოებრივ კლასის ბუნების გარკვევას, დავინახავთ, თანამედროვე საშუალო გლეხობა სავსებით შეიცავს ყველა აქ ჩამოთვლილ დამახასიათებელ ნიშანს. საზოგადოებრივი კლასი პიროვნებათა ისეთი კრებულია, რომელსაც თანაბარი ადგილი უჭირავს წარმოების საზოგადოებრივ პროცესში, აქვს არსებობის საერთო წყარო და საერთო ინტერესები, ცხადია, გააჩნია საერთო მოწინააღმდეგეც. ასეთია ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ჩვენს პირობებში ასეთივე სოციალური კატეგორიაა საშუალო გლეხობაც.

წარმოების საზოგადოებრივ პროცესში საქონლის წვრილი მწარმოებლის საშუალო ერთეული განსაზღვრული სოციალური ტიპია. შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში მისი როლი სრულებით გარკვეულია. საშუალო გლეხი წვრილი მესაკუთრეა, საქონლის წვრილი მწარმოებელი. მას გააჩნია საკუთარი საწარმოო ია-

---

[1]) Собр. соч., т. XVI, გვ. 249.

რაღები. საერთო ნაციონალურ შემოსავალში მას განსაკუთრებული „წვლილი“ შეაქვს და განსაზღვრულ ნაწილსაც ღებულობს. მართალია, ის არ ეკუთვნის მყვლეფელთა ჯგუფს, ის არ სარგებლობს სხვისი ექსპლოატაციით, არ ითვისებს დაქირავებულ შრომით შექმნილ ზედმეტ ღირებულებას. მაგრამ ამავე დროს მას გააჩნია საკუთარი კლასიური ინტერესი. კერძოთ, ეს ინტერესი უმთავრესად საბაზრო ურთიერთობას ემყარება: როგორც საქონლის წვრილი მწარმოებელი საშუალო გლეხი უპირისპირდება — განსაზღვრულ თვალსაზრისით — საქონლის მსხვილ მწარმოებელს — პროლეტარიატს — პროდუქტების არა თანაბარი, არა ეკვივალენტური გაცვლა-გამოცვლის, საქონლის ფასების ნიადაგზე. საქონლის წვრილი მწარმოებლის „სოციალური ინსტიქტია“ საბაზრო ურთიერთობის გაფართოვება, გაღრმავება ყველა აქედან გამომდინარე შედეგით. მისი კლასობრივი ფსიხოლოგია საქონლის წვრილი მწარმოებლის ფსიხოლოგიაა.

კითხვა ისმება: ნამდვილად მოითხოვს თუ არა საქონლის წვრილი მწარმოებლის ინტერესი საბაზრო ურთიერთობის გაღრმავებას? საშუალო გლეხობა შეგნებულად არ გაყვება ამ მოთხოვნილებას. საბაზრო ურთიერთობის გაღრმავება ნიშნავს კაპიტალისტურ მეურნეობის განვითარებას, კაპიტალიზმის გამარჯვებას. კაპიტალიზმს კი საშუალო გლეხობისათვის მხოლოდ ეკონომიური განადგურება მოაქვს. კაპიტალიზმი ანაგდურებს საშუალო გლეხობას, როგორც სოციალურ-ეკონომიურ საზოგადოებრივ ძალას. ამიტომ საშუალო გლეხობის ინტერესი მოითხოვს საწარმოო ურთიერთობის ვაფართოვებას. მსხვილ, გაერთიანებულ მიწათმოქმედება-

ზე გადასვლას, კოლექტიურ მეურნეობის ფორმების შემოღებას — კაპიტალიზმის უარყოფას.

პროლეტარიატის ეკონომიური პოლიტიკის მიზანია საქონლის წვრილ მწარმოებელთა მასების დაყენება საზოგადოებრივ განვითარების სოციალისტურ გზაზე.

აი რა არის საზოგადოებრივ კლასთან — საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცების საფუძველი.

ამ რიგათ, გარდამავალ პერიოდში ჩვენ გვაქვს ორი ძირითადი საზოგადოებრივი კლასი — პროლეტარიატი და გლეხობა, ე. ი. გლეხობის საშუალო ნაწილი *). ეს საშუალო გლეხობა არის მეორე ძირითადი კლასი პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში.

მესამე საზოგადოებრივი კლასია ბურჟუაზია — „ადამიანთა კრებული", რომელიც შეიცავს კაპიტალისტურ ელემენტებს საბჭოთა სახალხო მეურნეობაში. ამ კლასში თავს იყრის ქალაქის ნეპმანური, კონცესიონური, ვაჭრული და სოფლის კულაკური ფენები. მართალია, აქ ვღებულობთ ერთგვარ დიფერენციაციას, სხვადასხვა ფენებს, მაგრამ ეს საგულისხმო არაა: თვით კაპიტალისტური ბურჟუაზიაც შესდგება სავაჭრო, საწარმოო და ფინანსიური კაპიტალის წარმომადგენელ ჯგუფებისაგან. მიუხედავად ამისა, კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ბურჟუაზია ერთი მთლიანი საზოგადოებრივი კლასია.

---

*) ლენინი ამბობს: „გლეხობა განსაკუთრებული კლასია. როგორც მშრომელი, ის მტერია კაპიტალიზმის, მაგრამ ამავე დროს ის კერძო მესაკუთრეა" (Собр. соч., ტ. XVI, გვ. 215). მაშასადამე, ლენინის აზრით, განსაკუთრებული კლასია მშრომელი, კერძო მესაკუთრე გლეხობა, რომელიც შეადგენს „მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას", კაპიტალიზმის მტერია და პროლეტარიატის მოკავშირე. გლეხობის ეს მშრომელი ნაწილი უმთავრესად საშუალო გლეხობაა. „მშრომელი გლეხი" საშუალო გლეხის სინონიმია...

„საბჭოთა ბურჟუაზია“ ხასიათდება კლასიურობის ყველა იმ ნიშნით, რომელსაც მარქსისტული სოციოლოგია აყენებს საზოგადოებრივ კლასის განსაზღვრის დროს. საზოგადოებრივ წამროების „ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში“ ჩვენს ბურჟუაზიას განსაზღვრული ადგილი უჭირავს. ის არის ექსპლოატატორთა ფენა, რომლის მყელეფელური მადა შეზღუდულია პროლეტარულ სახელმწიფოს რკინის მუხრუჭით. საბჭოთა ეკონომიკის კაპიტალისტურ-ბურჟუაზიული ელემენტები ითვისებენ ზედმეტ ღირებულებას, რომელსაც დაქირავებული შრომა ქმნის. კონცესიონერი, კერძო მრეწველი შრომის ექსპლოატაციით „აგროვებს კაპიტალს“. მართალია, ამ ექსპლოატაციის საზღვრები ჩვენში სულ სხვაა, ვინემ ევროპა-ამერიკაში. კაპიტალისტური ელემენტების საწარმოო მოგებაც გაცილებით მცირეა ჩვენში. ფაქტი კი უეჭველია: დაქირავებული შრომის ექსპლოატაციით, ზედმეტი ღირებულების მითვისებით სცოცხლობს მეურნეობის კაპიტალისტური სექტორი.

არის თუ არა ბურჟუაზია კ ლ ა ს ი მიმდინარე პერიოდში? ჩვენის აზრით — არის უსათუოდ, და არც ისე უმნიშვნელო, ულონო და უსუსური, როგორც ეს შეიძლება ვიფიქროთ. თუ „ნეპის“ პირველ ხანებში ბურჟუაზიული ელემენტები ნაცარ-ტუტას წარმოადგენდენ, სხვაა ამ ელემენტების ხვედრითი წონა და საზოგადოებრივი როლი სოციალურ განვითარების დღევანდელ პირობებში. საბჭოთა ეკონომიკის ევოლიუციის თანამედროვე საფეხურზე კაპიტალისტურ ელემენტების როლის შეუფასებლობა, არა სწორათ წარმოდგენა დიდ საშიშროებას უქადის სოციალიზმის მშენებლობას.

მეორე კითხვაა, არის თუ არა ბურჟუაზია ძ ი რ ი თ ა დ ი საზოგადოებრივი კლასი? არა, არ არის. ბურჟუაზია

ძ ი რ ი თ ა დ ი საზოგადოებრივი კლასია კაპიტალისტურ საზოგადოებაში. პროლეტარული რევოლიუცია ამსხვრევს ბურჟუაზიის ეკონომიურ ხერხემალს, ახდენს ბანკების მრეწველობის, მადნეულობის, მიწის ნაციონალიზაციას. კერძო კაპიტალი სასიცოცხლო მთავარ ძარღვს — საწარმოო საშუალებათა მონოპოლიას — მოკლებულია. სახალხო მეურნეობის სადაკეები გამარჯვებული პროლეტარიატის ხელშია. გარდამავალ პერიოდის ეკონომიკა სოციალიზმის გზით ვითარდება. ბურჟუაზიამ დაჰკარგა ძველი ხელმძღვანელი როლი წარმოების საზოგადოებრივ პროცესში. საერთო ნაციონალურ სიმდიდრის განაწილებაში ის უკვე არ თამაშობს წინანდელ როლს, რადგან ამ განაწილების კაპიტალისტური წესი — ზედმეტი ღირებულების მითვისება — საკმაოთ განდევნილია და ჩქარი ნაბიჯით იცვლება განაწილების წმინდა სოციალისტურ წესათ. განაწილების სოციალურ თეორიაში ბურჟუაზიული პრინციპი უარყოფილია, ხოლო ამ განაწილების პრაქტიკაში ეს პრინციპი იბრძვის სიკვდილს. საერთო ნაციონალურ შემოსავლის ნაწილს ბურჟუაზიული ელემენტები, კაპიტალისტური სექტორი ჯერ კიდევ ითვისებს უეჭველად. ეს ფაქტია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს ნაწილი თანდათან მცირდება და სრულ არარაობას მიაღწევს სოციალისტურ მეურნეობის განვითარებით.

გარდამავალ პერიოდის ეკონომიკა სოციალისტურ და კაპიტალისტურ ელემენტების ბრძოლაა მეურნეობასა და პოლიტიკაში. ამ ბრძოლის ძირითადი ხაზია სოციალიზმის გამარჯვება კაპიტალიზმზე. პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებით, „რევოლიუციონური გარდაქმნის" გაძლიერებით საბჭოთა ეკონომიკის კაპიტალისტური სექტორი ეცემა, ხშირათ ძალიან ჩქარი ნაბიჯით და ასეთივე

ტემპით ვითარდება სოციალისტური მეურნეობა. ცხადია, საზოგადოებრივი კლასი ეკონომიური კატეგორიაა და ეკონომიურ საფუძვლის შესუსტება-მოსპობასთან ერთად სუსტდება და ისპობა თვით ამ საფუძველზე დამყარებული სოციალური ერთეული. ბურჟუაზია, როგორც კლასი, ისტორიულად აუცილებელ დეგრადაციის გზაზე სდგას, მისი ხვედრითი წონა აუცილებლად ეცემა. განა შეიძლება ასეთი კლასი ძირითადი საზოგადოებრივი კლასი იყოს? რასაკვირველია, არ შეიძლება.

სრულებით სამართლიანად სწერდა კ. კაუცკი მსხვილ მიწათმფლობელთა კლასის შესახებ კაპიტალისტურ წყობილებაში, რაც ჩვენ შეგვიძლია ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ კლასის მაგალითად გამოვიყენოთ პროლეტარიატის რევოლიუციონური დიქტატურის პერიოდში: „საზოგადოებაში კლასის მდგომარეობა დამოკიდებულია არა მის ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ზ რ დ ა ზ ე, არამედ მის შ ე დ ა რ ე ბ ი თ პ რ ო გ რ ე ს ზ ე, ე. ი. მის პროგრესზე სხვა კლასებთან შედარებით“ [1]). ამ სრულიად სამართლიან თვალსაზრისით კიდევ უფრო აშკარავდება, რომ ჩვენი ბურჟუაზია ძ ი რ ი თ ა დ ი საზოგადოებრივი კლასი არ არის.

მართალია, საზოგადოებრივ განვითარების ზოგიერთ საფეხურზე კაპიტალისტური სექტორი შეიძლება ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა თ გაიზარდოს. მთავარია ამ სექტორის შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი ზრდა, მაგრამ ამას ადგილი არ აქვს საბჭოთა ეკონომიკის პირობებში, და არც შეიძლება ჰქონდეს. პირიქით, შედარებით კაპიტალისტური ელემენტების როლი გაცილებით შეიზღუდა და იზღუდება კიდეც, რა

---

[1]) К. Каутский. Классовые интересы, გვ. 19. ხაზი ჩვენია.

თქმა უნდა, სოციალიზმის მშენებლობის გაძლიერების ნიადაგზე.

აღსანიშნავია აგრეთვე, გარდამავალ პერიოდში კაპიტალისტურ-ბურჟუაზიული ელემენტები მთლიან პოლიტიკურ ერთეულს არ წარმოადგენენ, მათ არ გააჩნიათ საკუთარი პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია. აშკარაა, ამით იმის თქმა როდი შეიძლება, ვითომც ჩვენი ბურჟუაზია ჯერ კიდევ იყოს „კლასი თავისთავად" და არა „კლასი თავისათვის". პოლიტიკური შეგნების და გათვითცნობიერების თვალსაზრისით საბჭოთა ბურჟუაზიას კარგად აქვს შეგნებული საკუთარი კლასობრივი ინტერესები და თამამად წარმოადგენს ამ მხრივ კლასს an und für sich. მხოლოდ საქმე იმაშია, რომ გამარჯვებული პროლეტარიატი ძირშივე სპობს ბურჟუაზიის პოლიტიკურ თვითმოქმედებას და ორგანიზაციულად ჩამოყალიბების ცდას.

მოკლეთ: პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში ბურჟუაზია ძირითადი საზოგადოებრივი კლასი არ არის და არც შეიძლება იყოს. ამიტომ სცდება ის, ვინც ფიქრობს, ვითომც პროლეტარიატის რევოლიუციონური დიქტატურის პირობებში პოლიტიკურად სრულებით, ხოლო ეკონომიურად საკმაოთ განადგურებული „ახალი ბურჟუაზია" ძირითად საზოგადოებრივ კლასს წარმოადგენდეს.

კომინტერნის VI მსოფლიო კონგრესზე ამხ. ე. ვარგამ მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური და თეორიული შეცდომა დაუშვა — ბურჟუაზია ძირითად კლასათ გამოაცხადა [1]). ამხ. ვარგას აზრით ჩვენს პირობებში

---

[1]) იხ. ამხ. ვარგას სიტყვა: Правда, 5 — IX — 1928. ამის შესახებ იხ. ერთი ამხანაგის შეკითხვა და პასუხი Правда-ს სახელით: Революция и культура, 1929, № 8, გვ. 75 — 76.

ს ა მ ი ძ ი რ ი თ ა დ ი კლასია და არა ო რ ი, როგორც ჩვენ გვგონია. ასეთი შეხედულება სწორი არ არის, ის არ ემყარება საბჭოთა სინამდვილის, არსებულ სოციალურ ვითარების სწორ ანალიზს.

შედარებით ასეთივე შემცდარ შეხედულებას გამოსთქვამს ამხ. ა. ა ნ გ ა რ ო ვ ი. ის აღნიშნავს, რომ ჩვენში არსებობს სამი საზოგადოებრივი კლასი: პროლეტარიატი, გლეხობა და ბურჟუაზია. მაგრამ ავტორი ვერ არკვევს, რომელია ამ კლასებს შორის ძ ი რ ი თ ა დ ი კლასები. აშკარაა, ის სამივე კლასის ხვედრითი წონას და საზოგადოებრივ როლს ერთ და იმავე საზომით ზომავს. მეტად ავტორიტეტულ სამეცნიერო ორგანიზაციის მიერ გამოცემულ შრომაში ა. ა ნ გ ა რ ო ვ ი სწერს:

„გარდამავალ ეპოქის ჩვენს პირობებში ჩვენ გვაქვს შემდეგი კლასები: 1) პროლეტარიატი (ქალაქის და სოფლის) — წარმოების სოციალისტური წესი; 2) „გლეხობა" (საშუალო გლეხები, ხელოსნები) — საქონლის უბრალო წარმოება; 3) კაპიტალისტური ბურჟუაზია (ნეპმანები, კულაკები) — წარმოების კაპიტალისტური წესი" [1]).

როგორც ვხედავთ, ავტორის სქემაში სამივე საზოგადოებრივ კლასს თანაბარი ადგილი უჭირავს. ამიტომ ამხ. ა ნ გ ა რ ო ვ ი ს მოსაზრებიდან, ჩვენის აზრით, ასეთი დასკვნა გამომდინარეობს: საბჭოთა ბურჟუაზია ავტორს ერთ-ერთ ძ ი რ ი თ ა დ კლასათ მიაჩნია. მაშასადამე, ავტორი ისეთივე შეცდომას სჩადის, როგორიც დაუშვა ამხ. ვ ა რ გ ა მ.

---

[1]) А. Ангаров. Классовая борьба... კომაკადემიის გამოცემა. გვ. 4, სხოლიო.

პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში ბურჟუაზია ძირითადი საზოგადოებრივი კლასი არ არის. ბურჟუაზია ძირითად საზოგადოებრივ კლასათ მოგვევლინება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სოციალიზმის განვითარების გზა კაპიტალიზმის გამარჯვებამ გადასჭრა.

ვფიქრობთ, ეს დებულება საკმაოდ ცხადია და არც საჭიროებს გაჭიანურებას.

ახლა ჩვენს წინაშე მეტად საინტერესო საკითხი ისმება: რა ადგილი უჭირავს კლასთაშორისო ჯგუფებს თანამედროვე საზოგადოების კლასიურ დიფერენციაციაში?

აქ განსაკუთრებულ ყურადღებას ინტელიგენცია იპყრობს. ინტელიგენცია დამოუკიდებელი საზოგადოებრივი კლასი არ არის. ის კლასთაშორისო საზოგადოებრივი ფენაა, რომელსაც მრავალი სფეციფიური ნიშანი ახასიათებს. მთავარი დამახასიათებელი თვისება — ესაა გონებრივი შრომა. უპირველესად ყოვლისა ამით განსხვავდება ინტელიგენტი ფიზიკურ შრომის წარმომადგენლისაგან. რასაკვირველია, ეს განსხვავება აბსოლუტური არ არის. გონებრივ შრომას თან ახლავს ფიზიკურ შრომის ელემენტი, ფიზიკურ შრომას — გონებრივის ელემენტი. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ეს „ელემენტები" იმდენად უმნიშვნელოა, რომ მათი გარჩევა მიკროსკოპითაც ძნელია. ბურჟუაზიულ წყობილება გონებრივ და ფიზიკურ შრომის დაპირისპირებაა, მათი კავშირის გაწყვეტა.

გარდამავალ პერიოდში, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ინტელიგენციის საკითხი სულ სხვა ნია-

დაგზე სდგას. ეს ნიადაგია გონებრივ და ფიზიკურ შრომის, თეორიისა და პრაქტიკის უაღრესად მჭიდრო კავშირი. აქ არ არსებობს „წმინდა გონება“, „მეცნიერი თავისათვის“. მეცნიერება თავისთავად — მეცნიერება ცხოვრებისათვის — ასეთია გარდამავალ ეპოქის ძახილი. ადამიანის შრომის ორ სფეროთ დაყოფა და ამ სფეროების ერთმანეთისაგან გათიშვა მიუღებელია კაცობრიობის მომავლისათვის. პროლეტარული რევოლიუცია აყენებს უდიდეს ისტორიულ ამოცანას — გონებრივ და ფიზიკურ შრომის შედუღებას, შესისხლხორცებას. მიმდინარე პერიოდში ესაა პროლეტარული ინტელიგენციის პრობლემა. პროლეტარიატი იპყრობს — და დაიპყრობს კიდეც — გონებრივ შემოქმედების მწვერვალებს. პროლეტარიატის რევოლიუციონური დიქტატურა არის წმინდა გონების კრიტიკა — ამ კრიტიკის ყველაზე უფრო ბასრი და მკვეთრი იარაღი.

ასეთია კაცობრიობის განვითარების ისტორიული მსვლელობა.

რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ შორსა ვართ ტვინისა და კუნთების კონფლიქტის პრაქტიკულად გადაჭრიდან. გარდამავალ პერიოდში — განსაკუთრებით ამ პერიოდის პირველ საფეხურებზე — საზოგადოებრივ შრომის გონებრივ და ფიზიკურ სფეროებად განაწილება ძალაში რჩება. ინტელიგენცია, როგორც გონებრივი შრომის წარმომადგენელი, საზოგადოების განსაკუთრებულ ფენას შეადგენს. როგორია ინტელიგენციის „კლასიური სახე“, მისი ადგილი შრომის საზოგადოებრივ პროცესში?

ინტელიგენცია კლასთაშორისო საზოგადოებრივი ჯგუფია. ეს იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ინტელიგენციას არ უჭირავს დამოუკიდებელი ადგილი, ის

არ თამაშობს დამოუკიდებელ საზოგადოებრივ როლს. ინტელიგენცია სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასებშია გათქვეფილი. ამიტომაც არის ინტელიგენცია ბურჟუაზიული და პროლეტარული, აზნაურული და გლეხური, — გაბატონებული და დაჩაგრული. თითოეულ საზოგადოებრივ კლასს ყავს თავისი ინტელიგენცია. ინტელიგენცია კლასის ნაწილს შეადგენს, კლასიურ ხასიათს ატარებს, კლასიურ ბუნებას შეიცავს. ინტელიგენცია დამოუკიდებელი საზოგადოებრივი კლასი არ არის, მაგრამ ის არც ზეკლასიურია. ინტელიგენცია განსაზღვრულ კლასიურ ინტერესებს ემსახურება, ამ ინტერესებისათვის იბრძვის.

მაშასადამე, ინტელიგენცია უმთავრესად ორ ბანაკად იყოფა. ერთია ბანაკი კაპიტალის, მეორე — შრომის. ინტელიგენცია ამ ორ პოლიუსს შორის ქანაობს: მისი ერთი ნაწილი მყვლეფელთა კლასს ეკუთვნის, მეორე — გაყვლეფილების ლაშქარს.

არის საშუალო ნაწილიც, რომელიც „არც იქით, არც აქეთის“ პოლიტიკას იზიარებს. ესაა დეგრადაციის გზაზე შემდგარი ნაწილი, მოკლებული ყოველგვარ საზოგადოებრივ ინტერესსა და იდეალებს. მისი ინტერესია პირადი „ბედნიერება“, მისი იდეალია მეშჩანური მყუდროება. ინტელიგენციის ეს ნაწილი — შრომისა და კაპიტალის მძაფრ შეტაკების პროცესში — საერთოდ ინტელიგენციის დამახასიათებელი არ არის.

როგორია ინტელიგენციის კლასიური დიფერენციაციის საზომი, იარაღი?

პროფ. სოლნცევი გონებრივი მუშაკის კლასიურ ბუნების გამორკვევაში ერთგვარი „გეოგრაფიული“ თვალსაზრისით ხელმძღვანელობს. მისი აზრით, ექიმი, რომე-

ლიც მუშათა უბანში სცხოვრობს, მუშებს ექიმობს, მუშათა კლასის იდეოლოგიით, მუშური ფსიხიკით იმსჭვალება. ის პროლეტარიატს მიეკუთვნება. პირიქით, ექიმი, რომელიც საზოგადოების გაბატონებულ წრეებთანაა დაკავშირებული, ექიმობს მათ, ბურჟუაზიას ეკუთვნის [1]).

პროფ. ს ო ლ ნ ც ე ვ ი ს ეს მოსაზრება საერთოდ სწორია. ავტორი აქ სწორ დებულებას აყენებს. საჭიროა მხოლოდ ამ დებულების დამტკიცება, დასაბუთება.

ინტელიგენციის ჯგუფების კლასიურობის საკითხი ასეთ ნიადაგზე უნდა დაისვას: როგორია ამ ჯგუფების როლი და ხვედრითი წონა ნაციონალურ შემოსავლის განაწილებაში, ამ შემოსავლის მითვისებაში, როგორია მათი როლი შრომის საზოგადოებრივ პროცესში. მოკლეთ: ქმნის თუ არა ეს ჯგუფები ზედმეტ ღირებულებას და წარმოადგენს თუ არა ექსპლოატაციის საგანს. აი ამ კითხვებზე პასუხით ამოიწურება უმთავრესად ინტელიგენციის ამა თუ იმ ფენის კლასიურობის საკითხი. ექიმი, რომელიც მკურნალობს ბურჟუაზიას, ბურჟუაზიულ წრეში ტრიალებს, საერთო ნაციონალურ შემოსავლიდან გაცილებით მეტს ღებულობს. მისი ეკონომიური მიზანი ბურჟუას მიზანს ეთანაბრება. მისი იდეოლოგია ბურჟუაზიის იდეოლოგიაა. ი დ ე ო ლ ო გ ი უ რ ი მომენტი არის ინტელგენციის კლასიური მიმართულების აშკარა და უტყუარი მაჩვენებელი.

ინტელიგენციის ნაწილი, რომელიც ქ ო ნ ე ბ რ ი ვ ა თ დაკავშირებულია კაპიტალთან, ბურჟუაზიასთან, მყვლე-

---

[1]) Солнцев. Общественные классы, გვ. 212 და სხ. აქ ავტორი არჩევს ინტელიგენციის კლასიურობის საკითხს კაპიტალისტურ საზოგადოებაში: იხ. აგრეთვე: проф. Е. Варга. Проблемы экономической политики при диктатуре пролетариата, გვ. 78 — 87.

ფელთა კლასის განუყრელ ნაწილს შეადგენს. მისი მსოფლმხედველობა, ზნეობა, ჩვეულება და საზოგადოებრივი ინტერესი ბ ურ ჟ უ ზ ი უ ლ ი ა. ასეთი ინტელიგენციის დანიშნულებაა ბურჟუაზიული იდეოლოგიის განმტკიცება სულიერ კულტურის ყველა დარგში: მეცნიერებაში, მხატვრულ ლიტერატურაში, სახვითი ხელოვნებაში, თეატრში და სხვადასხვა. კ. მ ა რ ქ ს ი ც სამართლიანად შენიშნავდა, რომ ბურჟუაზია გამოყოფს გონებრივ მუშაკთა დაქირავებულ რაზმს, რომლის ერთად ერთი მოვალეობაა მუშათა კლასის ს უ ლ ი ე რ ა თ ა ც დამონავება.

სულ სხვაა, როცა საქმე გვაქვს პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ინტელიგენციასთან. მისი დამახასიათებელია: კავშირი პროლეტარიატთან, პროლეტარული პსიხოლოგიით და იდეოლოგიით გამსჭვალვა, ექსპლოატაცია გაბატონებულ კლასების მხრივ. პროლეტარული ინტელიგენცია პროლეტარიატის მსოფლმხედველობას ატარებს და პროლეტარიატის რიგებში იბრძვის. მისი ეკონომიური და პოლიტიკური იდეალები მოწინავე პროლეტარიატის საზოგადოებრივ იდეალებს ეთანაბრება.

პროლეტარული ინტელიგენცია არის ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ინტელიგენცია.

ავიღოთ კონკრეტიული მაგალითი — მ წ ე რ ლ ო ბ ა. რომელ კლასს მიეკუთვნება მხატვრული სიტყვის წარმომადგენელი?

მწერლობა უაღრესად კლასიური მოვლენაა. კლასიურ საზოგადოებაში არ არსებობს ზეკლასიური ხელოვნება. თითოეულ საზოგადოებრივ კლასს ყავს საკუთარი მხატვარი, საკუთარი ხელოვანი. მწერალი ამა თუ იმ კლასის ინტერესებს ემსახურება, ამა თუ იმ კლასის იარაღათ ითვლება. შეიძლება მ წ ე რ ა ლ ი პირადათ არც ერთ კლა-

სთან არ იყოს უშუალოდ დაკავშირებული. მაგრამ არ არსებობს ზეკლასიური მ წ ე რ ლ ო ბ ა.

ყოველი მწერალი მიეკუთვნება იმ კლასს, რომლის სულისკვეთებით, საზოგადოებრივ იდეალებით, ფსიხოლოგიით არის ის „გამთბარი“ და, რაც მნიშვნელოვანია — რომელთანაც მწერალი დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი ა სოციალურათ. მწერალი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ა, თუ ის საზოგადოების კაპიტალისტურ ფენებს „უგალობს ტკბილ ჰანგებს“, ახდენს ამ ფენების „იდეალიზაციას“; თ ა ნ ა მ გ ზ ა ვ რ უ ლ ი ა, თუ იღებს პროლეტარულ რევოლიუციას და სცდილობს მის ასახვას მხატვრულ სახეებში; პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი ა, თუ მხატვრულ ფაქტების შექმნაში პროლეტარიატის თვალსაზრისით ხელმძღვანელობს და მარჯვეთ იყენებს ამ თვალსაზრისს.

აი, მაგალითად, მწერალი, მხატვრული სიტყვის ოსტატი. ის დაიბადა „ერთ ბნელ სარდაფში, სადაც მზის სხივი ვერა სწვდებოდა“. მისი მხატვრული კალამი უანგაროთ ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ

> მათ, რომელთა გმინვა-გოდებასაც დაუხეთქნია ქალაქის მარმარილოს ცივი კედლები.
>
> მათ, რომელთა მომსქდარ ცრემლთა ღვართქაფსაც აუყრია ქუჩის ქვაფენილები.
>
> მათ, რომელთა სიშიშვლესა და სიძვალტყავესაც' დამფრთხალ ცახცახით შემოუვლია სიმდიდრით სავსე ძუნწი ქალაქი და რომელთა საზრდოც ყოფილა ნერწყვი.
>
> მათ, რომელთაც არ გააჩნია თავშესაფარი და რომელთა მოთქმა-ვაებასაც დაურღვევია მყუდროება მძინარე ღამის... (გ. ქ უ ჩ ი შ ვ ი ლ ი. ლექსები, 1929).

ცხადია, ასეთი მწერალი არის პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი მწერალი.

საზოგადოების კლასიური დიფერენციაცია აუცილებლად ნიშნავს მწერლობის დიფერენციაციასაც. მწერლობის ერთი ნაწილი პროლეტარიატის მხარეზე ირაზმება, მეორე — ბურჟუაზიის. კლასთა ბრძოლის პროცესში მწერლობა სათანადო ადგილს იკავებს. კლასთა ბრძოლის განვითარება ღრმა დაღს ასვამს მხატვრულ შემოქმედებაზე. კლასიურ ძალთა განწყობილება, ბრძოლის სასწორის ქანაობა აუცილებლად ახდენს გავლენას იდეოლოგიურად ნაკლებად მტკიცე მწერალზე. ამიტომ ადვილად მოხდება „უცნაური ამბავი": მწერალი ერთი ბანაკიდან „მოულოდნელად" მეორეში გადავარდება.

კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ბრძოლის პირობებში ძნელია მწერლის საბოლოოდ დადაღვა ამა თუ იმ სახელწოდებით.

უნდა გავითვალისწინოთ კლასთა ბრძოლის განვითარების ლოღიკა...

ამ რიგათ, გარდამავალ პერიოდში ჩვენ გვაქვს ორი-ძირითადი საზოგადოებრივი კლასი— პროლეტარიატი და გლეხობა. ამ ორ ძირითად კლასის გვერდით არსებობს არა ძირითადი, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი საზოგადოებრივი კლასი—ბურჟუაზია.

პროლეტარიატის რევოლიუციონური დიქტატურის პირობებში ბრძოლა სწარმოებს აი ამ სამ საზოგადოებრივ კლასს შორის.

ცხადია, სოციალისტური პროლეტარიატის კლასიური ინტერესი მთელი თავისი სიმწვავითა და სიმკაცრითაა და-

პირისპირებული ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების ინტერესებთან — საბჭოთა ბურჟუაზიასთან.

კლასიური ბრძოლა სწარმოებს პროლეტარიატსა და მშრომელ, საშუალო გლეხობას შორისაც. დიქტატურის ხანაში ეს ბრძოლა განსაკუთრებულ ფორმაშია ჩამოყალიბებული. ეს არის „კლასიური კავშირის" ფორმა. ამაზე დაწვრილებით ქვეეით ვილაპარაკებთ.

მაშასადამე, გარდამავალ პერიოდში, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოში „კლასთა ბრძოლის სამი ფრონტია" გაშლილი.

მოკლეთ, ეს არის სოციალიზმისა და კაპიტალიზმის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ფრონტი, შრომისა და კაპიტალის ბრძოლის ასპარეზი.

III

კლასთა ბრძოლა და წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია

ადამიანთა საზოგადოების ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია.

პირველყოფილი კომუნიზმის შემდეგ ადამიანთა საზოგადოება არასოდეს არ წარმოადგენდა ერთ მთლიან კოლექტივს, მთლიან საზოგადოებრივ კრებულს, რომლის თითოეული ერთეული არ იქნებოდა ბატონობა-დამორჩილების საფუძველზე დამყარებული. შრომის განაწილებამ, საწარმოო ძალთა განვითარებამ და აქედან გამომდინარე ადამიანთა ნივთიერ ურთიერთობის ძირ-ბუდიანად, რადიკალურად შეცვლამ კაცობრიობა მოწინააღმდეგე საზოგადოებრივ კლასებათ დაანაწილა, კლასთა ბრძოლის ისტორიული აუცილებლობა წარმოშვა.

თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოების კლასებათ დაყოფას, ამ საზოგადოების კლასიურ ხასიათს თვით ბურჟუაზიული ისტორიკოსები და მოაზროვნენი სცნობდნენ. ისინი იმასაც კი ამჩნევდნენ, რომ საზოგადოებრივ კლასების ინტერესები ერთნაირი არ არის და ამიტომ ადგილი აქვს კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ა ს*).

---

*) ამის შესახებ იხ. „კომუნისტურ მანიფესტის" რუსულ გამოცემის ვრცელი წინასიტყვაობა, რომელიც ეკუთვნის გ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი ს კალამს. იხ. აგრეთვე პროფ. სოლნცევის დასახელებული წიგნი.

მ ა რ ქ ს-ე ნ გ ე ლ ს მ ა კლასთა ბრძოლის თეორია მეცნიერულ და რევოლიუციონურ პრინციპებზე ააგეს. თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოება კლასებათ დაყოფილი საზოგადოებაა. სწარმოებს ბრძოლა ამ კლასებს შორის. ეს საერთოდ ცნობილი სოციალური ფაქტია. ახალი და უმთავრესი, რაც მარქს-ენგელსმა კლასთა ბრძოლის თეორიაში შეიტანეს, ესაა: პირველი — შ ე უ რ ი-გ ე ბ ე ლ ი ა ძირითად საზოგადოებრივ კლასების, სახელდობრ — ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კლასიური ინტერესები და, მეორე — კლასიურ ანტაგონიზმს, კლასთა ბრძოლის განვითარებას რკინის აუცილებლობით მიყავს კაცობრიობა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ი ქ-ტ ა ტ უ რ ი ს ისტორიულ გამარჯვებისკენ. პროლეტარიატის დიქტატურა კი უკლასო საზოგადოების, კომუნისტური ურთიერთობის განხორციელების იარაღია, საშუალება.

ა ი რ ა ს ამბობდა თვითონ კ. მ ა რ ქ ს ი ამ საკითხზე თავის მეგობარ ვ ა ი დ ე მ ა ი ე რ ი ს ა დ მ ი მიწერილ პირად წერილიში:

„ჩემზე ადრე გაცილებით ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა გააშუქეს კლასთა ბრძოლის ისტორიული განვითარება, ხოლო ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა ასევე გაარკვიეს ამ კლასების ეკონომიური ბუნება. ახალი, რასაც მე ვიძლევი, მდგომარეობს იმაში, რათა დავამტკიცო: 1) კლასების არსებობა დაკავშირებულია მხოლოდ წარმოების განვითარების განსაზღვრულ ისტორიულ სტადიასთან; 2) კლასთა ბრძოლას აუცილებლად მივყევართ პროლეტარიატის დიქტატურისაკენ და 3) თავისთავად ეს დიქტატურა წარმოადგენს მხოლოდ გადასვლას კლასების

მოსპობაზე საზოგადოთ, გადასვლას საზოგადოებაში, რომელიც მოკლებულია კლასებს"... [1]).

ძირითადი დებულება, რომელსაც აქ მარქსი აყენებს, ესაა პროლეტარიატის დიქტატურა, რომლისაკენ ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ მივყევართ კლასთა ბრძოლის განვითარებას, საზოგადოებრივ კლასთა წინააღმდეგობას. კლასთა ბრძოლა კი ვითარდება და მწვავდება კლასიურ ინტერესების შ ე უ რ ი გ ე ბ ლ ო ბ ი ს ნიადაგზე.

ასეთია კლასთა ბრძოლის მარქსისტული, პროლეტარული თეორია.

რევოლიუციონურ პროლეტარიატს არ ეშინია კლასთა ბრძოლის გამწვავების, გამახვილების. ამ ბრძოლაში ის რაზმავს საკუთარ ძალებს, ლესავს იარაღს კაპიტალზე თავდასასხმელად. ამიტომაც კაპიტალისტურ წყობილებაში მებრძოლ პროლეტარიატის იდეოლოგია არის კლასთა ბრძოლის, სამოქალაქო ომის გაჩაღებისა და განვითარების იდეოლოგია.

სულ სხვა მსოფლმხედველობას ატარებს წ ვ რ ი ლ ი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა. სოციალურად წვრილბურჟუაზიული საზოგადოებრივი ფენა ორ მოწინააღმდეგე კლასს შორის იმყოფება: მარჯვნით — კაპიტალისტური, მსხვილი ბურჟუაზია, მარცხნით — სოციალისტური პროლეტარიატი. აქ მას ერთგვარი საშუალო ადგილი უჭირავს. საზოგადოებრივ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე წვრილი ბურჟუაზია ნეიტრალურ პოზიციას იკავებს კლასთა ბრძოლის საერთო ფერხულში. „ოქროს საშუალო" ამ შემთხვევაში მისთვის ყველაზე უფრო მისაღებია. წვრილი

---

[1]) Эрнест Дран. Маркс и Энгельс о диктатуре пролетариата. М. 1924. გვ. 13.

ბურჟუაზიაც ოცნებობს კლასთა ბძოლის, საზოგადოებრივ კლასების შეტაკების თავიდან აცილებასა და, საერთოდ, კლასთა მშვიდობიან თანამშრომლობაზე.

კლასთა ბრძოლის გაშლა-განვითარების თეორია არ არის წვრილი ბურჟუაზიის მსოფლმხედველობა. როგორც ეკონომიური კატეგორია, წვრილი ბურჟუაზია დამოუკიდებელი არ არის: ცალი ფეხით ის პროლეტარიატის მხარეზე სდგას, მეორეთი — ბურჟუაზიის. მისი პოლიტიკური ფილოსოფია ცენტრიზმია. უკიდურესობა არ არის წვრილი ბურჟუაზიის ბუნებრივი მოთხოვნილება. შემთანხმებლობა, შემრიგებლობა, „არც იქით,არც აქეთ" — ასეთია წვრილი ბურჟუაზიის სულისკვეთება.

წვრილი ბურჟუაზიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეოლოგია არის კლასთა ბრძოლის უარყოფის, საზოგადოებრივ კლასების შერიგება-შეთანხმების, კლასთა ჰარმონიის იდეოლოგია. ამას ამტკიცებს ევროპა-ამერიკის წვრილი ბურჟუაზიის და მისი პარტიების „ისტორიული გამოცდილება".

რასაკვირველია, განსაზღვრულ სოციალურ ვითარებაში წვრილი ბურჟუაზიის ნაწილები კლასთა ბრძოლის მედროშეთ გამოდის. წვრილი მწარმოებელი, რომელიც იდევნება და „იჩაგრება" მსხვილი მწარმოებელის მიერ, ბრძოლის ჟინით იმსჭვალება, ხელს ჰკიდებს საბრძოლველ იარაღს, კლასიურ ბრძოლაში ებმება. მისი ბრძოლა არის ბრძოლა არსებობისათვის — წვრილი წარმოების დამოუკიდბლობისათვის. კაპიტალიზმით განადგურებული წვრილი ბურჟუა „მხეცდება", მოთმინებიდან გამოდის და მოწინააღმდეგეს ეკვეთება. ან სიკვდილი, ან გამარჯვება — ასეთია მისი ლოზუნგი. აქ შერიგება-შეთან-

ხმებაზე არ არის ლაპარაკი — სამკვდრო-სიცოცხლო ბრძოლის ალამია ამართული.

სოციალიზმის თვალსაზრისით, წვრილი ბურჟუაზიის ეს ბრძოლა არ არის რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ო ნ უ რ ი. რატომ? ცხადია, იმიტომ, რომ ეს არის ბრძოლა წვრილი წარმოებისა მსხვილი წარმოების წინააღმდეგ. რამდენად წვრილი ბურჟუაზიის ბრძოლა წვრილი წარმოების შენარჩუნებას ისახავს მიზნათ, ეს ბრძოლაც რეაქციონურია, არა პროგრესიული. ამის შესახებ სწერდნენ კიდეც მარქს-ენგელსი კომუნისტური პარტიის მანიფესტში.

ეკონომიურად გაღატაკებული წვრილი მწარმოებელი ებრძვის მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებას ყოველგვარი საშუალებით. აქ საშუალება უსათუოდ ამართლებს მიზანს. წვრილი ბურჟუაზიის ბრძოლის მეთოდი პ ა რ ტ ი ზ ა ნ უ ლ ი ბრძოლის ხერხია. ქონებრივად განადგურებული წვრილი ბურჟუა შხამითა და სიძულვილით ივსება მსხვილი ბურჟუაზიის მიმართ. მას ეკარგება „მოთმინება" და მზადაა არქი-მემარცხენე ლოზუნგი წამოაყენოს. ასეთ განსაკუთრებულ პირობებში წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია quasi - მემარცხენე იდეოლოგიათ გვევლინება, ულტრა-რევოლიუციონურ ფრაზებით იმოსება.

მოწინავე პროლეტარიატი ებრძვის კაპიტალიზმს სისტემატიურათ, განუწყვეტლივ. ეს ბრძოლა ორგანიზაციულადაა ჩამოყალიბებული. პროლეტარიატი აწარმოებს პ ო ზ ი ც ი უ რ შეტევას კაპიტალის წინააღმდეგ.

აშკარაა, გამხეცებულ, თავბრუდახვეულ, გაღატაკების გზაზე შემდგარ წვრილ ბურჟუაზიას არ მოსწონს პროლეტარული ბრძოლის ეს მეთოდი — მიზანშეუწონლად, ჩამორჩენილად, არა რევოლიუციონურად მიაჩნია. პარტიზანული თავდასხმები, ა ნ ა რ ქ ი უ ლ ი მოძრაობა კაპიტა-

ლიზმის წინააღმდეგ—ასეთია წვრილი ბურჟუაზიის ბრძოლის „ტაქტიკა და სტრატეგია“. მსხვილი კაპიტალის ძლევამოსილი მსვლელობით ხერხემალ ჩამტვრეული და ძარღვებ დაწყვეტილი წვრილი ბურჟუაზია უკმაყოფილებას აცხადებს სოციალისტური პროლეტარიატის „ნელი ნაბიჯით“, კრთის და ცახცახებს პარტიზანული ბრძოლის წყურვილით.

ამიტომაც არის, „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი კომუნიზმში“ უსათუოდ წვრილბურჟუაზიული სათავედან გამომდინარეობს, წვრილბურჟუაზიულ მსოფლმხედველობის სხეულს ახასიათებს, ამ სხეულში სდუღს.

ამ რიგათ, ჩვენთვის ცხადზე უცხადესია წვრილი ბურჟუაზიის როგორც სოციალური ხასიათის, ისე მისი იდეოლოგიის ორმაგი ბუნება. ჩვეულებრივ, ბუნებრივ პირობებში წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგიაა კლასთა ბრძოლის უარყოფის, საზოგადოებრივ კლასების შეთანხმების, შეხმატკბილების იდეოლოგია. არის „გადახვევა“, „გამონაკლისი“. ამას აქვს ადგილი განსაკუთრებულ პირობებში, რომლებზედაც უკვე ვილაპარაკეთ.

კლასთა ბრძოლის წვრილბურჟუაზიული თეორია ფეხს იკიდებს და ყალიბდება არა მარტო კაპიტალიზმის ქვეყნებში. ეს თეორია იჩენს თავს პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოშიაც. ამას აქვს ადგილი ჩვენში, საბჭოთა კავშირშიც. მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ო ბ ი ს „საყმაწვილო სენი კომუნიზმში“ ობიექტიურად კლასთა ბრძოლის წვრილბურჟუაზიულ თვალსაზრისზე სდგას და, მაშასადამე, „კლასიურ ზავის“ შეხედულებას იცავს.

რას ემყარება ჩვენში წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია „კლასიურ ზავის“ წამოყენების დროს, რა არის „კლასიურ ზავის“ თეორიული საფუძველი? ესაა პროლე-

ტარიატის დიქტატურის თ ა ნ დ ა თ ა ნ ო ბ ი თ ი შეცვლა სოციალისტური საზოგადოებით. რამდენად სწორადაა ეს სწორი დებულება გაგებული და ეამოყენებული, ამას ჩვენ დავინახავთ.

კლასთა ბრძოლის წვრილბურჟუაზიული თეორიის წარმოშობა-ჩამოყალიბების ხელსაყრელ ნიადაგს იძლევა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს პ რ ო ბ ლ ე მ ი ს ყალბათ წარმოდგენა, სახელმწიფოს თეორიიდან მარქსისტულ თვალსაზრისის განდევნა. სახელმწიფო არის კლასთა ბრძოლის გამოხატულება. სახელმწიფოს მოსპობა ნიშნავს კლასთა ბრძოლის მოსპობას. აქ ერთი მოვლენა ორგანიულადაა მეორესთან დაკავშირებული. აი რატომ უჭირავს სახელმწიფოს პრობლემას მთავარი ადგილი კლასთა ბრძოლის საერთო თეორიაში.

ნ. ლ ე ნ ი ნ ს აქვს მეტად შესანიშნავი მეცნიერული გამოკვლევა: „ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო დ ა რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ა“. ამ წიგნის გამოცემა მთელი ეპოქაა რევოლიუციონურ მარქზიმისათვის ბრძოლის ისტორიაში. მენშევიკურმა რეფორმიზმმა სრულებით გააყალბა მარქსენგელსის რევოლიუციონური მოძღვრება ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ზ ე. მის როლსა და ისტორიულ მომავალზე. ლენინმა ხელის ერთი მძლავრი მოქნევით ნაცარ-ტუტად აქცია გაბატონებული რეფორმისტული აზრი, ვითომც თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფო დემოკრატიისა და სოციალიზმის აკვანს წარმოადგენდეს.

ჩვენ ვიცით მ ა რ ქ ს-ე ნ გ ე ლ ს ი ს შეხედულება სახელმწიფოზე. სახელმწიფო — მათი აზრით — კლასიურ ბატონობის ორგანოა და მეტი არაუერი. სახელმწიფო კლასიურ ბატონობის იარაღია. „რა არის სახელმწიფო?“— აყენებს კითხვას ლენინი და იქვე უპასუხებს: „სახელმწი-

ფო არის ერთი კლასის მიერ მეორე კლასის დამორჩილების (подавление) მანქანა" [1]). ასეთია სახელმწიფოს კლასიური ბუნება. ყოველგვარი სახელმწიფო გაბატონებულ კლასის „მანქანაა", რომლის საშუალებით ეს კლასი საზოგადოების დანარჩენ ნაწილს იმორჩილებს. „სახელმწიფო არის კლასთა შ ე უ რ ი გ ე ბ ლ ო ბ ი ს პროდუქტი და გამოხატულება — განაგრძობს ლენინი. — სახელმწიფო წარმოიშვება იქ, მაშინ და იმდენად, როდესაც და რამდენად კლასთა წინააღმდეგობანი შეუძლებელია იქნენ შერიგებული, და პირიქით: სახელმწიფოს არსებობა მოწმობს, რომ კლასთა წინააღმდეგობანი შეურიგებელია" [2]).

ამ ორ ამონაწერში აშკარათ სჩანს, თუ რამდენად „ყოვლად დემოკრატიულია" სახელმწიფო, როგორც კლასიური ბატონობის იარაღი. ერთი კლასი ებრძვის მეორეს. გამარჯვებული კლასი აუცილებლად იყენებს სახელმწიფოებრივ ძალა-უფლებას მეორე კლასის დამორჩილებლად. არ არის არც ერთი სახელმწიფო, რომელიც ამ პრინციპზე არ იყოს აგებული.

რასაკვირველია, განსხვავებული მდგომარეობაა პროლეტარულ დიქტატურის ქვეყანაში. პროლეტარიატი ამსხვრევს სახელმწიფოს ძველ აპარატს და ქმნის ახალს. მაგრამ აქაც ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს კ ლ ა ს ი უ რ ი ბ უ ნ ე ბ ა ძ ა ლ ა შ ი რ ჩ ე ბ ა მაინც. განსხვავება მხოლოდ იმაშია, ვის ხელშია „ერთი კლასის მიერ მეორე კლასის დამორჩილების მანქანა". სხვანაირად: ვინ არის „დამორჩილების" ობიექტი — ბურჟუაზია თუ პროლეტარიატი. ცხადია, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო-

---

[1]) Н. Ленин. Собр. соч. ტ. XV, გვ. 439.

[2]) Н. Ленин. Собр. соч., ტ. XIV, ნაწ. II, გვ. 300—301.

ში გაბატონებული საზოგადოებრივი კლასია თვით პროლეტარიატი და სახელმწიფოც პროლეტარულია, ე. ი. პროლეტარიატის კლასიური ბატონობის „მანქანაა". აქ საზოგადოებრივი კლასები იცვლის როლებს კლასთა ბრძოლის საერთო ფერხულში — ბურჟუაზიას ხელიდან უვარდება „მანქანის" საჭე და პროლეტარიატი იკავებს მას.

ლ ე ნ ი ნ ი მოსწრებულად შენიშნავს კიდეც: „როცა ჩვენ ვლაპარაკობთ დიქტატურის შესახებ, ეს ნიშნავს ძალდატანების გამოყენებას. ყ ო ვ ე ლ ი ვ ე სა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ა რ ი ს ძ ა ლ დ ა ტ ა ნ ე ბ ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა, მაგრამ მთელი განსხვავება იმაშია, ვის წინააღმდეგაა ეს ძალდატანება მიმართული — გაყვლეფილების თუ გამყვლეფელების, მშრომელთა კლასის წინააღმდეგ თუ ექსპლოატატორების" [1]). მაშასადამე, დიქტატურის პირობებში სახელმწიფო არ კარგავს კლასიურ ხასიათს. განსხვავება მხოლოდ — თუ შეიძლება ასე ითქვას — „ფორმას" შეეხება და არა „შინაარსს". სახელმწიფოს კლასიური, ძალდატანებითი, დამმორჩილებელი ბუნება იარსებებს, სანამ არ აღმოიფხვრება თვით სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ფესვები.

გ ო თ ი ს პროგრამის პროექტის შესახებ ბ ებ ე ლ ი ს ა დ მ ი მიწერილ წერილში ფრ. ე ნ გ ე ლ ს ი ამბობს:

„. . . სოციალისტურ საზოგადოებრივ წყობილების შემოღებით სახელმწიფო თავისთავად იშლება და ჰქრება... სახელმწიფო მხოლოდ გარდამავალი დაწესებულებაა, რომლითაც სარგებლობენ ბრძოლაში, რევოლიუციის დროს

---

[2]) Ленин. Собр. соч., ტ. XVIII, ნაწ. I, გვ. 269 — 270. ხაზი ჩვენია.

თავიანთ მოწინააღმდეგეების ძალით დასამორჩილებლად... სანამ პროლეტარიატი კიდევ სარგებლობს სახელმწიფოთი, ის სარგებლობს მითი არა თავისუფლების ინტერესისათვის, არამედ თავისი მოწინააღმდეგეების დასამორჩილებლად, ხოლო როგორც კი ლაპარაკი დაიწყება თავისუფლებაზე, სახელმწიფო ველარ იარსებებს, როგორც ასეთი" [1]).

მაშასადამე, სახელმწიფოთი, როგორც მოწინააღმდეგე კლასის—ბურჟუაზიის დასამორჩილებელ, მოწინააღმდეგე კლასზე ძალდატანების იარაღით „სარგებლობს ბრძოლაში, რევოლიუციის დროს" გამარჯვებული პროლეტარიატი. პროლეტარული სახელმწიფოც ძალმომრეობის ორგანიზაციაა. ეს არის ბურჟუაზიაზე პროლეტარიატის ბატონობის იარაღი. გამარჯვებულ პროლეტარიატს ერთ წუთსაც არ შეუძლია ხელი აიღოს ამ იარაღზე, სანამ საზოგადოებრივი კლასები არსებობს, კლასიური საზოგადოების ნიადაგი ძირგამოთხრილი, მოსპობილი არ არის.

მაგრამ სახელმწიფოებრივ ძალა-უფლების ბურჟუაზიის ხელიდან პროლეტარიატის ხელში გადასვლა უბრალო გაცვლა-გამოცვლა როდია. პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში სახელმწიფო ინარჩუნებს კლასიურ ბუნებას. ეს მართალია, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ სახელმწიფოს დანიშნულება ახალ ხასიათს ღებულობს. გამარჯვებულ პროლეტარიატისათვის სახელმწიფო არ წარმოადგენს „მარადიულ კატეგორიას", ე. ი. მუდამ უცვლელ და მომავალშიაც შე-

---

[1]) К. Маркс. Критика готской программы. გვ. 89. ხაზი ჩვენია.

ურყეველ სოციალურ სხეულს. სახელმწიფოს დანიშნულება ახლა სხვა სახეს ღებულობს. სახელმწიფოებრივი აპარატი პროლეტარიატის ხელში ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ა და არა მიზანი. სახელმწიფო თვითმიზანია ბურჟუაზიისათვის, ხოლო პროლეტარიატის ხელში სახელმწიფო საშუალებაა მიზნის მისაღწევად. ეს მიზანია კომუნიზმი — ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა.

ამიტომ პროლეტარიატი სახელმწიფოს ს ა მ უ დ ა მ ო დ ჩამოყალიბებას როდი სცდილობს. პროლეტარიატი თავისი დაულალავი სოციალისტური მუშაობით თანდათან ხელს იღებს სახელმწიფოზე და ბოლოსდაბოლოს სრულებითაც სპობს კლასიურ ძალდატანების ამ ორგანიზაციას. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ი ს პ ო ბ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს კ ლ ა ს ე ბ ა თ დ ა ყ ო ფ ა, სოციალურ ჯგუფებად დანაწილება. საზოგადოების კლასიურ ხასიათის შეცვლასთან ერთად იცვლება ამ საზოგადოების წყობილების სტრუქტურაც.

სახელმწიფოს თეორიის საკითხებში ორი მიმდინარეობაა ერთმანეთთან დაპირისპირებული. ერთია — თანამედროვე მენშევიზმი, მეორე — ბოლშევიზმი, რევოლიუციონური მარქსიზმი, ლენინიზმი. პირველი იცავს წვრილბურჟუაზიულ თვალსაზრისს სახელმწიფოს თეორიაში, მეორე — პროლეტარულს. აქედან ორი მოწინააღმდეგე შეხედულება კლასთა ბრძოლის საკითხებშიაც. მენშევიზმი ამახინჯებს მარქს-ენგელსის კონცეპციას სახელმწიფოს შესახებ, ის მუდამ მზადაა — როგორც ლ ე ნ ი ნ ი ამბობს — обкарнать марксизм, გადააქციოს მარქსიზმი ოპორტუნისტულ მოძღვრებად.

ფ რ. ე ნ გ ე ლ ს მ ა გამოსთქვა ის აზრი, რომ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო კ ი ა რ „ი ხ ს ე ნ ე ბ ა“, უ ქ მ დ ე ბ ა,

არამედ ბუნებრივად კვდება. რასაკვირველია, ფრ. ენგელსი აქ ჰგულისხმობს სახელმწიფოს პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში და არა სახელმწიფოს საზოგადოთ, კერძოთ — არა თანამედროვე დემოკრატიულ-ბურჟუაზიულ სახელმწიფოს. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახელმწიფო ბუნებრივი სიკვდილით კი არ კვდება. ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ანგარევს პროლეტარული რევოლიუცია, ხოლო პროლეტარულ სახელმწიფოს მოსასპობათ ახალი რევოლიუცია არ არის საჭირო. ამისათვის საკმარისია სოციალურ განვითარების ბუნებრივი მსვლელობა — თანდთანობრივი გადასვლა სოციალიზმში.

მოვუსმინოთ ენგელსს, აი რას სწერს ის ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე:

„წარმოების კაპიტალისტური წესი, რომელიც მცხოვრებთა უდიდეს ნაწილს უფრო და უფრო აქცევს პროლეტარებათ, ქმნის ძალას, რომელიც, დაღუპვის შიშით, იძულებულია მოახდინოს ეს გადატრიალება. წარმოების მსხვილ საზოგადოებრივ საშუალებათა სახელმწიფოს საკუთრებათ გადაქცევის სურვილის მიხედვით, ეს წესი თითონვე იკაფავს გზას ასეთ გადატრიალებისკენ. პროლეტარიატი ხელთ იგდებს სახელმწიფო ძალა-უფლებას და აცხადებს წარმოების იარაღებს სახელმწიფოს საკუთრებათ.

მაგრამ ამასთან ერთად პროლეტარიატი აუქმებს საკუთარ არსებობას, აუქმებს ყველა კლასიურ განსხვავებას და კლასიურ წინააღმდეგობას, თვით სახელმწიფოსაც დღევანდელ სახით... სახელმწიფო

ითვლებოდა ოფიციალურ წარმომადგენლად მთელ საზოგადოების, მის განსახიერებათ ხილულ კორპორაციაში, მაგრამ სახელმწიფო ასეთად ითვლებოდა იმდენად, რამდენად ის იყო სახელმწიფო იმ კლასისა, რომელიც თითოეულ მოცემულ ეპოქაში გვევლინებოდა მთელ საზოგადოების წარმომადგენლად: ძველად ჩვენ გვქონდა მოქალაქე-მონათმფლობელთა სახელმწიფო, საშუალო საუკუნოებში — ფეოდალურ თავად-აზნაურობის სახელმწიფო, ჩვენს დროს კი გვაქვს ბურჟუაზიის სახელმწიფო. როგორც კი, დაბოლოს, სახელმწიფო გადაიქცევა მთელი საზოგადოების ფაქტიურ წარმომადგენლად, მისი არსებობა ზედმეტი იქნება. როცა არ იქნება საზოგადოებრივი კლასი, რომელიც არის დამონავების საგანი, როცა კლასიურ სახელმწიფოსა და წარმოების ანარქიით გამოწვეულ პირადი არსებობისათვის ბრძოლასთან ერთად გაჰქრება აქედან გამომდინარე კოლიზიები და ექცესები, — მაშინ ვინ-ღა იქნება დასასჯელი, რისთვისაც იყო საჭირო განსაკუთრებული დამსჯელი ხელისუფლება — სახელმწიფო. პირველი აქტი, რომელშიაც სახელმწიფო გამოდის ნამდვილად მთელი საზოგადოების წარმომადგენელის სახით—არის ამავე დროს ამ სახელმწიფოს უკანსაკნელი დამოუკიდებელი ნაბიჯი სახელმწიფოს სახით. რომელიმე სახელმწიფოებრივ ხელისუფლების ჩარევა საზოგადოებრივ ურთიერთობაში ზედმეტი შეიქნება სხვადასხვა დარგში და ბოლოს ეს ჩარევა შესწყდება თავისთავად. გავლენა ადამიანებზე შეიცვლება საგნებისა და წარმოების პროცე-

---

[1]) Ф. Энгельс. Анти-Дюринг, გვ. 166 — 167.

სების გამგებლობათ. სახელმწიფო კი არ „უ ქ მ დ ე-
ბ ა“, — ის თ ა ნ დ ა თ ა ნ კ ვ დ ე ბ ა“ [1])

ეს გრძელი, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი ამონაწერი ადვილად გასაგებია სრულებით. გარკვევით, არა ორაზროვნულადაა აქ ლაპარაკი პ რ ო ლ ე ტ ა რ ულ სახელმწიფოს შესახებ, ე. ი. სახელმწიფოზე პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში. ბურჟუაზიული სახელმწიფო იმსხვრევა, „უქმდება“ პროლეტარული რევოლიუციით, ძალდატანებით. მაგრამ სულ სხვა ნიადაგზე სდგას საკითხი პროლეტარულ სახელმწიფოს შესახებ. ეს სახელმწიფო ისპობა არა ხელის ერთი დაკვრით. — ისპობა თანდათანობით, კვდება ბუნებრივი სიკვდილით.

მენშევიზმი ამ შემთხვევაშიაც მოიქცა „მოხერხებულად“: მან აღიარა ე ნ გ ე ლ ს ი ს აზრი სახელმწიფოს თანდათანობითი, ბუნებრივი სიკვდილის შესახებ და ეს დებულება მისაღებად გამოაცხადა ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ სახელმწიფოსთვის! ბურჟუაზიული სახელმწიფო ბუნებრივი გზით კვდება, მაშასადამე, ამავე გზით კვდება საზოგადოებრივი კლასებიც კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რა საჭიროა პროლეტარული რევოლიუცია — ასეთია თანამედროვე მენშევიზმის იდეოლოგია, მისი მსოფლმხედველობა.

ლ ე ნ ი ნ მ ა ფარდა ახადა მარქსიზმის ასეთ დამახინჯებას. ლენინი ამტკიცებს:

„ე ნ გ ე ლ ს ი ლაპარაკობს პროლეტარულ რევოლიუციის მიერ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს სახელმწიფოს მოსპობაზე, ხოლო სიტყვები თანდათანობირივი სიკვდილის (отмирание) შესახებ შეეხება პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ სახელმწიფოს ნაშთებს სოციალისტურ რევოლიუციის შ ე მ დ ე გ. ბურჟუაზიული სახელმწიფო კი არ კვდება ბუნებ-

რივი სიკვდილით — ენგელსის აზრით, არამედ „ისპობა“ პროლეტარული რევოლიუციით. ამ რევოლიუციის შემდეგ отмирает პროლეტარული სახელმწიფო ანუ ნახევრად სახელმწიფო... ბურჟუაზიული სახელმწიფო შეუძლია „მოსპოს“ მხოლოდ რევოლიუციას. სახელმწიფო საერთოდ, ე. ი. სრული დემოკრატია შეიძლება გაჰქრეს მხოლოდ თანდათანობითი სიკვდილით“ [1]).

ან კიდევ: „ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შეცვლა პროლეტარულ სახელმწფოთ შეუძლებელია ძალდატანებითი რევოლიუციის გარეშე. პროლეტარულ სახელმწიფოს მოსპობა, ე. ი. მოსპობა ყოველგვარი სახელმწიფოსი შეუძლებელია „თანდათანობითი სიკვდილის“ გარეშე“ [2]).

ამ რიგათ, აქ ჩვენ ხელთ გვაქვს ორი თვალსაზრისი: ერთი — ენგელსისა და ლენინის, თვალსაზრისი რევოლიუციონური მარქსიზმის. მეორე — თანამედროვე რეფორმიზმის, ევროპიულ მენშევიზმის. პირველი თვალსაზრისი ემყარება ბურჟუაზიულ სახელმწიფოს რევოლიუციის გზით დამხობას და პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს თ ა ნ დ ა თ ა ნ ო ბ ი თ მ ო ს პ ო ბ ა ს. მეორე თვალსაზრისი უარყოფს რევოლიუციონურ ძალდატანებას და მხარს უჭერს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს „ბუნებრივ სიკვდილს“.

რასაკვირველია, ჩვენ არ გვაინტერესებს სახელმწიფოს თეორიის ზოგადი საკითხები. მაგრამ უაღრესად საინტერესოა ამ თეორიის პრაქტიკული შედეგები. მარქს-ენგელსის შეხედულების გაყალბებამ ევროპიული მენშევიზმი მიიყვანა კლასიურ პოლიტიკისა და კლასთა ბრძოლის უარყოფამდე ბურჟუაზიულ სახელმწიფოში.

---

[1]) Ленин. ტ. XIV, ნაწ. II. გვ. 310.

[2]) იქვე, გვ. 313.

მეორე მხრივ, ლენინის შეხედულების ყალბათ წარმოდგენასაც მივყევართ კ ლ ა ს ი უ რ ხ ა ზ ი ს ა დ ა კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ი ს ს ა კ ი თ ხ ე ბ ი ს მ ი ფ უ ჩ უ ჩ ე ბ ა მ დ ე პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ი ს პ ე რ ი ო დ შ ი. მენშევიზმი უარყოფს კლასთა ბრძოლის საჭიროებას ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოში, ხოლო მემარჯვენე გადახრა შეიცავს კულაკისა და, საერთოდ, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი ს „ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი გ ზ ი თ ს ი კ ვ დ ი ლ ს“ — მათ შესისხლხორცებას სოციალიზმში.

ორივე შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს კლასთა ბრძოლის წვრილბურჟუაზიულ თეორიასთან.

ლ ე ნ ი ნ ი მეტად მოხდენილად ახასიათებს ჩვეულებრივ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებს: მათი „თ ვ ი ს ე ბ ა ა კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ი ს ს ი ძ უ ლ ვ ი ლ ი, ო ც ნ ე ბ ა ი მ ა ზ ე, თ უ რ ო გ ო რ დ ა ა ღ წ ი ო ნ თ ა ვ ი ა მ ბ რ ძ ო ლ ა ს, — ლტოლვა შეარიგონ, შეათავსონ, გააბლაგვონ მახვილი კუთხეები. ამიტომ ასეთი დემოკრატები... ისახავენ ამოცანად გამოიგონონ ორივე მებრძოლ ძალის შერიგების გეგმა იმის ნაცვლად, რათა ხელმძღვანელობა გაუწიონ ერთ-ერთ ძალას“ [1]). წვრილბურჟუაზიული იდეოლოგი თხზავს კლასთა ბრძოლის შენელების, კლასიურ წინააღმდეგობათა შერიგების გეგმებს. წვრილი ბურჟუაზია „კლასთა ბრძოლის სიძულვილით“ სუნთქავს. აშკარაა, არც წვრილბურჟუაზიულ დემოკრატსაც შეუძლია კლასთა ბრძოლაში არ დაყაროს იარაღი.

---

[1]) Ленин. ტ. XIV, გვ. 348. ხაზი ჩვენია.

ამის საუკეთესო მაგალითს გ ე რ მ ა ნ უ ლ ი მ ე ნ-
შ ე ვ ი ზ მ ი იძლევა. გერმანიის მენშევიკური პარტია ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ბუნებრივ, თანდათანობითი სიკვდილის აზრს იცავს და ამის შესაფერ პოლიტიკას ანვითარებს. ეს არის კლასთა თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ო ბ ი ს პოლიტიკა, კლასიურ ბრძოლის უკუგდების პროგრამა. პ ა უ ლ კ ა მ.პ ფ მ ა ი ე რ ი, გერმანული მენშევიზმის ცნობილი „თეორეტიკოსი", აი რას სწერს ამის შესახებ:

„ა მ ჟ ა მ ა დ ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა, რ ო-
გ ო რ ც გ ვ ი ჩ ვ ე ნ ებ ს მ ი ს ი ა გ რ ა რ უ ლ ი
პ რ ო გ რ ა მ ა... დ ა მ ი ს ი ს ო ც ი ა ლ უ რ ი შ ე-
მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა, უ კ ვ ე გ ა მ ო ვ ი დ ა პ რ ო ლ ე-
ტ ა რ უ ლ კ ლ ა ს ი უ რ პ ა რ ტ ი ი ს ჩ ა რ ჩ ო ე-
ბ ი დ ა ნ (გესმით, გესმით?! გ. მ.) და ეს ფაქტი აძლევს მას საშუალებას სოციალისტურ რესპუბლიკისათვის მომავალ ბრძოლაში აწარმოოს კ ო ა ლ ი ც ი ო ნ უ რ ი
პ ო ლ ი ტ ი კ ა, ა მ მ ი ზ ნ ი ს ა კ ე ნ (სოციალისტური რესპუბლიკისაკენ) მიმართული. ჩქარ, კატასტროფიულად მიმდინარე სამეურნეო გადატრიალების დროს სოციალური კლასები არ ისპობა. ამის გამო სოციალ-დემოკრატიული კოალიციონური პოლტიკა პოულობს სათანადო რეალურ გამართლებას თვით სამეურნეო სოციალურ ფაქტებში... ცნება „ბურჟუაზიული" და „პროლეტარული" დაამახინჯეს ბოლშევიკებმა. ბოლშევიკებისათვის პროლეტარულ-კლასიური ბრძოლა ნიშნავს მხოლოდ ბრძოლას ერთი ჯგუფის დიქტატურის დასამყარებლად... კლასიურ კოალიციის მნიშვნელობის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიურ დაწესებულებისათვის ბოლშევიკების დოქტრინის გავლენით ძალიან შეიბღალა. ჩვენი მუშურ გაზეთების არასაკმაოთ განათლებული მკითხველი დაში-

ნებულია სიტყვა კოალიციით და ამავე დროს ივიწყებს, რომ ახალი ეკონომიური, პოლიტიკური და სოციალური დაწესებულებები, უმეტეს შემთხვევაში, წ ა რ მ ო ი შ ვ ა მ ხ ო ლ ო დ კ ო ა ლ ი ც ი ო ნ უ რ ი შ თ ა ვ რ ო ბ ი ს წ ყ ა ლ ო ბ ი თ" [1]).

ვრცელი გამოგვივიდა ამონაწერი. სამაგიეროთ, აქ რამდენი სიტყვაა, იმდენი მენშევიკური „სიბრძნეა" და მარგალიტი! პ ა ო ლ კ ა მ პ ფ მ ა ი ე რ ი გულახდილად აღიარებს, რომ გერმანული მენშევიკური პარტია როგორც პროგრამით, ისე შემადგენლობითაც „გამოვიდა პროლეტარულ კლასიურ პარტიის ჩარჩოებიდან." ჩვენს ენაზე რომ ვსთქვათ, ესაა: გერმანულმა მენშევიზმმა დაჰკარგა კლასიური სახე და „მთელი დემოკრატიის" იდეოლოგიათ გახდა. ამას არ უარყოფს კამპფმაიერი. ის ხომ საკუთარი პირით აცხადებს: სოც. დემ. პოლიტიკა „კოალიციონური პოლიტიკაა", რომელიც, რასაკვირველია, ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში „პოულობს სათანადო რეალურ გამართლებას". ეს კოალიციონური, ე. ი. შემთანხმებელი, შემარიგებელი, კლასიური პრინციპის უარმყოფელი პოლიტიკა კიდევ უფრო „რეალური" იქნებოდა და მეტ „გამართლებას" მოიპოვებდა. მენშევიკური „გაზეთების არა საკმაოთ განვითარებული მკითხველი", ე.ი. უბრალო პროლეტარი, არ იყოს „დაშინებული სიტყვა კოალიციით", რა თქმა უნდა, ბოლშევიკების წყალობით! ამაზე იქით ვერც ერთი ქრისტიანულ-სოციალისტური და კლერიკალურ-კათოლიკურ პარტიაც ვერ გაბედავს ნაბიჯის გადადგმას. ეს არის საერთაშორისო მენშევიზმის „განვითარების" ნიმუში.

---

[1]) ვსარგებლობთ ამხ. ჰ ე რ მ ა ნ რ ე მ ე ლ ე ს წიგნით: Куда идет Европа, გვ. 120 — 121.

პ ა უ ლ კ ა მ პ ფ მ ა ი ე რ ი ს გამოსვლა გამონაკლისი არ არის გერმანულ მენშევიზმის ცხოვრებაში. ამ „გმირს“ ზურგს უმაგრებს ჩვენთვის საკმაოთ ცნობილი, ერთ დროს რევოლიუციონური მარქსიზმის მიმდევარი, „ფინანსიური კაპიტალი“-ს მკვლევარი რ უ დ ო ლ ფ ჰ ი ლ ფ ე რ დ ი ნ გ ი. კ. კაუცკის შემდეგ ჰილფერდინგს პირველი ადგილი უჭირავს გერმანულ მენშევიზმის იდეოლოგიის დაცვა-დასაბუთებაში. და აი ეს რ. ჰილფერდინგი უარყოფს პროლეტარულ დემოკრატიას და აყენებს სა- მ ე უ რ ნ ე ო დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს პრინციპს. „სამეურნეო დემოკრატია — აცხადებს ის — არის კერძო სამეურნეო ინტერესების დაქვემდებარება საზოგადოებრივ ინტერესისადმი“. რა გზით, რა საშუალებით? — „დემოკრატია ქარხანაში ყველასთვის ხელმისაწვდომს ხდის გახდეს წარმოების ხელმძღვანელი“ [1]). როგორ — გაიკვირვებს მკითხველი, განა ქარხნის ხელმძღვანელი მექარხნე-კაპიტალისტი არ არის? რასაკვირველია, არის. მაშ როგორ შეუძლია მუშას „გახდეს წარმოების ხელმძღვანელი“? ეს სრული ყალთაბანდობაა და მუშათა კლასის აშკარა მოტყუილება. საქმე იმაშია, რომ ბურჟუაზია წარმოების გაფართოების, მაშასადამე, მ ე ტ ი მ ო გ ე ბ ი ს მ ი ზ ნ ი თ აინტერესებს მუშას, ანვითარებს მის „ინიციატივას“, მაქსიმალურად სჭიმავს მის ძალ-ღონეს უბრალო ფანდით: მუშას აძლევს მოგების „ნაწილს“ და „უფლებას“ მოუაროს ქარხანას, უდარაჯოს მას. აი რა არის ჰილფერდინგის სამეურნეო დემოკრატია!

---

[1]) Р. Гильфердинг. Капитализм, социализм и соц.-демократия, გვ. 135.

მეორე მხრივ, რ. ჰილფერდინგი უარყოფს კლასთა ბრძოლის თეორიას, კლასიურ პოლიტიკას და აყენებს კოალიციონურ პოლიტიკის დებულებას. თუ ქარხანაში მუშა და ბურჟუა „ერთნაირად" არიან წარმოებით დაინტერესებული, სამეურნეო დემოკრატია სუფევს, — ცხადია, მთელ სახელმწიფოშიაც უნდა განხორციელდეს ეს „დემოკრატია". ასედაც არის. ჰილფერდინგიც აღნიშნავს სიხარულით: „პარტიაში ჩვენ ვხედავთ იმ მეტად სასიხარულო ფაქტს, რომ ახლა არც ერთი კაცი არ აცხადებს თავს კოალიციონურ პოლიტიკის პრინციპიალურ მოწინააღმდეგეთ" [1]). მხოლოდ გერმანელი კომუნისტები „აფუჭებენ" საქმეს — ისინი აყენებენ ანტიდემოკრატიულ ლოზუნგს. „მაგრამ ჩვენ უნდა დავანგრიოთ ეს ილიუზიები, რომლებიც საშიშია დღევანდელ პირობებში, სახელდობრ — ეს არის სწორედ ანტიდემოკრატიული ილიუზიები" [2]).

მოკლეთ: „სამეურნეო დემოკრატია" — პროლეტარული დემოკრატიის ნაცვლად, კოალიციონური პოლიტიკა— კლასიურ პოლიტიკის მაგიერ, კლასთა თანამშრომლობა და ჰარმონია — კლასთა ბრძოლის უარსაყოფად, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოს თანდათანობითი „სიკვდილი" — პროლეტარული რევოლიუციის განუვითარებლად — აი თანამედროვე ოპორტუნიზმის, საერთაშორისო და, კერძოთ, გერმანული მენშევიზმის იდეოლოგიური სახე, მისი თეორიული საფუძვლები.

---

[1]) იქვე, გვ. 155.

[2]) იქვე, გვ. 143.

გერმანულ მენშევიზმის ოპორტუნისტულ თეორიის დასაბუთება იკისრა ოდესღაც რევოლიუციონერმა მარქსისტმა კ. კ ა უ ც კ ი მ. როგორც ვიცით, მან გამოსცა ორტომიანი ვეებერთელა ნაშრომი, მართალია, შინაარსთან არც ისე შეხმატკბილებული სახელწოდებით: „ი ს ტ ო რ ი ი ს მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი გ ა გ ე ბ ა“ *). კაუცკიმ აქ აშკარათ უკუაგდო მარქსის დიალექტიური მატერიალიზმი. რასაკვირველია, თავის შრომის უკანასკნელ ფურცლებში კი გულახდილად უარყო პროლეტარული რევოლიუციის მარქსისტული თეორია და კლასთა ბრძოლის საკითხიც „ისტორიის დღის წესრიგიდან“ მოხსნილად გამოაცხადა.

ვინც ადევნებდა თვალ-ყურს კ. კ ა უ ც კ ი ს აზროვნების ევოლიუციას, დაინახავს, რომ კ. კ ა უ ც კ ი ს ოპორტუნიზმი კლასთა ბრძოლის საკითხშიაც შემთხვევითი და ახალი არ არის. ამ ოპორტუნიზმს ღრმა ფესვები აქვს გადგმული კაუცკის აზროვნებაში. მენშევიზმი წვრილბურჟუაზიული მიმდინარეობაა საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობაში და კ. კაუცკიც არ ღალატობდა კლასთა ბრძოლის წვრილბურჟუაზიულ თეორიას. „ყველა საზოგადოებრივი ინტერესი — სწერდა კაუცკი ჯერ კი-

---

*) რუსულ ისტორიულ-ფილოსოფიურ ლიტერატურაში საკმაოთ გ·რჩეულია კ. კაუცკის ეს ნაწარმოები. სანიმუშოთ შეგვიძლია დავას ხელოთ: Е. Пашуканис и Разумовский. Новейшие откровения Карла Каутского, კომაკადემიის გამოცემა. ქართულ ლიტერატურაში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში „რ ო ტ ე ფ ა ნ ე“-დან გაზ. „კომუნისტში“ გადმობეჭდილ წერილს ამ წიგნის შესახებ და ამხ. მ ო ს ე გ ო გ ი ბ ე რ ი ძ ი ს ნიჭიერად შესრულებულ სტატიას „მნათობში“, კ. კაუცკის ეს ნაშრომი სრულებით არ არის კრიტიკულად განხილული...

დევ 1903 წელს — იმყოფება უალრესად მჭიდრო ორგანიულ ურთიერთ დამოკიდებულებაში". ამიტომ სოც. დემოკრატია „გაცილებით უფრო მეტად. ვინემ სხვა პარტია, იცავს საერთო ინტერესს. და ის იცავს ამ ინტერესს არა მარტო იმიტომ, რომ პროლეტარიატი ხალხის უმრავლესობას შეადგენს, არამედ იმიტომაც. რომ პროლეტარული ინტერესები ამ ჟამად ეთანაბრება ერის ინტერესებს". აქედან დასკვნაც: სოც. დემ. „უნდა იზრუნოს ყველა საზოგადოებრივ საკითხზე, მაშინაც კი, თუ ეს საკითხები უშუალოდ არც კი ეხება პროლეტარულ კლასიურ ინტერესებს"[1]).

ასე მსჯელობდა კაუცკი მაშინაც კი, როცა ხელთ ეპყრა რევოლიუციონური მარქსიზმის ბასრი კალამი. „ძველი" კაუცკიც კი „ახალ" კაუცკისებურად აზროვნებდა და ქმნიდა ოპორტუნიზმის თეორიულ ნიადაგს. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი ინტერესები მჭიდროთ, ორგანიულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, პროლეტარიატი იცავს არა მარტო კლასიურ ინტერესს. ის იცავს აგრეთვე მთელ საზოგადოების — ერის ინტერესებსაც. აქედან „კაუცკიანური" მორალი — პროლეტარიატი უნდა აწარმოებდეს არა კლასიურ, არამედ ინტერკლასიურ, საკლასთაშორისო — ჰილფერდინგის ენაზე — კოალიციონურ პოლიტიკას!

წვრილი ბურჟუაზიის და მისი იდეოლოგიური მიმდინარეობის — მენშევიზმის გზაა კლასთა ბრძოლის უარყოფისა და კლასთა შეთანხმების, თანამშრომლობის გზა.

---

[1]) К. Каутский. Классовые интересы, გვ. 9—10, ხაზი ყველგან ჩვენია.

IV

კლასთა ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში

სახელმწიფოს პრობლემას ვერ სწყვეტს მარქსისტული თვალსაზრისით საერთაშორისო მენშევიზმი. ამ პრობლემის შინაბუნება გაუგებარია წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგიისათვის. ამ ძირითად საკითხშიაც მეტაფიზიკურად ‘ძსჯელობს თანამედროვე რეფორმიზმი: თანდათანობით კვდება როგორც პროლეტარული, ისე ბურჟუაზიული სახელმწიფო. საკითხისადმი დიალექტიური მიდგომა არ სჩანს აქ. ყოველგვარი რეფორმიზმი დიალექტიკის უარყოფაა. ამიტომაც შემთხვევითი როდია კ. კაუცკის გალაშქრება მატერიალისტური დიალექტიკის წინააღმდეგ. მისი „გამოსვლა“ კანონშეწონილი მოვლენაა, რასაკვირველია, ლოგიურ თანმიმდევრობით აგებულ რეფორმიზმის თვალსაზრისით.

ბურჟუაზიული სახელმწიფო, უკეთ რომ ვსთქვათ — დემოკრატიული რესპუბლიკა ბუნებრივი გზით კვდება, თანდათანობით ჰქრება, ყოველგვარ რევოლიუციისა და პროლეტარულ გადატრიალების გარეშე. მაშასადამე, ასეთივე გზით ისპობა კაპიტალისტურ საზოგადოების კლასიური დანაწილება. კაპიტალისტური ბურჟუაზია ბუნებრივათ შეეზრდება სოციალიზმს. აქ კლასთა ბრძოლის განვითარება საჭირო არ არის. ასეთია კაუცკიანური მარქსიზმი.

შედარებით ანალოგიური, მსგავსი მდგომარეობა იქნება. როცა საქმე ლ ე ნ ი ნ ი ს თვალსაზრისის ყალბათ გაგებას შეეხება. რაში მდგომარეობს ეს?

როგორც დავინახეთ, ენგელსისა და ლენინის აზრით, პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში სახელმწიფო კი არ იმსხვრევა რევოლიუციონური გზით. პროლეტარული სახელმწიფო თანდათან, ევოლიუციონურად отмирает, როგორც ამბობს ლენინი. აქ სახელმწიფო კვდება ბუნებრივი სიკვდილით.

ცხადია, სახელმწიფო კლასების შეუთანხმებლობის გამოხატვაა. პროლეტარული სახელმწიფოც კლასიური ორგანიზაციაა. აქედან ლოგიკური და პირდაპირი დასკვნა: თუ პროლეტარული სახელმწიფო отмирает, თანდათანობითი სიკვდილით კვდება, თანდათანობით ჭქრება, ცხადია, ასეთივე ცვლილებას განიცდის მისი კ ლ ა ს ი უ რ ი შ ი ნ ა ა რ ს ი ც — კლასებიც თანდათან ისპობა, კლასიური პრინციპი отмирает. პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ სა ხ ე ლ მ წ ი ფ ო შ ი კ ლ ა ს ე ბ ი ს მ ო ს ა ს პ ო ბ ა თ რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ა ს ა ჭ ი რ ო ა რ ა რ ი ს. პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ახალი რევოლიუცია კონტრ-რევოლიუციაა და სხვა არაფერი. ერთი კლასის მიერ მეორეს ჩამოგდება უსათუოდ რევოლიუციის, ძალადატანების, ბრძოლების გზით ხდება. მაგრამ ს ა ზ ო გ ა დ ო თ კ ლ ა ს ე ბ ი ს მ ო ს პ ო ბ ა — ისევე, როგორც საზოგადოთ სახელმწიფოს მოსპობა,—რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ე ბ ი ს გ ზ ი თ ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა.

სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის ბუნებრივ სიკვდილთან ერთად კლასებიც კვდება ამავე სიკვდილით. ასეთია საზოგადოებრივ მოვლენის განვითარება პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში. პროლეტარული სახელმწიფო

отмирает და ამასთან ერთად отмирает თვით საზოგადოებრივი კლასებიც.

შეიძლება თუ არა აქედან იმ დასკვნის გამოყვანა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, პროლეტარულ სახელმწიფოში კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ა ს ა რ ა ქ ვ ს ა დ გ ი ლ ი და, განსაზღვრულ მომენტებში, ეს ბრძოლა არ მ წ ვ ა ვ დ ე ბ ა კიდეც, რადგან კლასები ბუნებრივ სიკვდილის—отмирание-ს გზაზეა დაყენებული? ა ს ე თ ი დ ა ს კ ვ ნ ი ს გ ა მ ო ყ ვ ა ნ ა ყ ო ვ ლ ა დ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა — ეს იქნება ლენინის შეხედულების სრული დამახინჯება, კარიკატურა ლენინიზმზე. პირიქით, ყველგან და ყოველთვის ლენინი აყენებს კლასთა ბრძოლის არსებობის ფაქტს პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. ლენინი ყველგან ხაზს უსვამს ამ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს.

ცნობილ წერილში — Великий почин, ლენინი სწერს:

„პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა ა რ ი ს ა გ რ ე თ ვ ე კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ი ს პ ე რ ი ო დ ი. ე ს ბ რ ძ ო ლ ა ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა, ს ა ნ ა მ ა რ მ ო ს პ ო ბ ი ლ ა კ ლ ა ს ე ბ ი. ის იცვლის ფორმებს, კაპიტალის დამხობის პირველ ხანებში განსაკუთრებით მწვავდება და განსაკუთრებით თავისებური ხდება. პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ძ ა ლ ა-უ ფ ლ ე ბ ი ს დ ა პ ყ რ ო ბ ი თ პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ა რ ს წ ყ ვ ე ტ ს კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ა ს, ა გ რ ძ ე ლ ებ ს მ ა ს კ ლ ა ს ე ბ ი ს მ ო ს პ ო ბ ა მ დ ე, მაგრამ, ცხადია, სხვანაირ ფორმაში, სხვანაირ გარემოებაში, სხვანაირ ხერხებით“ [1])

---

[1]) Ленин, ტ. XVI, გვ. 249. ხაზი ჩვენია.

აქ სრულებით აშკარაა და ცხადზე უცხადესი ლენინის შეხედულება: პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებით კლასთა ბრძოლა კი არ ისპობა, პირიქით, ეს ბრძოლა მაინც გრძელდება, მაინც სწარმოებს, რასაკვირველია, ახალ პირობებში — პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. ახალი პირობები ბრძოლის ახალ, „სხვანაირ ფორმას, სხვანაირ ხერხებს“ ჰგულისხმობს. მაგრამ ეს ფორმა და ხერხები მაინც კლასთა ბრძოლის აზრს შეიცავს.

ჰუნგრეთის რევოლიუციონურ მუშებისადმი წერილში ლენინი განსაკუთრებულის სიძლიერით და, თუ შეიძლება ითქვას — განსაკუთრებული სიმწარით უსვამს ხაზს კლასთა ბრძოლის საკითხს საბჭოთა ჰუნგრეთის პროლეტარების საყურადღებოთ.

„კლასების მოსპობა — სწერს ლენინი — საქმეა ხანგრძლივი, მძიმე, შეუპოვარ კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ი ს, რომელიც კაპიტალის დამხობის შ ე მ დ ე გ, ბურჟუაზიულ სახელმწიფოს დანგრევის შ ე მ დ ე გ, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შ ე მ დ ე გ კი არ ჰქრება... არამედ მხოლოდ იცვლის ფორმებს და ხშირათ უფრო მწვავდება ხოლმე (становится во многих отношениях еще ожесточеннее)“ [1]).

მაშასადამე, კლასთა ბრძოლის საკითხი როდი იხსნება პროლეტარული სახელმწიფოს დამყარების შემდეგ. კლასთა ბრძოლა „იცვლის ფორმებს და ხშირათ უფრო მწვავდება“ კიდეც. კლასთა ბრძოლის განსაკუთრებული გამწვავება ხდება — უმეტეს შემთხვევაში — პროლეტარიატის დიქტატურის პირველ ხანებში. ბრძოლის გამწვავება შესაძლებელია შემდგომ საფეხურებზედაც. ასეთ შემ-

---

[1]) იქვე, გვ. 227.

თხვევაში გამარჯვებული პროლეტარიატი „იცვლის ფორმას“ კლასიურ ბრძოლაში და ბრძოლის უმახვილეს იარაღს მიმართავს. რევოლიუციონური პროლეტარიატი არ ერიდება არავითარ საშუალებას საკუთარ კლასიურ დიქტატურის გასამაგრებლად. და აი ლენინიც რას უკარნახებს იმავე ჰუნგრელ მუშებს:

„იყავით მტკიცეთ. თუ კი წარმოიშობა ქანაობა სოციალისტებს შორის, რომლებიც გუშინ მოგემხრენ თქვენ, პროლეტარიატის დიქტატურას, ანდა წვრილბურჟუაზიის შორის — შეებრძოლეთ ქანაობას დაუზოგავათ. დახვრეტა — აი მშიშარების კანონიერი წილი ომში“ [1]).

აქ აშკარათაა ნაჩვენები, სანამ შეიძლება კლასთა ბრძოლის „შეცვლილმა ფორმამ“ კლასიურ შეტაკების საქმე მიიყვანოს. დახვრეტა მშიშარა სოციალისტების და მათი წვრილბურჟუაზიული „არმიის“, თუ ეს „არმია“ და მისი სარდლობა უკან დახევის სამარცხვინო გზას დაადგა— ასეთია პროლეტარიატის დიქტატურის კლასიური ბრძოლის „სხვანარი ფორმა, სხვანაირი ხერხი“. რა თქმა უნდა, ასეთივე ბედი მოელის საზოგადოების „მსხვილ ფენების“ წარმომადგენლებს. მაგრამ ამაზე ხომ სრულებით ზედმეტია ლაპარაკი.

ვინც ფიქრობს, კლასთა ბრძოლის ახალი ხერხები და ფორმები უ ს ა თ უ ო დ უფრო რბილია და ლოიალური პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, შემცდარია და მოტყუებული. აი რატომ არ უნდა გვეშინოდეს კლასთა ურთიერთობის გართულების, არ უნდა გაგვაკვირვოს და ანგარიში აგვიშალოს კლასთა ბრძოლის გართულებამ სი-

---

[1]) იქვე, გვ. 229.

ციალიზმისათვის პროლეტარულ ბრძოლის განსაზღვრულ საფეხურზე.

მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურა არ ნიშნავს კლასთა ბრძოლის გამახვილებულ ფორმებს ყველგან და ყოველთვის. კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ი ს ფ ო რ მ ე ბ ი ი ც ვ ლ ე ბ ა პ ი რ ო ბ ე ბ ი ს ა და მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ. შეიარაღებული ბრძოლა, სამოქალაქო ომი იცვლება კლასთა ბრძოლის განხვავებულ მეთოდებით. „მემარცხენეობის საყმაწვილო სენში" ლენინი იძლევა ზოგად, მაგრამ ამომწურავ ფორმულას:

„პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა ა რ ი ს მ ე დ გ ა რ ი, ს ი ს ხ ლ ი ა ნ ი და უ ს ი ს ხ ლ ო, ძ ა ლ დ ა ტ ა ნ ე ბ ი თ ი და მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ი, ს ა მ ხ ე დ რ ო და ს ა მ ე უ რ ნ ე ო, პ ე დ ა გ ო გ ი უ რ ი და ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ტ ი უ ლ ი ბ რ ძ ო ლ ა ძ ვ ე ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ძ ა ლ ე ბ ი ს ა და ტ რ ა დ ი ც ი ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ" [1].

მაშასადამე, კლათა ბრძოლის საკითხს პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში ორი პოლიუსი აქვს. ეს საკითხი ხან მ წ ვ ა ვ ე თ ა ა დაყენებული და კლასთა ურთიერთობაც სისხლიანია, ძალდატანებითი, სამხედროა და ადმინისტრატიული. მეორე პოლიუსზე მდგომარეობა იცვლება, კლასთა ბრძოლა „სხვანაირ ფორმაში" გვეელინება. აქ არის უსისხლო, მშვიდობიანი, სამეურნეო და პედაგოგიური „ბრძოლა ძველი საზოგადოების ძალებისა და ტრადიციების წინააღმდეგ". როგორც ვხედავთ, ა რ ც ა მ პ ო ლ ი უ ს ზ ე ს წ ყ დ ე ბ ა კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ა, მაგრამ ეს ბრძოლა „მშვიდობიან-პედაგოგიურ" სა-

---

[1]) Ленин, ტ. XVII, გვ. 136. ხაზი ჩვენია.

ხეს ღებულობს. პროლეტარიატის დიქტატურის გამტკიცებისა და მოწინააღმდეგე კლასების აშკარა წინააღმდეგობის მოსპობის შემდეგ პროლეტარიატი მიმართავს ახალ ხერხებს, კლასიური ბრძოლის იარაღიც იცვლება. მთავარი მაინც ძალაში რჩება — კლასთა ბრძოლა დღის წესრიგიდან არ იხსნება. ეს ბ რ ძ ო ლ ა ი ა რ ს ე ბ ე ბ ს მ ა ნ ა მ, ს ა ნ ა მ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს კ ლ ა ს ი უ რ ი ხ ა ს ი ა თ ი ა რ მ ო ი ს პ ო ბ ა.

მაგრამ კლასთა ბრძოლის სხვადასხვა ფორმა, სხვადასხვა ხერხი როდია ერთმანეთისაგან გ ა თ ი შ უ ლ ი. ხშირად ეს ფორმები ი ხ ლ ა რ თ ე ბ ა ე რ თ მ ა ნ ე თ შ ი და კლასთა ბრძოლის საერთო ვითარების გამორკვევა შეიძლება იმით, თუ რომელი ფორმა სჭარბობს: სისხლიანი თუ უსისხლო, პედაგოგიური თუ ადმინისტრატიული. ვიმეორებთ, ხშირად ბრძოლის ფორმები ირევა ერთმანეთში და გამარჯვებული პროლეტარიატი მიმართავს ერთსაც და მეორესაც. ასეთია კლასთა ბრძოლის დიალექტიური განვითარება. ურთულესი საზოგადოებრივი მოვლენები ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, ვითომც ეს მოვლენები სწორი ხაზით ვითარდება, სწორ სიბრტყეზეა დაყენებული. ეს მეტაფიზიკა იქნება და სრულებითაც არ გამოგვადგება საზოგადოებრივ განვითარების ისტორიულ პროცესების გასაგებად.

ამხ. ი. ს ტ ა ლ ი ნ ი ლენინიზმის სწორად გაგებაში ყველაზე მეტ სიმტკიცეს და ორტოდოქსობას იჩენს. ეს ცნობილია საზოგადოთ. აი რას სწერს ამხ. სტალინი ჩვენთვის საინტერესო პრობლემაზე:

„პროლეტარიატის დიქტატურას აქვს თავისი პერიოდები, თავისი განსაკუთრებული ფორმები, მუშაობის სხვადასხვა მეთოდები. სამოქალაქო ომის პერიოდში განსაკუ-

თრებით გვცემს თვალს დიქტატურის ძალდატანებითი მხარე. მაგრამ აქედან სრულებით არ გამომდინარეობს, რომ სამოქალაქო ომის პერიოდში არ სწარმოებდა არავითარი აღმშენებლობითი მუშაობა. ასეთი მუშაობის გარეშე შეუძლებელია სამოქალაქო ომის წარმოება. სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში, პირიქით, განსაკუთრებით გვცემს თვალს დიქტატურის მშვიდობიანი, ორგანიზატორული, კულტურული მუშაობა, რევოლიუციონური კანონიერება და სხვა. მაგრამ აქედან აგრეთვე სრულებით არ გამომდინარეობს, რომ დიქტატურის ძალდატანებითი მხარე მოიხსნა ან შეიძლება მოიხსნას მშენებლობის პერიოდში... არ უნდა დავივიწყოთ, რომ რევოლიუციამ გაიმარჯვა მხოლოდ ერთ ქვეყანაში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სანამ არის კაპიტალისტური გარემოცვა, იქნება ინტერვენციის საშიშროება, ამ საშიშროებიდან გამომდინარე მთელი თავისი შედეგებით" [1]).

მოკლედ, ლაკონიურად, დაწურულად, მაგრამ საკითხი გაშუქებულია მთლიანად. დიქტატურის პერიოდი განვითარების სხვადასხვა საფეხურით ხასიათდება. უმთავრესად ორია ეს საფეხური — სამოქალაქო ომის, ე. ი. აშკარა შეიარაღებული შეტაკების კლასიურ ძალებს შორის და — მეორე, სამეურნეო აღმშენებლობის. პირველ საფეხურს ახასიათებს კლასთა ბრძოლის სამხედრო, სისხლიანი, ადმინისტრატიული და შეია-

---

[1]) И. Сталин. Вопросы ленинизма. გვ. 23. ანდა: ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები. სახელგამი. 1928. გვ. 24. მეორე ხაზგასმა ჩვენ გვეკუთვნის.

რაღებული ძალდატანების მომენტები. მაგრამ ამავე დროს პარალელურად მაინც ადგილი აქვს სამეურნეო მშენებლობას, მაშასადამე — კლასიურ ბრძოლის მშვიდობიან მომენტებს. მეორე საფეხურზე სამხედრო-ადმინისტრატიული მეთოდები ხმარებიდან გამოდის და მათ ადგილს იკავებს მშვიდობიანი, უსისხლო, პედაგოგიური ხერხები. „მაგრამ აქედან აგრეთვე სრულებით არ გამომდინარეობს, რომ დიქტატურის ძალდატანებითი მხარე მოიხსნა ან შეიძლება მოიხსნას მშენებლობის პერიოდში", ე. ი. სოციალისტურ მშენებლობის მიმდინარე პერიოდში.

აი აქ არის საკითხის მთელი სიმძიმე მოცემული. დ ი ქ ტ ა ტ ურ ი ს ძ ა ლ დ ა ტ ა ნ ე ბ ი თ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ი ა რ ი დ ე ვ ნ ე ბ ა კ ლ ა ს თ ა უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი ს ს ი ს ტ ე მ ი დ ა ნ ა რ ც მ ა შ ი ნ, რ ო ც ა ე ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ი ს ხ ა ნ ა შ ი ი მ ყ ო ფ ე ბ ა. კლასთა ბრძოლა არ ისპობა პროლეტარიატის დიქტატურის მთელ მანძილზე. იცვლება მხოლოდ ამ ბრძოლის ფორმები, მეთოდები, ხერხები. ბრძოლა მაინც ძალაში რჩება. ხან შეიძლება გართულდეს ეს ბრძოლა, მაშასადამე, კლასთა ბრძოლის ფორმებმაც გამწვავებული, რელიეფური სახე მიიღოს. ეს მოულოდნელი არ არის, არც გონების ამშლელი.

ჩვენ ვამბობთ, კლასთა ბრძოლა არ ისპობა პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში. ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ. ვითომც კლასთა ბრძოლის ხასიათი, მისი სიმძაფრე ე თ ნ ა ი რ ი ა დიქტატურის მ თ ე ლ მ ა ნ ძ ი ლ ზ ე. ჩვეულებრივ ნ ო რ მ ა ლ უ რ პ ი რ ო ბ ე ბ შ ი კლასთა ბრძოლის ტეხილი დიქტატურის პერიოდში ვითარდება თანდათან დაბლა დაწევის მიმართულებით (убывающая кривая). ეს გასაგებიცაა: რამდენად ვითარდება სო-

ციალისტური მეურნეობა, იქმნება ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა, ამდენადვე სუსტდება თვით კლასები, საფუძველი ეცლება მათ არსებობას და დიქტატურა отмирает, კომუნისტური საზოგადოება მყარდება. პროლეტარიატის დიქტატურის პირველ — სამოქალაქო ომის — პერიოდსა და უკანასკნელ — კომუნიზმის სამეფო — პერიოდს შორის მთელი ისტორიული მანძილია, რომელსაც გარდამავალ პერიოდს ვუწოდებთ. კლასთა ბრძოლის ფორმა ამ პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს, ცხადია, ერთნაირი არ არის. გარდამავალ პერიოდის დასასრულს (დასასრულს— ვხმარობთ შედარებით, ნამდვილად კი ძნელია ასეთი მიჯნის განსაზღვრა) პროლეტარიატის დიქტატურა ჰკარგავს თავის სისუსტეს და აქ კლასების არსებობის ნაშთებთან გვაქვს საქმე. ამიტომაც, რამდენად ვუახლოვდებით სოციალიზმს, იმდენად თანდათან ისპობა საზოგადოების დაყოფა კლასებათ, კლასიური დიფერენციაცია, მაშასადამე — ბოლო ეღება კლასთა ბრძოლასაც.

ასეთია კლასთა ბრძოლის ისტორიულ განვითარების საერთო სურათი. აქედან დასკვნა ერთია: სანამ პროლეტარიატის დიქტატურა არსებობს, არსებობს კლასთა ბრძოლაც, მაშასადამე, კლასთა ბრძოლის ძალდატანებითი ელემენტებიც. ამ ელემენტების მოსპობა საზოგადოებრივ კლასების მოსპობით შეიძლება მხოლოდ. მეორე მხრივ, ძალდატანებითი ელემენტების სიძლიერე კონკრეტიულ პირობებით და მდგომარეობით განისაზღვრება.

ასე სდგას საკითხი საზოგადოებრივ განვითარების ჩვეულებრივ ნორმალურ პირობებში. მაგრამ საბჭოთა პროლეტარიატის დიქტატურა როდი იმყოფება ასეთ

პირობებში. ამხ. სტალინი სამართლიანად და საფუძვლიანად აღნიშნავს კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ გ ა რ ე მ ო ც ვ ი ს მნიშვნელოვან ფაქტს. ანტისაბჭოთა ელემენტები და ჯგუფები საერთაშორისო კაპიტალიზმის წვენითაც საზრდოობენ. ჩვენი კულაკი და ნეპმანი საერთაშორისო ბურჟუაზიის აგენტია საბჭოთა ქვეყანაში. მათი კლასიური ფხიანობისა და თვითმოქმედების გაცხოველება ბევრადაა დამოკიდებული ამერიკა-ევროპის კაპიტალის „გუნებაზე". ამიტომ კლასთა ბრძოლის სადავეები როდია მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ საბჭოთა პროლეტარიატის ხელში თავმოყრილი. საერთაშორისო ბურჟუაზიის ჯადოსნური ხელი დაფათურობს ჩვენი ნეპმანისა და კულაკის ბოლმით სავსე გულში. მაგალითად, ომის საშიშროების გაძლიერება აძლიერებს ანტისაბჭოთა ელემენტების კლასიურ აღმაფრენას, ამ ელემენტებს აიმედებს და მნიშვნელოვნად რაზმავს დიქტატურის საწინააღმდეგოთ.

აი რატომ შეადგენს ინტერვენციის საშიშროება კლასთა ბრძოლის, საზოგადოებრივ კლასების ურთიერთობის ჯაჭვის მეტად მნიშვნელოვან რგოლს. ამის დავიწყება კლასიურ პროლეტარულ ალღოს დაკარგვაა და, მაშასადამე, კლასთა ბრძოლაში მნიშვნელოვან პოზიციების შესუსტება და გარღვევა.

ამიტომ ამხ. სტალინის სწორ დებულებას: „დიქტატურის ძალდატანებითი მხარე" შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა მოიხსნას დიქტატურის მშვიდობიან, უსისხლო, „მშენებლობის პერიოდში"-აც, ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა და აქტუალობა საერთაშორისო ინტერვენციის საშიშროების პირობებში.

მაგრამ პროლეტარიატის „დიქტატურის ძალდატანებითი მხარე" თვითმიზანი არ არის სოციალისტურ პროლე-

ტარიატისათვის. ეს ძალდატანება მხოლოდ საშუალებაა არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობის ძირ-ფესვიანად შესაცვლელად. დიქტატურის ერთად-ერთი მიზანია სოციალიზმის დამყარება, მაგრამ ვინაიდან ამ მიზანს არ იზიარებს მოწინააღმდეგე კლასი, პროლეტარიატიც „იძულებულია" „ძალდატანებითი მხარეს" მიმართოს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია დიქტატურის გამაგრება და სოციალისტური მეურნეობის მშენებლობა

ლენინი გენიალურად აშუქებს და არკვევს ამ საკითხს. აი რას სწერს ლენინი ამის შესახებ: „დიქტატურა ჰგულისხმობს სასტიკად დაუზოგავ, სწრაფ და გადამჭრელ ძალდატანებას ექსპლოატატორების, კაპიტალისტების. მემამულეების და მათი მაჩანჩალების გამოლაშქრების მოსასპობად... მაგრამ არა. მხოლოდ ძალდატანებაში მდგომარეობს პროლეტარიატის დიქტატურის შინაარსი და, უმთავრესად, არა ძალდატანებაში. დიქტატურის მთავარი შინაარსი მდგომარეობს პროლეტარიატის, მშრომელთა ამ მოწინავე რაზმის, ავანგარდის, ერთად-ერთ ხელმძღვანელის ორგანიზაციულობასა და დისციპლინაში. დიქტატურისმიზანიასოციალიზმის განხორციელება, საზოგადოების კლასებად დაყოფისმოსპობა... საჭიროა პროლეტარიატის დიქტატურა, ერთი კლასის ძალა-უფლება... რომელიც დაემყარება კულტურის, მეცნიერების, ტეხნიკის, კაპიტალიზმის ყველა მიღწევას... საჭიროა ამ კლასის ავტორიტეტი გაფანტულ, ნაკლებად განვითარებულ, პოლიტიკაში ნაკლებად მტკიცე ადამიანის წინაშე — ადამიანის სოფლიდან ან წვრილ წარმოებიდან, რათა პროლეტარიატმა შესძლოს

გაიყოლიოს გლეხობა და ყველა წვრილბურჟუაზიული ჯენა საზოგადოთ“ [1])

აქ რამდენი სიტყვაა, იმდენი მარცვალია აბსოლუტური ჭეშმარიტების და გენიალობის! დიქტატურას ახასიათებს ძალდატანება, მაგრამ ეს არ არის ერთ ად-ერთი დამახასიათებელი მომენტი. დიქტატურის მიზანია სოციალიზმი, რომლისთვის იბრძვის მშრომელთა ავანგარდი — სოციალისტური პროლეტარიატი. ამ ბრძოლაში პროლეტარიატმა უნდა გამოიყენოს კულტურის, ტექნიკის, მეცნიერების — მთელი ძველი წყობილების მიღწევა.

მაგრამ ეს კიდევ არ არის საკმარისი პროლეტარიატის დიქტატურისათვის. პროლეტარიატმა უნდა გაიყოლიოს, თავის ირგვლივ დარაზმოს „პოლიტიკაში ნაკლებად მტკიცე ადამიანი — ადამიანი სოფლიდან“. პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლესი პრინციპი მშრომელ გლეხობასთან კავშირის განმტკიცებაა. სხვა გზით შეუძლებელია დიქტატურის განვითარება კლასიურ საზოგადოების მოსასპობად.

გავარკვიოთ, რა ადგილი უჭირავს „ადამიანს სოფლიდან“ დიქტატურისა და კლასთა ბრძოლის სისტემაში.

---

[1]) Н. Ленин, ტ. XVI, გვ. 226 — 227. ხაზი ჩვენია.

V

ადამიანი სოფლიდან და პროლეტარიატის დიქტატურა

მეტად მხატვრულ სახეებში გამოსთქვა მარქსმა პროლეტარიატის დიქტატურის „უმაღლესი პრინციპი“: გლეხურ მოძრაობის გუნდის გარეშე პროლეტარული რევოლიუციის სოლო გადაიქცევა გედის სიმღერადო. მხატვრულადაა ეს ნათქვამი, მასში კიდეც ჩაქსოვილია პროლეტარულ რევოლიუციის თეორიისა და პრაქტიკის მთელი ფილოსოფია. „ადამიანს სოფლიდან“ მარქსიც აქცევდა უდიდეს ყურადღებას. 1856 წელს ა ი რ ა ს სწერდა მ ა რ ქ ს ი ე ნ გ ე ლ ს ს:

„გერმანიაში მთელი საქმე მდგომარეობს პროლეტარულ რევოლიუციის გლეხური ომის რომელიმე მეორე გამოცემით გამაგრების შესაძლებლობაში. მაშინ საქმეც მოეწყობა მშვენიერათ“ *).

---

*) პროლეტარიატისა და დანარჩენ კლასების ურთიერთობაზე მ ა რ ქ ს მ ა გამოსთქვა თავისი აზრი აგრეთვე გ ო თ ი ს პროგრამის კრიტიკაში. ამ პროგრამის პირველი მუხლი ასე თავდება:

„შ რ ო მ ი ს გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა უ ნ დ ა ი ყ ო ს მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს ს ა ქ მ ე. მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს მ ი მ ა რ თ კ ი ყ ვ ე ლ ა დ ა ნ ა რ ჩ ე ნ ი კ ლ ა ს ი წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს მ ხ ო ლ ო დ ე რ თ რ ე ა ქ ც ი ო ნ უ რ მ ა ს ს ა ს“.

კ. მარქსმა ნიშანში ამოიღო გოთის პროგრამის ეს ყალბი დებულება და ჩვეულებრივი სისასტიკით გააბათილა ის. „პირველი სტროფა — შენიშნავს მარქსი — ამოღებულია ინტერნაციონალის სტატუ-

ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი ც მრავალჯერ უსვამს ხაზს ამ დებულებას. ცხადია, მეცნიერულ კომუნიზმის მამამთავრებს საკმაოთ ქონდათ წარმოდგენილი ის როლი, რომელსაც თამაშობს „ადამიანი სოფლიდან“ პროლეტარულ რევოლიუციაში.

მარქსიზმის მიმდევრებს შორის მხოლოდ ლ ე ნ ი ნ მ ა გაიგო მარქს-ენგელსის გენიალური შეხედულება. არამც თუ გაიგო ლ ე ნ ი ნ მ ა ეს შეხედულება, კიდევ მეტი, მათემატიკური სისწორით გამოიყენა და განახორციელა სინამდვილეში. ამ შემთხვევაშიაც აშკარათ ვხედავთ ლ ე ნ ი ნ ი ს დაუზოგავ ბრძოლას რევოლიუციონურ მარქსიზმისათვის. კ. მ ა რ ქ ს მ ა ჩვენ მოგვცა ზოგადი, პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთობის ალგებრული ფორმულა. ლ ე ნ ი ნ მ ა დაშალა ეს ფორმულა, დაანაწილა და არითმეტიკულ სიცხადემდე დაიყვანა — ყველასათვის გასაგები გახადა. რასაკვირველია, აქ ლ ე ნ ი ნ ი უმთავრესად პროლეტარული რევოლიუციის გამოცდილებით და გაკვეთილებით სარგებლობდა.

ჩვენს ქვეყანაში „სოციალური რევოლიუცია საბოლოოდ გაიმარჯვებს მხოლოდ ორი პირობით — სწერს ლ ე-

---

ტის შესავალ სიტყვებიდან, მაგრამ „გაუმჯობესებით“... დამატებულია წმინდა წყლის ლასალიანური ციტატა: „რომლის (მუშათა კლასის) მიმართ ყველა დანარჩენი კლასი შეადგენს მ ხ ო ლ ო დ ე რ თ რ ე ა ქ ც ი ო ნ უ რ მ ა ს ს ა ს“...

მარქსი ასაბუთებს, რატომ არ შეიძლება „ხელოსნები, წვრილი მწარმოებლები და გლეხები“ მუშათა კლასის მიმართ ერთ რეაქციონურ მასსას შეადგენდეს და ასკვნის: „ამ რიგათ, ეს ბრძნული გამოთქმა უბრალო თაღლითობაა, ამავე დროს არც ისე არასასიამოვნო ბისმარკისათვის, ერთ-ერთი ის იაფი სიტლანქეთაგანია, რომელსაც იჩენს ბერლინელი მარატი“. К. Маркс. Критика готской программы, გვ. 58 — 59.

ნ ი ნ ი. — პირველი — ამ რევოლიუციას თუ თავის დროზე მოეშველება სოციალისტური რევოლიუცია ერთ ან რამოდენიმე მოწინავე ქვეყანაში... მეორე პირობა — ესაა შეთანხმება... პროლეტარიატსა და გლეხურ მოსახლეობას შორის... ჩვენ ვიცით, რომ . მ ხ ო ლ ო დ გ ლ ე ხ ო ბ ა ს თ ა ნ შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა ს შ ე უ ძ ლ ი ა ი ხ ს ნ ა ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ა რ უ ს ე თ შ ი, ს ა ნ ა მ ა რ მ ო მ ხ დ ა რ ა რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ა დ ა ნ ა რ ჩ ე ნ ქ ვ ე ყ ნ ე ბ შ ი“ [1])

მაშასადამე, სოციალისტურ რევოლიუციის საბოლოო გამარჯვება შეუძლებელია, თუ „ადამიანი სოფლიდან“ არ „შეუთანხმდა“ პროლეტარიატს. სანამ საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუცია არ მომხდარა, „სოციალისტური რევოლიუცია რუსეთში“ „შეუძლია იხსნას“ „მხოლოდ გლეხობასთან შეთანხმებამ“. ლენინი ამ წერილშივე აღნიშნავს, რომ ჩვენ გვაქვს სოციალიზმის დაბყარების ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი პ ი რ ო ბ ა. მაგრამ ერთ-ერთი გადამჭრელი პირობა — ესაა პროლეტარიატის დიქტატურისადმი გლეხობის დამოკიდებულება. სხვა გზა, გარდა გლეხობასთან შეთანხმების, დამლუპველია პროლეტარულ რევოლიუციის საბოლოო გამარჯვების.

ამიტომ თვით პროლეტარიატის დიქტატურა გლეხობასთან კავშირის შესუსტება კი არ არის. პირიქით, ამ დიქტატურის მიზანია მტკიცეთ მოიმხროს და თავის დროშის, პროლეტარულ ხელმძღვანელობის ქვეშ დააყენოს პოლიტიკურათ ნაკლებათ გაწვრთნილი „ადამიანი სოფლიდან“. „პროლეტარიატის დიქტატურა—სწერს ლენინი — არის პროლეტარიატის, მშრომელთა ავანგარდის

---

[1]) Собр. соч., ტ. XVIII, ნაწ. I, გვ. 137 — 138. ხაზი ჩვენია.

და მრავალრიცხოვან პროლეტარულ მშრომელთა ფენების (წვრილი ბურჟუაზია, წვრილი „ხოზიაიჩიკები“, გლეხობა, ინტელიგენცია და სხ.), ან მათი უმრავლესობის კ ლ ა ს ი-ურ ი კ ა ვ შ ი რ ი ს გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ფ ო რ-მ ა... კ ა ვ შ ი რ ი ს, რ ო მ ე ლ ი ც ი ქ მ ნ ე ბ ა ს ო ც ი ა-ლ ი ზ მ ი ს ს ა ბ ო ლ ო ო გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ი ს დ ა გ ა ნ მ ტ კ ი ც ე ბ ი ს მ ი ზ ნ ი თ. ე ს ა ა გ ა ნ ს ა-კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ს ა ხ ი ს კ ა ვ შ ი რ ი, რ ო მ ე ლ ი ც ი ქ მ ნ ე ბ ა გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ პ ი რ ო ბ ე ბ-შ ი... ესაა სოციალიზმის მტკიცე მომხრეების კავშირი მერყევ მოკავშირეებთან, ხშირათ „ნეიტრალებ-თან“... კ ა ვ შ ი რ ი ე კ ო ნ ო მ ი უ რ ა დ, პ ო ლ ი-ტ ი კ უ რ ა დ, ს ო ც ი ა ლ უ რ ა დ, ს უ ლ ი ე რ ა დ ა რ ა ე რ თ ნ ა ი რ კ ლ ა ს ე ბ ს შ ო რ ი ს“ [1]).

მაშასადამე, პროლეტარიატის დიქტატურა მარტ-ძალდატანება როდია. ეს არის კ ლ ა ს ი უ რ ი კ ა ვ შ ი-რ ი ს განსაკუთრებული ფორმა. გამარჯვებული პროლე-ტარიატი ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ს — და არა უკავშირდება — სოციალიზმის მერყევ მომხრეებს, განსაკუთრებით „ადა-მიანებს სოფლიდან“. დიქტატურა კავშირია, მაგრამ კავ-შირი კ ლ ა ს ი უ რ ი: აქ ჩვენ ვხედავთ „ეკონომიურად, პოლიტიკურად, სოციალურად და სულიერად არა ერთნა-ირ კლასების“ კავშირს. „სოციალიზმის მტკიცე მომხრე-ები“ — ადამიანები ქალაქიდან, მებრძოლი სოციალისტუ-რი პროლეტარიატი იკავშირებს „მშრომელთა ფენებს... სოციალიზმის საბოლოო განხორციელებისა და განმტკი-ცების მიზნით“. ეს მიზანია პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი საგანი, ამ დიქტატურის შუქურა — სოციალიზ-

---

[1]) Ленин, ტ. XVII, გვ. 241. ხაზი ჩვენია.

მი, ხოლო კავშირი „მერყეევ მოკავშირეებთან" აუცილებელი საშუალება, აუცილებელი იარაღია ამ მიზნისათვის ბრძოლაში. გლეხურ ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურა გლეხობასთან კავშირის გარეშე ხანგრძლივად ვერ იარსებებს. ამიტომ პროლეტარიატის დიქტატურისათვის აუცილებელია გლეხობასთან კავშირის განმტკიცება

აი რას ამბობდა ლენინი ამ საკითხის შესახებ კომინტერნის კონგრესზე 1921 წელს: „გ ლ ე ხ ო ბ ა ს თ ა ნ კ ა ვ შ ი რ ი ს გ ა რ ე შ ე შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა, შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ა მ ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ა... დ ი ქ ტ ა ტ ურ ი ს უ მ აღ ლ ე ს ი პ რ ი ნ ც ი პ ი ა — პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს კ ა ვ შ ი რ ი ს შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ებ ა გ ლ ე ხ ო ბ ა ს თ ა ნ, რ ა თ ა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ მ ა შ ე ი ნ ა რ ჩ უ ნ ო ს ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ი რ ო ლ ი და ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ებ რ ი ვ ი ძ ა ლ ა უ ფ ლ ებ ა" [1]). პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირი, ან და როგორც ლენინი აღნიშნავს — закрепить... их прочную связь с пролетариатом [2]) — აი რა არის „დიქტატურის უმაღლესი პრინციპი" გარდამავალ პერიოდში.

მაგრამ რა არის პროლეტარიატისა და გლეხობის „კლასიური კავშირის" ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი? ცხადია, ბულბულს ზღაპრებით ვერ ვასაზრდოებთ. პოლიტიკაში ნაკლებად საიმედო „ადამიანი სოფლიდან" პროლეტარიატის დიქტატურისგან მოელის რეალურ სარგებლობას. გლეხობა რეალურ პოლიტიკის მიმდევარია. ის მიყვება პროლე-

---

[1]) ტ. XVIII, ნაწ. I, გვ. 331.
[2]) ტ. XVI, გვ. 228.

ტარიატს, როცა აშკარათ ხედავს რეალურ ინტერესს, ხედავს ამ ინტერესის განხორციელებას.

მენშევიზმი უარყოფს პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის შესაძლებლობას. კ. კაუცკი ამტკიცებს, რომ გლეხსა და პროლეტარს შორის არის დაუძლეველი ანტაგონიზმი. ეს ანტაგონიზმი გამოიხატება იმაში, რომ საქონლის ბაზარზე გლეხი და პროლეტარი ერთმანეთს ხვდებიან როგორც მ ო წ ი ნ ა ღ მ დ ე გ ე ნ ი: პირველს სურს თავისი ნაწარმოები ძვირად გაყიდოს, მეორეს — იაფად იყიდოს. ასეთია, კაუცკის აზრით, პროლეტარიატისა და გლეხობას შორის არსებულ ანტაგონიზმის ეკონომიური საფუძველი.

რასაკვირველია, გლეხობისა და პროლეტარიატის ანტაგონიზმი ფაქტია, მაგრამ მენშევიზმის უბედურება იმაშია, რომ ის ამ ანტაგონიზმს ხელუხლებლად სტოვებს როგორც კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ისე გარდამავალ პერიოდში — პროლეტარიატის დიქტატურის პირობებშიაც. ამ ანტაგონიზმის მოსასპობათ მენშევიზმს ერთი რეცეპტი გააჩნია — გლეხობის „მოსპობა“ მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალიზმის ჟარ-ხმალით, კაპიტალიზმის საშუალებით. აქედან მენშევიკური ლოლიკური დასკვნაც: პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირი შეუძლებელია, საჭიროა გლეხურ მასსების აუცილებლად მოხარშვა კაპიტალიზმის ქვაბში, მხოლოდ ამ გზით შეიძლება წინააღმდეგობის დაძლევა. სოციალურმა რევოლიუციამაც უნდა უცადოს ამ „ნეტარებას“.

ცხადია, აქ არ არის მოცემული მარქსისტული იდეოლოგიის, მატერიალისტური დიალექტიკის დამახასიათებელი ძარღვი. კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს პ ი რ ო ბ ებ შ ი გ ლ ე ხ ო ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ი ე რ თ ნ ა ი რ ა დ ს დ გ ა ს,

პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში — სხვანაირად.

რა არის კ. კაუცკის შეხედულებაში სიმართლის მარცვალი? ეს არის გლეხობისა და პროლეტარიატის ინტერესების სხვადასხვაობა. „კლასების ინტერესები — ამბობს ლენინი — სხვადასხვანაირია, წვრილ მეურნეს არ უნდა ის, რაც უნდა მუშას“ [1]). გაცილებით უფრო ადრე, რევოლიუციამდე, ლენინი სწერდა გლეხობის შესახებ: გლეხობა წვრილ ბურჟუებს წარმოადგენს... დასავლეთ ევროპაში გლეხობა, როგორც კლასი, ადგენს არა სოციალისტურ, არამედ ბურჟუაზიულ პარტიებს... გლეხობა გამოდიოდა და ირაზმებოდა როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ძალა“ [2]). ასე იყო ეს ისტორიულად, ასე არის დღესაც ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოში. მართალია, კაპიტალიზმის პირობებშიაც პროლეტარიატსა და გლეხობას შორის არის საერთო ძაფი გაბმული. ესაა — ექსპლოატაციის ფაქტი. როგორც პროლეტარიატი იყვლიფება ბურჟუაზიის მიერ, ისე გლეხობა იყვლიფება მემამულეებისა და ფერმერების მიერ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს ძაფი სუსტია, თან უხილავიც საერთო სოციალურ ვითარებაში.

„ადამიანი სოფლიდან“ წვრილი მესაკუთრეა, მისი მსოფლმხედველობა წვრილი ბურჟუას მსოფლმხედველობაა. ამას ხაზს უსვამს ლენინი ყველგან და ყოველთვის.

ასეთი ფსიხოლოგიით, რწმენით, მესაკუთრის მსოფლმხედველობით გადმოდის „ადამიანი სოფლიდან“ დიქტატურის პერიოდში.

---

[1]) ტ. XVIII, ნაწ. I, გვ. 138.

[2]) ტ. XII, გვ. 364 და 365.

„წვრილი ბურჟუაზია პლიუს კერძო სამეურნეო კაპიტალიზმი იბრძვის ერთად, ხელი-ხელ ჩაკიდებული სახელმწიფო კაპიტალიზმისა და სოციალიზმის წინააღმდეგ. წვრილი ბურჟუაზია წინააღმდეგია ყოველგვარ — როგორც სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტურ, ისე სახელმწიფოებრივ-სოციალისტურ ჩარევის, აღრიცხვისა და კონტროლის" — სწერს ლენინი ერთ-ერთ ცნობილ ნაწარმოებში [1]). სწორედ ამაშია პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლესი პრინციპის ს ი ძ ნ ე ლ ე.

და აი აქ ისმება გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხი: პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ეს სიძნელე დ ა უ ძ ლ ე ვ ე ლ ი ა თუ დ ა ს ა ძ ლ ე ვ ი? მენშევიზმი გვიპასუხებს — დაუძლეველია, ბოლშევიზმი — უსათუოდ და უეჭველად დასაძლევი. ლენინი ყველგან და ყოველთვის ხაზს უსვამს, რომ დიქტატურის პერიოდში პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთობა ახალ საფუძველს ემყარება და ეს საფუძველი მტკიცეა „კლასიური კავშირისათვის". ამაშია რევოლიუციონურ ბოლშევიზმისა და რეფორმისტულ მენშევიზმის ერთ-ერთი ძირითადი, მთავარი განსხვავება.

ჩვენ ქვევით შევეხებით გლეხურ წვრილ მეურნეობის „გადაკეთების" საკითხს და იმ საშუალებებს, რომლითაც პროლეტარიატის დიქტატურა ანმტკიცებს „კლასიურ კავშირს" გლეხობასთან. აქ კი აღვნიშნავთ დიქტატურის უმაღლეს პრინციპის — გლეხობასთან კავშირის — მთავარ ნიადაგს.

პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში გლეხობისა და პროლეტარიატის ურთიერთობის საკითხი სულ სხვა ნიადაგზე სდგას.

---

[1]) ტ. XVIII, ნაწ. I, გვ. 204.

კაპიტალისტურ წყობილებაში ქალაქისა და სოფლის დამოკიდებულება ბატონისა და მონის დამოკიდებულებაა. აკ ქალაქი აწარმოებს სოფლის საშინელ ექსპლოატაციას. „თუ საშუალო საუკუნოებში ქალაქი პოლიტიკურად ეწეოდა სოფლის ექსპლოატაციას ყველგან—სწერს მარქსი,— სადაც ქალაქების განვითარებით ფეოდალიზმი არ იყო ძირ. გამოთხრილი, როგორც იტალიაში. სამაგიეროთ ქალაქი ყველგან და ყოველგვარ გამონაკლისის გარეშე ახდენდა სოფლის ექსპლოატაციას თავისი მონოპოლიური ფასებით, გადასახადთა სისტემით, ცეხურ წყობილებით. უშუალო ვაჭრული მოტყუილებით და მევახშეობით“ [1]). ასე სწერდა მარქსი ნახევარ საუკუნის წინეთ. ასეთია ისტორიული სინამდვილე. ფეოდალური და ბურჟუაზიული ქალაქი მუდამ აწარმოებდა და აწარმოებს გლეხურ მეურნეობის ექსპლოატაციას.

მაგრამ კაპიტალიზმის განვითარების თანამედროვე საფეხურზე — მ ო ნ ო პ ო ლ ი ს ტ უ რ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს პერიოდში ამ ექსპლოატაციამ განსაკუთრებული მწვავე ფორმა და მეტად განვითარებული სახე მიიღო. მონოპოლისტური კაპიტალიზმი აძვალტყავებს სოფელს არა მარტო გადასახადის სისტემით, სავაჭრო მოტყუილებით და მევახშეობით. მონოპოლისტური კაპიტალიზმი ხელთ იპყრობს ნედლეულს, სოფლის ნაწარმოებს — ახდენს სოფლის გლეხურ მეურნეობის ექსპლოატაციას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

პროლეტარული ქალაქი საფუძვლიანად სცელის მდგომარეობას. მშრომელი „ადამიანი სოფლიდან“ არა მარტო ღებულობს მიწას. ამხობს მემამულეების ბატონობას, ბო-

---

[1]) К. Маркс. Капитал, ტ. III, ნაწ. II, გვ. 337.

ლოს უღებს არსებულ ექსპლოატაციას. კიდევ მეტი. „ადამიანი სოფლიდან“ ეძებს მეურნეობის რაციონალურ ფორმებს, ღებულობს რეალურ დახმარებას პროლეტარულ სახელმწიფოსაგან, აშკარათ ხედავს პირობების რადიკალურ ცვლილებას. ამ „ადამიანის“ მიმხრობა ახლა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოიყენებს პროლეტარიატი ამ „მიმხრობის“ სოციალ-პოლიტიკურ და ეკონომიურ საშუალებებს. თუ კაპიტალიზმის დროს გლეხისა და პროლეტარის ურთიერთობა პურის, საზოგადოთ—სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საქონლის, ფაბრიკატების ბაზარზე სწყდებოდა, ახლა ამ ურთიერთობამ გაცილებით განსხვავებული ხასიათი მიიღო. რასაკვირველია, „ბაზრის“ საკითხი როდი იხსნება, მაგრამ ეს საკითხი სულ სხვა ნიადაგზე ისმება და იჭრება კიდეც*).

ერთი სიტყვით, გამარჯვებული პროლეტარიატი იყენებს ყოველგვარ საშუალებას, ხერხსა და ღონისძიებას,

---

*) ეს დებულება განმარტებას მოითხოვს. ჩვენ ვამბობთ, „ბაზრის“ საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის პირობებშიაც არ იხსნება დღის წესრიგიდან, მხოლოდ თანდათან სწყდება სოციალიზმის მშენებლობის პროცესში. რას ნიშნავს ეს? ამის ეკონომიური შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ მიმდინარე პერიოდში სოციალისტურ მრეწველობასა და კერძო-კაპიტალისტურ, წვრილ-ბურჟუაზიულ სოფლის მეურნეობას შორის არ სწარმოებს საქონლის ეკვივალენტური გაცვლა-გამოცვლა. სოციალიზმის მშენებლობის დღევანდელ პირობებში ეკვივალენტის პრინციპის დაცვა ეკონომიურად შეუძლებელია. ეს იქნებოდა ინდუსტრიალიზაციის მაჯის-ცემის შენელება და წვრილი მეურნეობის გაძლიერება. ერთი სიტყვით, ეკვივალენტური გაცვლა-გამოცვლა დღეს ჰგულისხმობს სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის შევიწროებას,

რომელიც „დიქტატურის უმაღლეს პრინციპის“ განაღდებას ემსახურება. პროლეტარიატის დიქტატურა აღწევს კიდევაც ამ პრინციპის განხორციელებას. ამის საფუძველია გამარჯვებულ პროლეტარიატის სოციალისტური პოლიტიკა.

ჯერ კიდევ მარქსი აირას შენიშნავდა: გლეხობა „ან შეეცდება წინააღმდეგობის გაწევას, და დაამხობს ყოველგვარ რევოლიუციას, როგორც ეს მოხდა საფრანგეთში, ან და პროლეტარიატმა (რადგან გლეხი-მესაკუთრე არ ეკუთვნის პროლეტარიატს თითქმის მაშინაც კი, როცა ეს გლეხი თავისი მდგომარეობით პროლეტარიატს ეკუთვნის, მაგრამ არც კი აქვს ეს შეგნებული) უნდა მიიღოს — როგორც სახელმწიფომ — ზომები, რომლის საშუალებით გლეხის მდგომარეობა უშუალოდ გაუმჯობესდება და

მისი განვითარების შეფერხებას. და რაკი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ეკვივალენტური. თანაბარი, თანასწორი გაცვლა-გამოცვლა ჯერ კიდევ არ არის მიღწეული, ცხადია, პროლეტარიატისა და წვრილი მწარმოებელს შორის ინტერესთა ერთნაირობა არ არის. მაშასადამე, არც კლასიურ წინააღმდეგობის ეკონომიური საფუძველია მოსპობილი. აი ნიადაგი პროლეტარიატისა და გლეხობის კლასიურ ინტერესთა შეუდუღებლობის, ამ ინტერესთა სხვადასხვაობის. პროლეტარიატი სცდილობს ამ ნიადაგის მოსპობას. სცდილობს მძიმე ინდუსტრიის განვითარებით, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციით და სხვ. სანამ ეს არ მომხდარა, ქალაქის წარმოებისა და სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია არ განვითარებულა, ეკვივალენტური გაცვლა-გამოცვლის პრინციპიც განუხორციელებელი რჩება. ასეთია მდგომარეობა.

მემარჯვენეებს ეს გლეხობის „სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაცია“ ჰგონიათ. მაგრამ მოეუსმინოთ ამბ. რი-

ეს გლეხი თვითონაც გადავა რევოლიუციის მხარეზე,—ზომები, რომლებიც შეიცავს მიწის კერძო საკუთრებიდან კოლექტიურ საკუთრებაზე გადასვლის ჩანასახს და ამსუბუქებს ამ გადასვლას"... [1]).

როგორც ვხედავთ, მარქსის ამ სიტყვებში მოცემულია პროლეტარიატისა და გლეხობის სწორი ურთიერთობის, მათი კავშირის მთელი პროგრამა. გეგონებათ, ეს სიტყვები გუშინ თუ გუშინწინაა ნათქვამი ჩვენი პარტიის რომელიმე ყრილობაზე, საბჭოთა მშენებლობის მაგალითის მიღებით მხედველობაში. ლენინის მიერ დასმული ისტორიული კითხვა: **кто кого? ან და — или-или — ი**ს ად პოულობს მაგარ ფესვებს. პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში „დიქტატურის უმაღლესი პრინციპი"—

კოვს, რას ამბობდა ის ამის შესახებ: სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე „შეგვიძლია თუ არა ჩვენ ფასები ავსწიოთ განუსაზღვრელად? რა თქმა უნდა, არა. აქ არსებობს პრინციპიალური საზღვარი, რომლის გადალახვა ჩვენ არ შეგვიძლია. ფასების აწევის ასეთი საზღვარია, ჩემის აზრით, საქონლის წვრილ მეურნეობის პროდუქტებისა და მსხვილ მრეწველობის პროდუქტების ე. წ. ეკვივალენტური გაცვლა-გამოცვლის შეუძლებლობა. ეს იმით აიხსნება, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ყოველ შემთხვევაში მის ეხლანდელ სტადიაზე, დაკავშირებულია არასოციალისტურ სექტორიდან საშუალებათა სოციალისტურ სექტორში „გადაქაჩვასთან" („перекачка"). ინდუსტრიალიზაცია არ შეიძლება განვითარდეს ასეთ დამატებითი რესურსების გარეშე—მეურნეობის დანარჩენ სექტორების ხარჯზე". А. Рыков. Текущий момент и задачи партии, გვ. 15—16. ხაზი ჩვენია.

[1]) Летопись марксизма. 1927. ტ. II, გვ. 93. ხაზი ჩვენია.

კავშირი გლეხობასთან უზრუნველყოფილია, თუ პროლეტარიატი და მისი ხელისუფლება მიიღებს „მ ი წ ი ს კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ ს ა კ უ თ რ ე ბ ა ზ ე გ ა დ ა ს ვ ლ ი ს“ ზომებს, გაადვილებს ამ გადასვლას, „უშუალოდ გააუმჯობესებს“ სოფლის მეურნეობას. ეს უკვე პრინციპის საკითხი არაა. მარქსის თვალსაზრისით პროლეტარიატისა და გლეხობის სწორი ურთიერთობის საკითხი პ რ ი ნ ც ი პ ი ა ლ უ რ ა დ გადაწყვეტილია, საქმე შეეხება მხოლოდ გამარჯვებულ პროლეტარიატის პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ პოლიტიკას, „ზომებს“. ჩვენს ენაზე ესაა — სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ლენინის კოოპერატიული გეგმა და მრავალი სხვა.

ცხადია, რ ა მ დ ე ნ ა დ გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ უ ლ ი პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი მ ხ ნ ე თ და მ ა რ ჯ ვ ე თ მ ო ი ხ მ ა რ ს, გ ა ნ ა ვ ი თ ა რ ე ბ ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ პ ო ლ ი ტ ი კ ა ს, ი მ დ ე ნ ა დ ა ც უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ი ლ ი ი ქ ნ ე ბ ა „დ ი ქ ტ ა ტ უ რ ი ს უ მ ა ღ ლ ე ს ი პ რ ი ნ ც ი პ ი“ — პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ა და გ ლ ე ხ ო ბ ი ს „კ ლ ა ს ი უ რ ი კ ა ვ შ ი რ ი“, ი მ დ ე ნ ა დ მ ო ი ს პ ო ბ ა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ს ა და გ ლ ე ხ ო ბ ა ს შ ო რ ი ს ა რ ს ებ უ ლ ი წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა, ა მ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი ს ა და ი ნ ტ ე რ ე ს თ ა ს ხ ვ ა ო ბ ი ს ნ ი ა დ ა გ ი.

ლ ე ნ ი ნ ი შემთხვევით არ ხმარობს სიტყვებს „კ ლ ა ს ი უ რ ი კ ა ვ შ ი რ ი“. ეს კავშირი ჰგულისხმობს კლასების შეკავშირებას, შეთანხმებას. რომელ კლასებზეა აქ ლაპარაკი? რასაკვირველია, ორ კლასის — პროლეტარიატისა და გლეხობის შესახებ.

გლეხობა, სახელდობრ — საშუალო გლეხობა პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში „გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე-

ბ უ ლ ი კ ლ ა ს ი ა“, რომელსაც აქვს თავისი კლასიური ინტერესი: სიძულვილი კაპიტალიზმისადმი და კერძო მესაკუთრის ფსიხოლოგია. პირველ შემთხვევაში ის სოციალისტურ პროლეტარიატის მომხრეა, ხოლო მეორე შემთხვევაში — მისი მოწინააღმდეგე. პროლეტარიატი მოხერხებულად იყენებს გლეხობის ამ „ორმაგ ბუნებას“ — პირველ მომენტს ამწვავებს, მეორეს — ანელებს და არბილებს. მაგრამ რა გვესმის ჩვენ თვით სიტყვა „გლეხობაში“?

ლენინი ხშირათ უბრუნდება კითხვას, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ჩვენ, როცა გლეხობასა და მასთან კავშირის დამყარება-განმტკიცებაზე ვლაპარაკობთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გლეხობა ერთფეროვანი სოციალური მასსა არ არის. გლეხობა ფენებათაა დანაწილებული. არის კულაკი, საშუალო, ღარიბი გლეხი. გლეხობის რომელ ფენაზეა ლაპარაკი? იმ ფენაზე, „რ ო მ ე ლ ი ც შ ე ა დ გ ე ნ ს მ ცხ ო ვ რ ე ბ თ ა დ ი დ უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა ს“. მაშასადამე, პროლეტარიატისა და გლეხობის საკითხი კონკრეტიულად ნიშნავს პროლეტარიატისა და „წვრილი გლეხობის“ კავშირს. ს ა ე რ თ ო დ გ ლ ე ხ ო ბ ა შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა მ ს ჯ ე ლ ო ბ ი ს ს ა გ ნ ა თ გაეიხადოთ. ს ა ე რ თ ო დ გლეხობა ჩვენთვის არ არსებობს. არის მხოლოდ გლეხობისადმი მიდგომის კ ლ ა ს ი ურ ი თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი. გლეხობის კულაკური ნაწილი ეკუთვნის ანტისოციალისტურ, აშკარა კაპიტალისტურ ელემენტს. კულაკი კაპიტალიზმის აგენტია სოფლად. გლეხობის ეს ნაწილი ძალიან მცირერიცხოვანია, ის არ წარმოადგენს მცხოვრებთა უმრავლესობას. პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირზე ლაპარაკი იმთავითვე ჰგულისხმობს გლეხობის კულაკურ ნაწილის აუცილებლად გამოკლებას და ამ ნაწილის კაპიტალისტურ ელემენტებთან შეერთებას.

მაშ კონკრეტიულად გლეხობის რომელ ნაწილზეა ლაპარაკი, გლეხობის რომელი ფენა შეადგენს სოფლის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას? ესაა ს ა შ უ ა ლ ო დ ა ღ ა რ ი ბ ი გ ლ ე ხ ო ბ ა. რომელია მათ შორის პროლეტარიატის მ ო კ ა ვ შ ი რ ე, დამოუკიდებელი კლასი, რომელიც „კლასიურ კავშირის" დიდ როლს შეადგენს? ეს არის ს ა შ უ ა ლ ო გ ლ ე ხ ო ბ ა. საშუალო გლეხობა, გარდამაკალ პერიოდში, შეადგენს „მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას". კაპიტალიზმის სამეფოში საშუალო გლეხობა თითქმის არ არსებობს, როგორც დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი სოციალური კატეგორია. კაპიტალიზმი ახდენს გლეხობის დიფერენციაციას უმთავრესად ორი მიმართულებით — ფერმერისა და სოფლის პროლეტარის მიმართულებით. საშუალო ელემენტი ამ ორი უკიდურესობიდან იდევნება, იგი უმნიშვნელო ძალას წარმოადგენს.

მაგრამ სულ სხვა მდგომარეობა იქმნება პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. ცხადდება მიწის ნაციონალიზაცია. უმიწაწყლო ან მცირე მიწოვანი გლეხი ღებულობს მიწას, სესხს, სამეურნეო მანქანებს საერთო სარგებლობაში და სხვადასხვა. ეს გარემოება აუმჯობესებს ღარიბი გლეხის ნივთიერ მდგომარეობას და ეს გლეხი უკვე ს ა შ უ ა ლ ო გ ლ ე ხ ა თ გ ვ ე ვ ლ ი ნ ე ბ ა. აი რატომ ამბობდა ლ ე ნ ი ნ ი, რომ საბჭოთა წყობილების პირობებში „გლეხობა გაცილებით უფრო საშუალო გახდა, ვინემ ეს იყო წინეთ. წინააღმდეგობანი შერბილდა, მიწა ჯანაწილებულია მოხმარების უფლებით გაცილებით უფრო თანაბრათ, ბობოლა გლეხი ძირ-გამოთხრილია და მნიშვნელოვნად ექსპლოატაცია ქმნილი..." [1]). ასე ახასიათებს

---

[1]) ტ. XVIII. ნაწ. 1, გვ. 138 — 139.

ლ ე ნ ი ნ ი ოქტომბრის შემდგომი სოფლის ევოლიუციას. ამასვე ამბობს ამხ. ს ტ ა ლ ი ნ ი:

„მას შემდეგ, რაც ჩვენ მოვახდინეთ ოქტომბრის რევოლიუცია, მემამულეები გავდევნეთ და მიწა დავურიგეთ გლეხებს, ცხადია, რუსეთი ჩვენ ბევრათ თუ ნაკლებათ საშუალო გლეხობის ქვეყნათ გავხადეთ, осереднячили, როგორც ამბობს ლენინი და ახლა საშუალო გლეხობა სოფლად შეადგენს უმრავლესობას. დიფერენციაციის პროცესის მიუხედავათ" [1]).

ამ რიგათ, როცა ვამბობთ გლეხობასთან კავშირზე, ჩვენ ვგულისხმობთ საშუალო გლეხობას, როგორც სოფლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს მ თ ა ვ ა რ ფ ი გ უ რ ა ს. საშუალო გლეხობა სოციალისტური რევოლიუციის შემდეგ სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს, ის არის გლეხობის ძირითადი მასსა, დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი კ ლ ა ს ი სოფლის წვრილი მწარმოებლების. კულაკი კაპიტალისტური ელემენტია, უღარიბესი გლეხი — პროლეტარული. პირველი კაპიტალისტურ-ბურჟუაზიულ ჯგუფშია, მეორე — სოციალისტურ-პროლეტარულში. აქ განსაკუთრებული და დამოუკიდებელი ადგილი მხოლოდ გლეხობის საშუალო ფენას უჭირავს. აი ეს საშუალო ფენა შეადგენს პროლეტარიატთან. დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ი ს საგანს.

საშუალო გლეხობა „დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი კ ლ ა ს ი ა, ის კ ლ ა ს ი, რ ო მ ე ლ ი ც კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს ა და მ ე მ ა მ უ ლ ე ე ბ ი ს მ ო ს პ ო ბ ი ს შ ე მ დ ე გ რ ჩ ე ბ ა ე რ თ ა დ-ე რ თ კ ლ ა ს ა თ,

---

[1]) И. Сталин. Вопросы ленинизма, გვ. 382, აგრეთვე — 383. იხ. დამატებით: И. Сталин. О середняке.

რ ო მ ე ლ ს ა ც შ ე უ ძ ლ ი ა გ ა უ წ ი ო ს წ ი ნ ა-
ა ღ მ დ ე გ ო ბ ა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ს" [1]). ასე ახასიათებს ლენინი საშუალო გლეხობას, მის კლასიურ ხასიათს და სოციალურ ბუნებას. ამიტომ საშუალო გლეხობის საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის ცენტრალური საკითხია. „დიქტატურის უმაღლესი პრინციპი" ამ საკითხის გადაჭრაზეა დამყარებული.

კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ შ ი ს ა შ უ ა-
ლ ო გ ლ ე ხ ი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს მ ო კ ა ვ შ ი რ ე ა. მისი შემდეგი მოლონიერება მსხვილი მეურნის გზას ემყარება. ბურჟუაზია წარმოადგენს რეალურ ძალას, რომელიც საშუალო ფენას თავის მხარეზე მიათრევს. საშუალო გლეხიც სდგას პ ი რ ი თ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს ა კ ე ნ. მართალია, საშუალო გლეხობა კაპიტალიზმის პირობებში უმნიშვნელოა რიცხობრივად, მაგრამ იგი მნიშვნელოვანია თვისობრივად — მისგან იბადება მსხვილი ფერმერი, მდიდარი გლეხი, ქალაქის კაპიტალის დასაყრდენი სოფლის მეურნეობაში. აი რატომ სწერდა ლ ე ნ ი ნ ი ამ 25 წლის წინეთ საშუალო გლეხობის შესახებ: „სოფლის პროლეტარიატსა და გლეხურ ბურჟუაზიას შორის არსებობს საშუალო გლეხობის ფენა, რომელშიაც არის ორივე ანტიპოდის ნიშნები... ჩვენი ამოცანაა არასოდეს არ გადავუხვიოთ კლასიურ თვალსაზრისს და განვამტკიცოთ უმჭიდროესი კავშირი ქალაქისა და სოფლის პროლეტარებს შორის" [2]).

ბურჟუაზიულ რევოლიუციისათვის ბრძოლაში საშუალო გლეხი საიმედო ჯარისკაცია. ის ბოლომდის გაყვება ამ ბრძოლას. მაგრამ სრულებით სხვა გუნებაზე სდგება საშუალო ელემენტი, როცა საკითხი ს ო ც ი ა ლ ი ს-

---

[1]) Ленин, ტ. XVIII, ნაწ. I, გვ. 177.

[2]) ტ. VI, გვ. 114.

ტ უ რ რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ა ს ეხება. აქ ის მერყეევია, არასაიმედო. ამიტომაც აყენებდა ლენინი ოქტომბრის წინაპერიოდში, ოქტომბრისათვის ბრძოლაში საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის ლოზუნგს. „საშუალო გლეხი — მოხდენილად ამბობს ამხ. სტალინი, — ეს ადამიანია высматривающий. ის უცდის, ვინ გაიმარჯვებს, და მხოლოდ მაშინ, როცა შენ გაიმარჯვე, გადევნე მემამულე და ბურჟუა, ის სურვილს აცხადებს შენთან კავშირზე. ამიტომაც არის ის საშუალო გლეხი“ [1]). მაშასადამე, სანამ პროლეტარიატის დიქტატურა არ დამკვიდრებულა, საშუალო გლეხობასთან მჭიდრო კავშირის საკითხიც მოხსნილია. ეს საკითხი წამოიჭრება უმალვე, როგორც კი დიქტატურა გაიმარჯვებს და ძველ საშუალო ელემენტებს ახალი საშუალო — „გასაშუალებული“ ღარიბი გლეხობაც მიემატება.

გლეხობის საკითხშიაც ლ ე ნ ი ნ ს ყოველთვის ახასიათებდა „სწორხაზობრივი“ ბოლშევიკური თვალსაზრისი. ლ ე ნ ი ნ ი ამ თვალსაზრისს რევოლიუციამდეც ხშირად ასაბუთებდა. ხოლო პროლეტარულ რევოლიუციის პროცესში ეს თვალსაზრისი გამოცდილებამაც შეამოწმა, როგორც ერთად-ერთი სწორი შეხედულება და მარქსისტული თეორია. ცნობილ ბროშურაში: „პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ა და რ ე ნ ე გ ა ტ ი კ ა უ ც კ ი“ — ლენინმა აი როგორ ჩამოაყალიბა მოკლე ფორმულაში ეს შეხედულება: „ჯ ე რ ერთად „მთელ“ გლეხობასთან მონარქიის, მემამულეების წინააღმდეგ... შ ე მ დ ე გ ერთად უღარიბეს გლეხობასთან, ნახევრად პროლეტარიატთან ერთად ყველა გაყვლეფილთან კაპიტალიზმის წინააღმდეგ, მათ შორის სოფლის მდიდრების, კულაკების,

---

[1]) И. Сталин. Вопросы ленинизма, გვ. 380 — 381.

სპეკულიანტების წინააღმდეგ, რამდენად რევოლიუცია სოციალისტური ხდება"[1]). როგორც ხედავთ, აქ საშუალო გლეხობასთან კავშირზე ლაპარაკიც არაა. ეს გლეხობა высматривает. ის საიმედო არ არის პროლეტარულ რევოლიუციისათვის ბრძოლაში. ასე აყენებს ლენინიც საკითხს.

პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში საშუალო გლეხობა უკვე გამორკვეულია. ის უკვე „სურვილს აცხადებს კავშირზე". გამარჯვებული პროლეტარიატის პოზიციაც იცვლება. საშუალო გლეხობა, რომელიც ახლა მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს, პროლეტარიატმა გვერდში უნდა ამოიყენოს და თავის გზაზე უნდა გაიყოლიოს. ლენინიც გადაჭრით აცხადებს: საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის თვალსაზრისი ახლა არ ვარგა და საშუალო გლეხობის მიმართ უნდა დავდგეთ მტკიცე კავშირის ნიადაგზე[2]).

მაშასადამე, პროლეტარიატის დიქტატურის „უმაღლესი პრინციპი" გლეხურ მოსახლეობის უმრავლესობასთან — საშუალო გლეხობასთან „მტკიცე კავშირის" დამყარებაა. პროლეტარიატისა და საშუალო გლეხობის მტკიცე კავშირი — ასეთია ჩვენი ლოზუნგი. ეს კავშირი კლასიურია: აქ „შეთანხმებაა" ორი კლასის — პროლეტარიატის და გლეხობის უმრავლესობის. აქ არ იჩრდილება პროლეტარიატის კლასიური თვალსაზრისი და არ იღუნება სოციალიზმისათვის პროლეტარული ბრძოლის ხაზი. ესაა უმთავრესი.

---

[1]) ტ. XV. იხ. აგრეთვე: ტ. VI, გვ. 113; 448 — 449 და 493.

[2]) იხ. ლენინის მიერ დაწერილი რეზოლიუცია საშუალო გლეხობის შესახებ: Собр. соч., ტ. XVI, გვ. 158 — 161.

მაგრამ რა ნიადაგზე სდგას ღ ა რ ი ბ ი გ ლ ე ხ ობ ი ს ს ა კ ი თ ხ ი, რა ადგილი უჭირავს ღარიბ გლეხობას პროლეტარიატის დიქტატურისა და კლასთა ბრძოლის საერთო სისტემაში?

ღარიბ გლეხობაში ჩვენ ვგულისხმობთ: უ ღ ა რ ი ბ ე ს ნაწილს, რომელიც სოფლის მოჯამაგირეობას წარმოადგენს უმეტეს შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის მ უ შ ე ბ ს დ ა — გ ლ ე ხ ე ბ ს, რომელთაც აქვთ მიწა, მაგრამ არ გააჩნიათ სხვა საწარმოო საშუალება, ამიტომ აქირავებენ თავიანთ ძალ-ღონეს, ე. ი. ექსპლოატაციის საგანს შეადგენენ. სოფლის მეურნეობის მუშებს და მოჯამაგირეებს ჩვენ ვუწოდებთ ლენინის ენაზე „გ ლ ე ხ უ რ პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ს“ [1]). ხოლო ღარიბ გლეხობას საერთოდ — ნ ა ხ ე ვ რ ა დ პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ს, ანდა, როგორც ენგელსი ამბობს — „წინაპროლეტარიატს“.

„გლეხური პროლეტარიატი“ დიქტატურის პერიოდში დამოუკიდებელ კლასს არ წარმოადგენს, მაშასადამე, ის არც არის პროლეტარიატთან „დაპირდაპირებული“. აქ კლასიურ წინააღმდეგობის მტკიცე ნიადაგი არ არსებობს. ამიტომ ღარიბი და უღარიბესი გლეხობა პროლეტარიატის მ ო კ ა ვ შ ი რ ე კ ი არ არის. გლეხობის ეს ფენა პროლეტარიატის დ ა ს ა ყ რ დ ე ნ ი ა სოფლად *). ეს არ უნდა დაგვავიწყდეს.

ამიტომ როცა ჩვენ ვლაპარაკობთ „კლასიური კავშირის“ შესახებ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს პ რ ო ლ ე-

---

[1]) Ленин, ტ. IX, გვ. 669.

*) კერძოთ, სოფლის მოჯამაგირეები შეიძლება უფრო მკაფიოთ გამოვყოთ. ამხ. გ. ზ ი ნ ო ვ ი ე ვ ს ა Правда-ში (№ 289. 1928 წ.) დაბეჭდა წერილი სათაურით: Дорогу батраку. სხვათა შორის, აი რას სწერს ის ამ წერილში: „მოჯამაგირეობა არის ჩ ვ ე-

ტ ა რ ი ა ტ ი ს ა დ ა ს ა შ უ ა ლ ო გ ლ ე ხ ო ბ ი ს კ ა ვ შ ი რ ი. ღარიბ და უღარიბეს გლეხობის საკითხი სოციალიზმისათვის მებრძოლ პროლეტარიატის წინაშე სრულებით სხვანაირად სდგას. აქ „შეთანხმება“ და „კავშირი“ უადგილოა: გ ლ ე ხ ო ბ ი ს ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ფ რ ო დ ა ბ ა ლ ი, ღ ა რ ი ბ ი ფ ე ნ ა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ა ს ა ყ რ დ ე ნ ი ა დ ა ა რ ა მ ო კ ა ვ შ ი რ ე.

აი როგორ გამოიყურება „ადამიანი სოფლიდან“ კლასთა ბრძოლის ვითარებიდან პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში. პროლეტარიატის კლასიური პოლიტიკა აქ ძალზე მოქნილია: ერთის მხრით ის პირდაპირ მიმართულია სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ, მეორე მხრივ — ამტკიცებს კავშირს საშუალო გლეხობასთან და, მესამე მხრივ — ემყარება ღარიბ და უღარიბეს გლეხობას. ლენინის სიტყვით, ამ პოლიტიკის ფორმულაა: „... დ ო ს ტ ი გ ა ტ ь ს ო გ ლ ა შ ე ნ ი я с о с р е д н и м к р е с т ь я н с т в о м, н и н а м и н у т у н е о т к а з ы в а я с ь о т б о р ь б ы с к у л а ч е с т в о м и п р о ч н о о п и р а я с ь н а б е д н о т у“ [1]). ასეთია პროლეტარიატის დიქტატურის „უმაღლესი პრინციპი“ სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ამ რიგათ, პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთობა კლასთა ბრძოლის თვალსაზრისით ჩვენთვის, ვფიქრობთ,

---

ნ ი კ ლ ა ს ი ს ნ ა წ ი ლ ი, მუშების ნაწილი. ის სავსებით და მთლიანად წავა ჩვენთან ერთად... მოჯამაგირეობა სწორედ მუშათა კლასის ნაწილია და არა მუშათა კლასის დასაყრდენი სოფლად, როგორიცაა ღარიბი გლეხი“... ხაზი ავტორისაა.

[1]) Сочинения, ტ. XV, გვ. 564. ხაზი ჩვენია.

საკმაოთ ნათელია. ამ ურიოთერთობის მტკიცე საფუძველზე დაყენება პროლეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, გადამწყვეტი პრობლემა. მოწინავე, სოციალისტური პროლეტარიატის ლენინური პოლიტიკა სწორათ აყენებს ამ პრობლემას და სწორათვე სწყვეტს მას.

ასეთია, საერთოდ, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ურთიერთობის ანალიზი რევოლიუციონური მარქსიზმის თვალსაზრისით.

ახლა გავარკვიოთ კლასთა ბრძოლის პ რ ი ნ ც ი პ ი ა-ლ უ რ ი ხაზი პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში.

VI

კლასთა ბრძოლის სამი ფრონტი და პროლეტარიატის კლასიური პოლიტიკა

სოციალისტურ პროლეტარიატისა და მისი კომუნისტური პარტიის პ რ ი ნ ც ი პ ი ა ლ უ რ ი ხ ა ზ ი კლასთა ბრძოლის საკითხში ერთნაირი არ არის სოციალურ განვითარების ორ სხვადასხვა საფეხურზე — კაპიტალისტური ბურჟუაზიის „დემოკრატიული" დიქტატურისა და მოწინავე პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში.

პირველ შემთხვევაში გამარჯვებული, გაბატონებული კლასია ბურჟუაზია, პროლეტარიატი კი — დამონაებული, დამორჩილებული. აქ ბურჟუაზიული პარტიები (+ მენშევიკურიც) სდგას სახელმწიფოებრივ ხელისუფლების სათავეში, ხოლო პროლეტარიატი და მისი კომუნისტური პარტია ო პ ო ზ ი ც ი ო ნ უ რ კლასსა და პარტიას წარმოადგენს. ცხადია, პროლეტარული პარტია იბრძვის პროლეტარიატის დიქტატურისათვის და ყველა მისი ლოზუნგი მიმართულია ამ დიქტატურის დამყარებისკენ. პროლეტარიატის დაქტატურის მიღწევა კი შეუძლებელია პროლეტარულ რევოლიუციის გარეშე. ამისათვის საჭიროა საზოგადოებრივ კლასებს შორის კლასიურ ომის გ ა ჩ ა ღ ე ბ ა. ამიტომაც პროლეტარული პარტიის, პროლეტარიატის ავანგარდის ლოზუნგია კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ი ს გ ა მ ა ხ ვ ი ლ ე ბ ა, უაღრესად გამწვავება. პროლეტარული პარტია იყენებს და ეძებს ყოველგვარ მასალას, რომელიც

კლასთა შეჯახებას იწვევს, კლასთა ბრძოლას ააფეთქებს. რასაკვირველია, აქ მხედველობაში მიღებულია და გათვალისწინებული ამ „აფეთქების" მომენტები. პროლეტარულ გადამწყვეტი ბრძოლის ტაქტიკა შეფარდებულია კლასიურ ძალთა რეალურ განწყობილებასა და პირობებთან.

მაგრამ რაც მთავარი და დამახასიათებელია, ძალაში რჩება. ესაა: კაპიტალისტურ ქვეყანაში, სადაც ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელშია, რევოლიუციონური პროლეტარიატისა და მისი პარტიის პრინციპიალური და პრაქტიკული პოლიტიკა კლასთა ბრძოლის სფეროში არის ამ ბრძოლის სისტემატიური განვითარების, გართულების, გამწვავების პოლიტიკა. ამ პოლიტიკის მ ე ს ა ჭ ე ა მოწინავე მებრძოლი პროლეტარიატი. ასეთია ჩვენი თანამოძმე ევროპიულ კომპარტიების თეორია და პრაქტიკა.

მეორე პერიოდში, როცა პროლეტარული რევოლიუცია და პროლეტარიატის დიქტატურა უკვე გამარჯვებულია, სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება პროლეტარიატის ხელშია, პროლეტარული პარტიის — კომპარტიის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფილია, ბურჟუაზიული კლასები ხერხემალ ჩატეხილია, — კლასთა ბრძოლის პროლეტარული ხაზი სხვანაირ სახეს ღებულობს. განსხვავებულ ისტორიულ მომენტს განსხვავებული კლასიური ტაქტიკა შეეფარდება. როგორია ახლა გამარჯვებულ პროლეტარიატის პოლიტიკა კლასთა ბრძოლის საკითხში? რაში მდგომარეობს ეს განსხვავებული კლასიური ტაქტიკა?

დიქტატურის პერიოდი კლასთა არსებობის პერიოდია. კლასების არსებობა კლასთა ბრძოლას ჰგულისხმობს. ჩვენ საკმაოთ დავრწმუნდით წინა წერილში, რომ დიქტატურა კლასთა ბრძოლის ფაქტს არ უარყოფს. პირიქით, განვითარების ზოგიერთ საფეხურზე, განსაზღვრულ მომენტში

ეს ბრძოლა უფრო მწვავდება კიდეც. დიქტატურის პირობებში კლასთა ბრძოლის საკითხი არ იხსნება, ეს ბრძოლა სხვა ფორმასა და სახით გვეელინება. ეს ჩვენ საკმაოთ გავიცანით, გავარკვიეთ.

კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში პროლეტარიატის პოლიტიკაც უსათუოდ კლასიურია, პროლეტარიატი არ კარგავს თავის კლასიურ სახეს სახელმწიფოს სათავეში მოქცევის შემდეგ. პროლეტარიატის კლასიური სახე კი არის სახე ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი. მხოლოდ პროლეტარიატი შეადგენს სოციალიზმისათვის ბრძოლის მოწინავე რაზმს. ამიტომ პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს კ ლ ა ს ი უ რ ი პ ო ლ ი ტ ი კ ა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი პ ო ლ ი ტ ი კ ა ა ა მ ა ვ ე დ რ ო ს. ეს პოლიტიკა მთლიანად და სავსებით სოციალისტურ საზოგადოებისაკენაა მიმართული.

კ ლ ა ს ი უ რ ი პ ო ლ ი ტ ი კ ი თ უ კ ლ ა ს ო წ უ ო ბ ი ლ ე ბ ი ს კ ე ნ — ასეთია მოწინავე პროლეტარიატის ლოზუნგი. პროლეტარიატს არც ერთ წუთსაც არ შეუძლია ამ პოლიტიკის — კლასიურ ხაზის — დავიწყება, მისი გამრუდება.

მაშასადამე, როგორც პირველ პერიოდში — კაპიტალიზმის პერიოდში, ისე მეორე პერიოდში — პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, რევოლიუციონური პროლეტარიატის ხაზი ერთია — ესაა კ ლ ა ს ი უ რ ი პოლიტიკა, კ ლ ა ს ი უ რ ი თვალსაზრისი, კლასიური ბრძოლა. პირველ პერიოდში პროლეტარიატის კლასიური პოლიტიკა კაპიტალის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ბატონობის წინააღმდეგაა მიმართული, ხოლო მეორე პერიოდში კაპიტალიზმის ე კ ო ნ ო მ ი უ რ ფესვებს ებრძვის ეს პ ო ლ ი ტ ი კ ა.

აქ გაუგებარი არაფერია. საზოგადოებრივ მოვლენის დიალექტიური შემეცნება გრიგალისებურ სიძლიერით ფანტავს მავნე მისტიურ ნისლს, რომელშიაც მენშევიზმი პროლეტარიატის კლასიურ პოლიტიკას ახვევს.

მაგრამ რა არის ა ხ ა ლ ი და განსხვავებული გამარჯვებულ პროლეტარიატის კლასიურ პოლიტიკაში, კლასთა ბრძოლის საკითხში? ეს არის: დიქტატურის პერიოდში პროლეტარიატი არ გამოდის კლასთა ბრძოლის გ ა მ ჩ ა ღ ე ბ ე ლ ი ს, ა მ ფ ე თ ქ ე ბ ე ლ ი ს როლში. სხვანაირად, კლასთა ბრძოლის გამწვავება — გართულების ი ნ ი ც ი ა ტ ო რ ა დ პროლეტარიატი არ გვეელინება. კლასთა ურთიერთობის გამწვავების თ ა ო ს ნ ო ბ ა ს პროლეტარიატი არ კისრულობს, არ იღებს თავის თავზე. პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში საზოგადოებრივ კლასების ხ ე ლ ო ვ ნ უ რ შეჯახების, ხ ე ლ ო ვ ნ უ რ გამწვავების მესაჭედ მოწინავე პროლეტარიატი არ ითვლება. პირიქით, დ ი ქ ტ ა ტ უ რ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ შ ი კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ი ს ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ი გ ა რ თ უ ლ ე ბ ა უ ა ღ რ ე ს ა დ რ ე ა ქ ც ი ო ნ უ რ ი ს ა ქ მ ე ა და, მაშასადამე, პროლეტარიატის მხრივ დაუზოგავათ მოსასპობი. მხოლოდ ასეა საკითხი მარქსისტულად და ლენინურად დაყენებული. ხოლო ეს საკითხი წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის მთელ ნერვიულ სისტემას. აქედან იწყება პროლეტარულ სახელმწიფოს თითოული ნაწილის მოქმედება.

ჩვენ ვამბობთ, კულაკისა და ნეპმანის „სოციალიზმში შეზრდა" აბსურდია და უნიადაგო ლაყბობა. არც ერთი ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური სოციალური ჯგუფი ნებით არ დაგვთანხმდება სოციალიზმის დამყარებაზე. დიქტატურა ძალდატანებაა. ამ ძალდატანების გამომხატველია

პროლეტარიატის კლასიური პოლიტიკა. პროლეტარიატი აწარმოებს ამ პოლიტიკას, ანვითარებს კლასიურ, ე. ი. სოციალისტურ ხაზს. კაპიტალისტური ელემენტები ებრძვიან ამ ხაზს, პროლეტარიატი კი იბრძვის ამ ხაზისათვის, იცავს ამ ხაზს. აქ ბრძოლის ინიციატორია კაპიტალისტური ელემენტი და არა გამარჯვებული პროლეტარიატი.

ამხ. სტალინი აი როგორ უპასუხებდა ტროცკისტულ ოპოზიციას, რომელიც კლასთა ბრძოლის ხელოვნურად გამწვავების აზრს იცავდა:

„ზოგიერთი ამხანაგი გამოდის სოფლის დიფერენციაციის ფაქტიდან და მიდის იმ დასკვნამდე, რომ პარტიის ძირითადი ამოცანაა სოფლად კლასთა ბრძოლის გამწვავება (разжигание). ეს სწორი არ არის. ეს — ცარიელი ლაყბობაა. ამაში კი არ არის ჩვენი მთავარი ამოცანა. ეს გადამღერებაა ძველი მენშევიკური სიმღერების ძველი მენშევიკური ენციკლოპედიიდან. მთავარია არა კლასთა ბრძოლის გამწვავება სოფლად. ამ ჟამად მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დავრაზმოთ პროლეტარიატის გარშემო საშუალო გლეხობა, კვლავ მოვიმხროთ იგი. მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შევამჭიდროოთ გლეხობის ძირითადი მასსა, ავსწიოთ მისი მატერიალური და კულტურული დონე და მასთან ერთად გავსწიოთ სოციალიზმის გზით“... [1])

მაშასადამე, პროლეტარიატის დიქტატურის „მთავარი ამოცანა“ „ძველი მენშევიკური სიმღერების ძველი მენშე-

---

[1]) И. Сталин. К итогам XIV конференции (Вопросы ленинизма, გვ. 234 — 235).

ვიკური ენციკლოპედიიდან“ (ძველი, თორემ მენშევიკურ ა ხ ა ლ ენციკლოპედიაში არც ეს სიმღერაა) „გადამღერება“ — კლასთა ბრძოლის ხელოვნური გამწვავება კი არ არის. ეს ამოცანაა გლეხობის ძირითადი ნაწილის სოციალიზმის გზაზე დაყენება, ამ მასსის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება. კლასთა ბრძოლის გართულება, კლასთა ბრძოლის თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ა რ ს ე ბ ო ბ ა პროლეტარიატის ხელოვნური ლონისძიებებით კი არ არის გამოწვეული. ამ ბრძოლის ნიადაგია არსებული საზოგადოებრივი და ნივთიერი ურთიერთობა. პროლეტარიატის მიზანია ამ ურთიერთობის ლიკვდაცია და სოციალიზმის დამკვიდრება. კლასთა ბრძოლა თვითმიზანი არ არის, პროლეტარიატის კლასიური პოლიტიკა გზაა და საშუალება ამ ბრძოლის მოსასპობად უკლასო საზოგადოების განხორციელებით. კლასთა ბრძოლის ხელოვნური გართულების ლოზუნგი პროლეტარიატის რიგებიდან არ გამოდის. ამას მხოლოდ ძველ მენშევიკურ ენციკლოპედიაში თუ წავიკითხავთ.

მოვუსმინოთ ლენინს, რას ამბობს ამ „მთავარ ამოცანის“ შესახებ:

„ახლა პროლეტარიატს უჭირავს ხელში ძალა-უფლება და ხელმძღვანელობს მას. პროლეტარიატი ხელმძღვანელობს გლეხობას. რას ნიშნავს ხელმძღვანელობა გლეხობაზე? ეს არის... ხ ა ზ ი ს ა ღ ე ბ ა კ ლ ა ს ე ბ ი ს მ ო ს პ ო ბ ა ზ ე დ ა ა რ ა წ ვ რ ი ლ მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ზ ე. ა მ ძ ი რ ი თ ა დ დ ა მ თ ა ვ ა რ ხ ა ზ ს თ უ ჩ ვ ე ნ გ ა დ ა ვ ს ც დ ი თ. მ ა შ ი ნ ჩ ვ ე ნ დ ა ვ კ ა რ გ ა ვ თ ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ო ბ ა ს და გადავეშვებით ბანაკში იმ წვრილ ბურჟუების — ესერებისა და მენშე-

ვიკების, რომლებიც ამ ჟამად პროლეტარიატის ყველაზე უფრო მოსისხლე მტრები არიან“ [1]).

აქედან ცხადია, გამარჯვებულ პროლეტარიატის „მთავარი ამოცანაა“ „ხაზის აღება კლასების მოსპობაზე“ და არა წვრილი წარმოების გამაგრება. კლასების მოსპობა შეიძლება მხოლოდ კლასიურ, სოციალისტურ პოლიტიკით. კლასთა ბრძოლის გამწვავება პრინციპიალური საკითხი არ არის. ხელოვნურად ამ ბრძოლის გართულება პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში მხოლოდ ესერებისა და მენშევიკების საქმეა, რომლებიც „პროლეტარიატის ყველაზე უფრო მოსისხლე მტრები არიან“. ამ შემთხვევაშიაც ამხ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს შეხედულება სავსებით ეთანხმება ლენინის აზრს, ლოგიკურად გამომდინარეობს ამ აზრიდან [2]).

სხვანაირად საკითხის დაყენება მკაცრათ განსაზღვრულ სოციალისტურ პოლიტიკის წარმოების პირობებში აო შეიძლება. საკითხის სხვა ნიადაგზე დაყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პროლეტარიატი და მისი ხელმძღვანელი კომუნისტური პარტია ანვითარებს არა სოციალისტურ ელემენტებს სოფლის მეურნეობაში, არამედ ამ მეურნეობის კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ევოლიუციას იცავს. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, პროლეტარიატის თვალსაზრისიც რადიკალურად იცვლება. აქ პროლეტარიატი პ რ ი ნ ც ი პ ი ა ლ უ რ ა დ კლასთა ბრძოლის

---

[1]) Ленин. Собр. соч. т. XVIII, ნაწ. I, გვ. 270. ხაზი ჩვენია.

[2]) აგრეთვე: А. Ангаров. Классовая борьба... გვ. 7—8. ავტორი სწორათ აშუქებს ამ საკითხს.

ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ი გართულების პოლიტიკას მიმართავს. ასეთია, კერძოთ, ტროცკისტული თეორია.

გლეხურ მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციის საკითხში ტროცკიზმი განსაკუთრებულ თვალსაზრისს იკავს. მისი აზრით, თანამედროვე სოფლის მეურნეობის გაბვითარება სოციალიზმის გზით უაღრესად ძნელი საქმეა. კაპიტალისტური ფერმერი, მსხვილი ბურჟუაზიული წარმოება სოფლად,კლასთა ბრძოლის ხელოვნური გამწვავება — ასეთია საკითხის ტროცკისებური გაგება. ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ქ ა ლ ა ქ ა თ, კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს ო ფ ლ ა დ — აი პროლეტარიატისა და გლეხობის „კავშირი". ამიტომ გასაკვირი არც არის, როცა ე. პ რ ე ო ბ რ ა ჟ ე ნ ს კ ი მ თავის ცნობილ Новая экономика-ში გლეხობა პროლეტარიატის „კოლონიად" გამოაცხადა.

გადაჭარბება ნუ გვეგონება. ჩვენ მხოლოდ ობიექტიურ ჭეშმარიტებას აღვნიშნავთ.

რა გზით უნდა განვითარდეს სოფლის მეურნეობა? ამ კითხვაზე ლ. ტ რ ო ც კ ი პირდაპირ გვიპასუხებს: რასაკვირველია, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი გზითო. მოვუსმინოთ: „სანამ ჩვენ არ შეგვიძლია სოფელს მივაწოდოთ განვითარებული ტეხნიკა, ჩვენ დაგვრჩენია ორი შესაძლებლობა: ან სოფლად მივმართოთ სამხედრო კომუნიზმის მეთოდებს და ამით შევაჩეროთ იქ საწარმოო ძალების განვითარება, რაც მიგვიყვანს ბაზრის შევიწროვებამდე და მასთან ერთად მრეწველობაში საწარმოო ძალების განვითარების შეფერხებამდე,—ანდა მანამ, სანამ ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი მრეწველობის საშუალებებით სოფლის მრნეობის კოლექტივიზაცია, უ ნ დ ა დ ა ვ უ შ ვ ა თ ს ო ფ ლ ა დ ს ა წ ა რ მ ო ო ძ ა ლ ე ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა

თუ გინდ კაპიტალისტური მეთოდების საშუალებითაც“ [1]).

აქ დასმულია или-или, მაგრამ არა ლენინურად: ლ. ტროცკის или-или სხვა პასუხს იძლევა. სოფლის მეურნეობის განვითარება კაპიტალისტური გზით უნდა მოხდეს თუ სოციალისტურით? და ტროცკიც გვიპასუხებს: ჩვენი მრეწველობა არ არის სათანადოთ განვითარებული, ჩვენი ძალებით სოფელს ვერ მივაწვდით მაღალ ტექნიკას. ხოლო სამხედრო კომუნიზმის მეთოდებსაც ვერ მივმართავთ, ეს საზიანო იქნება თვით ინდუსტრიისათვის. არის მეორე გზა — კაპიტალისტური მეთოდების გამოყენება, სოფლის მეურნეობის ევოლიუცია კაპიტალისტური გზით.

მაგრამ ეს გზა ხომ კულაკური მეურნეობის ზრდა-განვითარებას ჰგულისხმობს. გლეხურ მეურნეობის კულაკური სექტორი გაძლიერდება. არამც თუ კულაკური, წარმოიშვება კაპიტალისტური ფერმერი. ფერმერი-ტროცკის აზრით — უფრო სწორად გამოხატავს არსებულ სინამდვილეს. „ახლა სოფლად წარმოიშობა მესაკუთრე. ფერმერი ახალი ტიპის. რასაკვირველია, ჩვენ შეგვიძლია ძველი ჩვეულების მიხედვით მას ეუწოდოთ კულაკი. მაგრამ გაცილებით უკეთესია მას კაპიტალისტური ტიპის ფერმერი ეწოდოს“ [2]). ჩვენც არ უნდა გვეშინოდეს ახალი ტიპის ფერმერის. კულაკი მავნე არაა სოციალიზმისათვის: „ჩვენ უნდა განვავითაროთ სოფლად საწარმოო ძალები. კუ-

---

[1]) Л. Троцкий. О наших новых задачах. Гиз, 1926.

ლ. ტროცკის ეს და ქვემოთ მოყვანილი აზრები ბევრს პარადოქსათ მოეჩვენება დღეს. გასაკვირი არაფერია. ჩვენ მხოლოდ ისტორიულ ფაქტს აღვნიშნავთ — აი „საით მიდიოდა“ ტროცკიზმი...

[2]) იქვე.

ლაკი, მდიდარი გლეხი, რომელიც ყიდის პურს სახელმწიფოს საშუალებით, ამით შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოს მიიღოს საზღვარგარეთის ვალიუტა, რომლითაც ჩვენ შემოვიტანთ მანქანებს ჩვენი ქარხნებისათვის, ეს პლიუსია, ეს გვაახლოვებს სოციალიზმს" [1]) — ასკვნის ლ. ტროცკი.

როგორც ვხედავთ, ლ. ტროცკი აქ პირდაპირ აყენებს სოფლის მეურნეობის კაპიტალიზმის გზით განვითარების საკითხს. ამავე დროს ავტორი აშკარად იცავს „კულაკის, მდიდარი გლეხის" სოციალიზმში შეზრდა-შესისხლხორცების აზრს, წმინდა წყლის ოპორტუნისტულ თეორიას.

ამ საკითხს ხშირათ უბრუნდება ლ. ტროცკი. სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური გზით განვითარების აზრი შემთხვევითი არ არის მისთვის. ის აყენებს „ნეპის" გაფართოების საკითხს სოფლის მეურნეობაში, მიაჩნია ეს გაფართოება-გაღრმავება ეკონომიურ მიზანშეწონილებათ. „შეიძლებოდა თუ არა არ გაგვეფართოვებინა „ნეპი" სოფლად?" — აყენებს კითხვას ლ. ტროცკი და იქვე უპასუხებს — არა. არ შეიძლებოდა. რატომ აუცილებლად უნდა გავარღმავოთ „ნეპი" სოფლის მეურნეობაში? იმიტომ, რომ „ნეპის" გაფართოების გარეშე „დაეცემა გლეხური მეურნეობა, შევიწროვდება ბაზარი, შეფერხდება მრეწველობის განვითარება... თერგის პურეულის დასათეს ფართობის ზრდის გარეშე არ იქნება ექსპორტი, ხოლო ექსპორტის გარეშე შეუძლებელია იმპორტი, უიმპორტოთ კი ვერ ვიშოვით მრეწველობისათვის

---

[1]) იქვე. ხაზი ჩვენია.

საჭირო მოწყობილობას" [1]). აი რატომ არის საჭირო და აუცილებელი სოფლად „ნეპის" გაღრმავება-გაფართოება.

აქ ავტორის წინაშე მეტად საყურადღებო კითხვა წამოიჭრა: „არის თუ არა საშიშროება „ნეპის" გაფართოების დროს?" რასაკვირველია, ეს საშიშროება არის საერთოდ, მაგრამ მრეწველობის, ფინანსების და ვაჭრობის განვითარების არსებულ ტემპის პირობებში, საბჭოთა ხელისუფლების საგადასახადო, საკრედიტო პოლიტიკის წყალობით „ნეპის" გ ა ღ რ მ ა ვ ე ბ ა, არ წარმოადგენს საშიშროებას: „სოფლის სამეურნეო პროცესში რაიმე უშუალო საშიშროება არ არის" [2]) — აცხადებს ტროცკი.

როგორც ვხედავთ, ლ. ტ რ ო ც კ ი აშკარათ აყენებს სოფლად „ნეპის" გ ა ღ რ მ ა ვ ე ბ ა-გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს აუცილებლობის საკითხს. მას ეკონომიურ აუცილებლობათ მიაჩნია სოფლის მეურნეობის ევოლიუცია აგრარული კაპიტალიზმის გზით, კერძოთ — „ნეპის" გ ა ფ ა რ თ ო ე ბ ი ს გზით. აქ ერთი გზა არ ეწინააღმდეგება მეორეს. პირიქით, მეორე პირველის დამატებათ გვევლინება. ლ. ტროცკის თვალსაზრისით გაგებული „გაფრთოებული" „ნეპი" იგივე აგრარული კაპიტალიზმია. მხოლოდ ასეთია „გაფართოებული" „ნეპის" ეკონომიური შინაარსი.

საკითხი ისმება: როგორ შეიძლება განვითარდეს სოფლის მეურნეობა კაპიტალისტური გზით, გ ა ფ ა რ თ ო ვ დ ე ს სოფლად „ნეპი" — კლასთა ბრძოლის გაჩაღების, საზოგადოებრივ კლასების მწვავე დაპირისპირების, მაშასადამე, ახალი რევოლიუციის გარეშე? აქ იბადება აშკარა წინააღმდეგობა: თუ მეურნეობის კაპიტალისტურ მეთო-

---

[1]) Л. Троцкий. Восемь лет. Итоги и перспективы. გვ. 17.
[2]) იქვე, გვ. 18.

დებს მივმართავთ, კლასთა ბრძოლის გამახვილების აზრს თავისთავად ვიზიარებთ. ამ შემთხვევაში ბურჟუაზიული ჰანგები ძველ მენშევიკურ ენციკლოპედიაში უნდა ვეძიოთ. თუ არ გვსურს ამ ჰანგების მოსმენა და ამ ენციკლოპედიის ქექვა, უარვყოფთ კლასთა ბრძოლის გართულების საჭიროებას პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში, — ცხადია, სოფლის მეურნეობის ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ რ ე კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ი ს გზას უნდა დავადგეთ. უდაო მარქსისტული დებულებაა: კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა ა რ ი ს კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა. „ნეპის“ „გაფართოება“ კლასთა ბრძოლის გაღრმავებაა. აქ ერთი მოვლენა ორგანიულადაა მეორესთან დაკავშირებული. ამიტომ შეუძლებელია „ნეპის“ გაფართოების, საერთოდ—კაპიტალიზმის საჭიროების აზრის შეთანხმება კლასთა ბრძოლის შენელების აზრთან. დაუძლეველია ეს წინააღმდეგობა.

სამართლიანად აღნიშნავს ლ ე ნ ი ნ ი, როცა სწერს: „კაპიტალიზმის განვითარების თითოული ნაბიჯი ნიშნავს იმას, რომ კლასთა განსხვავება სულ უფრო და უფრო ძლიერდება“, ე. ი. ძლიერდება საზოგადოებრივ კლასების დაპირისპირება, მათი ბ რ ძ ო ლ ა. კაპიტალიზმის განვითარება აუცილებლად იწვევს საზოგადოების კლასიურ დიფერენციაციის გაღრმავებას, მაშასადამე, კლასთა ბრძოლის განვითარებასაც უაღრესად მკაცრ ფორმაში. სოფლის მეურნეობის განვითარება კაპიტალისტური საშუალებებით უსათუოდ იწვევს სოფლის მოსახლეობის დაყოფას მოწინააღმდეგე ფენებად — „გლეხურ პროლეტარიატად“ და აგრარულ ბურჟუაზიად. ამის შედეგია კლასთა ბრძოლის კაშლა-განვითარებაც. კლასთა ბრძოლის თანდათანობითი მოსპობის ნაცვლად კლასთა ბრძოლის თანდათანობითი

გამახვილება — აი წინააღმდეგობის სათავე კლასთა ჰარმონიის მონასტერსა შინა კულაკისა და სოციალიზმის შეუღლების საკითხში...

რასაკვირველია, საბჭოთა სოფლის მეურნეობის კაპიტალიზმის მეთოდებით განვითარება უარყოფილია ჩვენს პირობებში. სახალხო მეურნეობის განვითარების კაპიტალისტური გზა მენშევიზმის მიერაა „თელილი" და ამ გზაზე მხოლოდ მენშევიზმის ურემი გაივლის. ლენინურ ბოლშევიზმს არაფერი აქვს ამ გზასთან საერთო. გარდამავალი პერიოდის საბჭოთა ეკონომიკა — ესაა სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი გ ზ ი თ და საშუალებით.

როგორ სდგას კლასთა ბრძოლის საკითხი ამ გზაზე?

1921 წ. ლ ე ნ ი ნ ი სწერდა ბროშურაში „სასურსათო გადასახადის შესახებ": „სტატისტიკური მასალები ნათლად გვიჩვენებს, რომ სოფელი ნიკელიროვკას განიცდის, ე ი. კულაკისა და უღარიბეს გლეხობათ სოფლის დანაწილება შემცირდა" [1]). ასე მსჯელობდა ლ ე ნ ი ნ ი ახალი ეკონომიური კურსის შემოღების განთიადზე. ცხადია „ნეპის" გამოცდილებამ, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პრაქტიკამ შესამჩნევად გაართულა „ნიველიროვკის" საქმე. კულაკური მეურნეობა შედარებით გაძლიერდა, მაშასადამე, შედარებით გაძლიერდა სოფლის დიფერენციაციის პროცესიც. მაგრამ მთავარი მომენტი, მთავარი ძარღვი, რაც ოქტომბრის რევოლიუციის ეკონომიურ პოლიტიკას ახასიათებს, ძალაში დარჩა. ეს არის სოფლის მეურნეობის განვითარება ახალი მიმართულებით — კოოპერაციის, კოლექტივიზაციის და საბჭოთა მეურნეობათა გაძლიერების

---

[1]) Ленин, ტ. XVIII, ნაწ. I, გვ. 139.

ძიმართულებით. პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში დიფერენციაცია ხდება, მაგრამ ამ დიფერენციაციის განვითარება როდია ისეთი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ მეურნეობის ქვეყნებში. ლენინის სიტყვები ძალაში რჩება: „აულაკისა და უღარიბეს გლეხობად სოფლის დანაწილება შემცირდა“ და არა გაძლიერდა ოქტომბრის შემდეგ.

„ნეპის“ პერიოდში კლასიურ დიფერენციაციის მაჯისცემა ძლიერდება შედარებით. ხდება საზოგადოებრივ ძალთა გადაჯგუფება. „დიფერენციაცია — ამბობს ამხ. სტალინი — რასაკვირველია, მიდის. „ნეპის“ დროს, მიმდინარე სტადიაში სხვანაირად არც კი შეიძლება იყვეს. მაგრამ ეს დიფერენციაცია მიდის ნელი ნაბიჯით“ [1]). ასე ლაპარაკობდა ამხ. სტალინი XIV ყრილობაზე. რა თქმა უნდა, მას შემდეგ დიდძალმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ქვიშა მაინც დარჩა. ეს „ქვიშაა“ უდაო ჭეშმარიტება: დიქტატურის პერიოდში დიფერენციაცია გაცილებით „ნელი ნაბიჯით“ მიდის და რამდენად სოციალიზმი ვითარდება, დიფერენციაციის პროცესიც თანდათან ეცემა, სუსტდება.

რატომ არ შეიძლება ჩვენში დიფერენციაციის ჩვეულებრივი სილრმე-სიგანით გაშლა-განვითარება? რა უშლის ხელს ამ დიფერენციაციას? „კაპიტალიზმის უბრალოთ აღდგენა — განმარტავს ამხ. სტალინი — შეუძლებელია თუ გინდ იმიტომაც, რომ ხელისუფლება ჩვენში პროლეტარულია, მსხვილი მრეწველობა პროლეტარიატის ხელშია, ტრანსპორტი და კრედიტი პროლეტარულ სახელმწიფოს

---

[1]) Вопросы ленинизма, გვ. 382.

განკარგულებაშია. დიფერენციაციას არ შეუძლია მიაღწიოს ძველ დონეს, საშუალო გლეხი რჩება გლეხობის ძირითად მასსათ, ხოლო კულაკს არ შეუძლია გამოიჩინოს ძველი ძალა თუ გინდ იმიტომაც, რომ მიწის ნაციონალიზაციაა ჩვენში, მიწა გამორიცხულია ბრუნვიდან, ხოლო ჩვენი სავაჭრო, საკრედიტო, საგადასახადო და კოოპერატიული პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რათა შეზღუდულ იქნას კულაკური მისწრაფებანი, აწეულ იქნეს გლეხობის ფართო მასსების კეთილდღეობა და შენელებულ იქნეს უკიდურესობანი სოფლად" [1]).

ასეთია სოციალისტურ პროლეტარიატის სწორი პოლიტიკა. ძველ, კაპიტალისტურ დონეს დიფერენციაციას არ შეუძლია მიაღწიოს, სანამ პროლეტარული სახელმწიფო მტკიცეა. მაგრამ „დიფერენციაცია, რასაკვირველია, მიდის" მიმდინარე პერიოდში. ეს დიფერენციაცია ამ ჟამად უფრო აშკარა, უფრო რელიეფურ სახეს ღებულობს. ამ დიფერენციაციის ერთ პოლიუსზეა კულაკი, მეორეზე — ღარიბი გლეხი. საშუალო გლეხობა, ცხადია, რჩება გლეხობის ძირითად მასსად. პროლეტარიატის პოლიტიკაც მიმართულია სწორედ ამ „კულაკურ მისწრაფებათა" „შეზღუდვისაკენ". რამდენად თვალსაჩინოა დიფერენციაცია, იმდენად უფრო მახვილდება თვით შეზღუდვის პოლიტიკა. საზოგადოებრივ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ეს „შეზღუდვა" გარკვეულ ბრძოლის ხასიათს ღებულობს, რადგან „შეზღუდვა" ნებაყოფლობით, კულაკის თანხმობით არ ხდება. აქ მოქმედობს დიქტატურის ძალდატანების კანონი. ამიტომ „შეზღუდვა" ძალდატანებას ჰგულისხმობს, ხოლო ძალდატანება — ბრძოლას. ა რ ც ე რ თ ი

---

[1]) იქვე, გვ. 63 — 64.

წ უ თ ი თ ა რ უ ნ დ ა შ ე ვ ა ნ ე ლ ო თ ბ რ ძ ო ლ ა კ უ ლ ა კ თ ა ნ — ამბობს ლენინი. ეს ბრძოლა კლასიურ ხაზით სწარმოებს. კლასთა ბრძოლაც აუცილებელი ხდება საზოგადოებრივ განვითარების მიმდინარე საფეხურზე. თუ არ შევზღუდავთ კულაკის ექსპლოატატორულ მისწრაფებებს, ბრძოლის ეფექტიც სუსტი გამოვა. მაგრამ დ რ ო ე ბ ი თ — ეს ბრძოლა ხვალ და ზეგ, კულაკურ ელემენტების გამაგრების შემდეგ, უფრო მწვავე იქნება, უფრო გრანდიოზული და, შეიძლება პროლეტარიატის დიქტატურისათვის საბედისწეროც გამოდგეს. აი რატომ არ შეუძლია პროლეტარიატს ხელი აიღოს მკაცრათ განსაზღვრულ კლასიურ პოლიტიკაზე მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტებთან ბრძოლაში.

კულაკს შეუძლია დღეს მოგვცეს პური, მოგვცეს სესხიც. შეგვიძლია მოვხსნათ შემზღუდველი ჭახრაკიც. ამით „შევიძენთ ვალიუტას"... მაგრამ კულაკი ამოისუნთქავს, ძალ-ღონეს მოიკრეფს, მოწინააღმდეგეს ასწონ-დასწონავს და... დღევანდელ პურის მარცვლებს ხვალ თოფ-ზარბაზნების ტყვია-ყუმბარებათ გადააქცევს. პროლეტარულ — კლასიურ პოლიტიკის დაჟანგვა ასეთ შედეგს გვიქადის მხოლოდ...

კლასთა ბრძოლის თვალსაზრისით თანამედროვე საფეხურზე ჩვენ გვაქვს, ამბ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს აზრით, ბრძოლის ს ა მ ი ფ რ ო ნ ტ ი. პირველი ფრონტია კლასიური ბრძოლა „პროლეტარიატსა (როგორც სახელმწიფოსი) და გლეხობას შორის ფაბრიკატებსა და სოფლის ნაწარმოებზე ფასების დაწესების ხაზით, საგადასახადო საქმის ნორმალიზაციის ხაზით და სხ." ბრძოლის მ ე ო რ ე ფ რ ო ნ ტ ი — წინააღმდეგობა „მთლიანად პროლეტაირატსა (სახელმწიფოს სახით) და კულაკობას შორის სასოფლო-სამეურნეო

პროდუქტებზე სპეკულიაციური ფასების ლიკვიდაციის ხაზით, გადასახადების მთავარ სიმძიმის კულაკებზე გადატანის ხაზით და სხ.". მ ე ს ა მ ე ფ რ ო ნ ტ ი — ბრძოლა „სოფლის ღარიბ გლეხობისა, პირველ რიგში მოჯამაგირეებსა და კულაკებს შორის" [1]).

აქ ჩვენთვის მეტად საინტერესო საკითხი ირკვევა: როგორია პროლეტარიატის პოლიტიკა კლასთა ბრძოლის ამ სამ ძირითად ფრონტზე? სად კისრულობს პროლეტარიატი ბრძოლის გამწვავებისა და გაჩაღების ი ნ ი ც ი ა ტ ი ვ ა ს?

ბრძოლის პირველ ფრონტის შინაარს შეადგენს: „საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, სას.-სამ. პროდუქტების დამზადების სახელმწიფოებრივი ფორმები, გეგმიანობის შემოღება სახალხო მეურნეობაში მთლიანად". შეუძლია თუ არა პროლეტარიატმა ხელი აიღოს ამ ფრონტზე? ცხადია, ეს შეუძლებელია, წარმოუდგენელი. ეს იქნება თვით იმ ტოტის მოჭრა, რომელზედაც მაგრათ ზის პროლეტარიატი. მეორე მხრით, ეს საზიანო იქნება თვით გლეხობის უდიდეს ნაწილისათვის— კაპიტალიზმის ცელი დატრალდება სოფლად, სოფლის დიდი ნაწილი გაღატაკდება, ეკონომიურად დაეცემა. საჭიროა პროლეტარულმა სახელმწიფომ ფასებისა და, საერთოდ, ბაზრის საკითხი მოაწესრიგოს და ბრძოლის ეს ფრონტი მოიხსნება. ჩვენც ვხედავთ, საბჭოთა ხელისუფლება მტკიცეთ და ურყევათ ატარებს ფაბრიკატებზე ფასების დაწევის პოლიტიკას, ამავე დროს მომატებულია ფასები პურზე და სხ. ა მ ფ რ ო ნ ტ ზ ე პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ე ბ რ ძ ვ ი ს ბ რ ძ ო ლ ი ს გ ა ჩ ა ღ ე ბ ა ს, ე ს ბ რ ძ ო ლ ა მ ი უ ღ ე ბ ე ლ ი ა მ ი ს თ ვ ი ს. აქ ბრძოლისა და ურთიერთობის გამწვავების თაოსნობა-ხელ-

---

[1]) იქვე, გვ. 293.

ბძლვანელობა კაპიტალისტურ-რეაქციონურ ელემენტს ეკუთვნის.

რა მდგომარეობაა კლასთა ბრძოლის მეორე ფრონტზე? როგორც ვიცით, ამ ფრონტზე დაპირისპირებულია პროლეტარიატი — სახელმწიფოს სახით — და კულაკური გლეხობა. კულაკი ებრძვის საგადასახადო სისტემას, არ აძლევს პურს სახელმწიფოს, ღარიბ გლეხობისაგან ყიდულობს პურს და მოხერხებულ დროზე ყიდის სპეკულიაციურ ფასებზე, ებრძვის საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას, კოოპერაციაში დიფერენციალურ პაის შემოღებას, თავგამოდებით ებრძვის სოფლის მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი ზ ა ც ი ა ს, საკრედიტო სისტემას და მრავალი სხვა.

აქ არის კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ი ს მ თ ა ვ ა რ ი ს ი მ ძ ი მ ე, მ თ ა ვ ა რ ი ა ს პ ა რ ე ზ ი. როცა კლასთა ბრძოლის გამწვავებაზე ვლაპარაკობთ, ეს გამწვავება სწორედ აქ ხდება, ბრძოლის ამ მთავარ მოედანზე. აქ რევოლიუციონური პროლეტარიატი და გლეხური ბურჟუაზია უშუალოდ, პირისპირ ხვდება ერთმანეთს. როგორია ამ შემთხვევაში გამარჯვებული პროლეტარიატის პოლიტიკა, აყენებს თუ არა პროლეტარიატი ამ ფრონტზე კლასთა ბრძოლის გამწვავების ლ ო ზ უ ნ გ ს, კისრულობს თუ არა ბრძოლის გაფართოება-გაღრმავების ი ნ ი ც ი ა ტ ი ვ ა ს?

არა, გამარჯვებული პროლეტარიატი არ გამოდის ამ ფრონტზე კლასთა ბრძოლის გამახვილების მეთაოსნეთ, დამწყებათ, ინიციატორათ. „შეიძლება მოგვეჩვენოს — ამბობს ამხ. სტალინი, — რომ კლასთა ბრძოლის გამახვილების (разжигание) ლოზუნგი სრულებით გამოსადეგია ამ ფრონტზე ბრძოლის პირობებისათვის. მაგრამ ეს არ არის სწორი, სრულებით არ არის სწორი, რადგან ჩვენ აგრეთვე არც აქ ვართ კლასთა ბრძოლის გამახვილებით

დაინტერესებული“ [1]). გამარჯვებული პროლეტარიატი და მისი პარტია თვითონ გვერდს უხვევს აქ ბრძოლის გამწვავებას, თვითონ არ არის „კლასთა ბრძოლის გამახვილებით დაინტერესებული“. - პროლეტარიატი ღებულობს ბრძოლის გამწვავების ასაცილებელ ზომებს: საშუალო გლეხობას რაზმავს თავის დროშის ქვეშ, აწყობს ღარიბ გლეხობის ორგანიზაციას, უმსუბუქებს საშუალო გლეხობას სამეურნეო გადასახადს. სახელმწიფო იმარაგებს პურს, რათა პურის მარაგით შეებრძოლოს კულაკურ სპეკულიაციას და სხვადასხვა.

მაგრამ სწორედ ამ ზომების ნიადაგზე კუმშავს კულაკი „კულაკს“, ლესავს ხმალს საბრძოლველად. არც ერთი მომენტი, რომელიც ამ „ზომებს“ ახასიათებს, კულაკისთვის მისაღები არ არის. კულაკი ებრძვის ღარიბ გლეხობას და იბრძვის საშუალო გლეხობისათვის. საშუალო გლეხის საგადასახადო ტვრითის მნიშვნელოვანი შემსუბუქება, საკრედიტო სისტემა და სხ. კულაკს ნიადაგს უკარგავს საშუალო გლეხობის თავის მხარეზე გადმოყვანაში. კულაკი წინაალმდეგია პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის. ერთი სიტყვით, ყოველმხრივ „შეზღუდულია“ კულაკი, შეიწროებული.

ცხადია, აქ კლასთა ბრძოლის გართულება შეუძლებელი როდია. აქ იფეთქებს ეს ბრძოლა. ავიღოთ დღევანდელი მდგომარეობა. ის ხასიათდება სწორედ კლასთა ბრძოლის გართულებით ამ მეორე ფრონტზე. ეს გართულება არც იყო მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი. მართალია, პროლეტარიატი ხმალს ქარქაშიდან არ იღებს, მაგრამ აქ ბრძოლის ვითარების სადავეები მის ხელთ არ არის.

---

[1]) იქვე, გვ. 297.

ბრძოლის ხმალს თვით კულაკი ატარიალებს, ბრძოლის ინიციატივას თვით კულაკი იჩენს. ამ შემთხვევაში პირდაპირ გენიალურად ითვალისწინებდა ამხ. სტალინი, როცა საკმაო ხნის წინეთ ამბობდა გადაჭრით:

> **რასაკვირველია, საქმე აქ ჩვენზე არაა დამოკიდებული. სრულებით მოსალოდნელია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში კულაკები თვითონ დაიწყებენ კლასიურ ბრძოლის გამწვავებას, შეეცდებიან ამ ბრძოლის განვითარებას დულილის წერტილამდე... მაგრამ მაშინ ბრძოლის გამწვავების ლოზუნგი იქნება უკვე არა ჩვენი ლოზუნგი, არამედ ლოზუნგი კულაკების, მაშასადამე — კონტრ-რევოლიუციის. ამას გარდა, უეჭველია, კულაკებს მოუხდებათ თავიანთ ზურგზე ატარონ ამ ლოზუნგის — საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ლოზუნგის — არახელსაყრელი შედეგები [1]).**

აი როგორ არის აქ საკითხი დასმული. კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ი ს გ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს ლ ო ზ უ ნ გ ს გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ უ ლ ი პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ა რ ა ყ ე ნ ე ბ ს. მაგრამ ეს ლოზუნგი ხშირათ კაპიტალისტურ ელემენტების დროშათ ხდება. მაშასადამე, გართულებული ბრძოლის „არახელსაყრელი შედეგიც“ ამ ელემენტების სქელ კისერს აწვება. გამარჯვებული პროლეტარიატი არ იცავს კლასთა ბრძოლის პოლიტიკას პრინციპიალურათ. ეს პოლიტიკა შეფარდებულია მხოლოდ სოციალურ განვითარების არსებულ პირობებთან.

მაშასადამე, არც აქ, კლასთა ბრძოლის ამ ასპარეზზე, გამარჯვებული პროლეტარიატი არ გამოდის კლასთა ბრძოლის გამწვავების მებაირაღტრეთ. აქ ინიციატივა კაპიტალისტურ ჯგუფებს ეკუთვნით და მთელი პასუხისმგებლობაც მათ ეკისრებათ.

---

[1]) იქვე, გვ. 298. ხაზი ჩვენია.

ახლა ვიკითხოთ, როგორია გამარჯვებული პროლეტარიატის კლასიური პოლიტიკის ხაზი მესამე ფრონტზე — ღარიბ — მოჯამაგირე გლეხობისა და კულაკებს შორის არსებულ კლასიურ ბრძოლის საკითხში? ამ შემთხვევაში „სახელმწიფო ფორმალურად განზე სდგას". კლასთა ბრძოლა აქ აშკარაა, გაცილებით უფრო კონკრეტიული, ყველასათვის დასანახი. კულაკი ითვისებს მოჯამაგირის და ღარიბი გლეხის შრომას, ახდენს მათ ექსპლოატაციას. კულაკი ფიზიკურადაც უსწორდება თავის მოწინააღმდეგეს. გავიხსენოთ თუ გინდ უკრაინის მაგალითი. უკრაინაში ბრძოლის ამ ფიზიკურმა ფორმამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო და დაისვა საკითხი კულაკების მიერ მოკლულ ღარიბთა ოჯახების სოციალურ უზრუნველყოფის შესახებ. კულაკი კიდევ სხვა უჩინარ ხერხებით ებრძვის „გლეხურ პროლეტარიატსა" და „ნახევრად-პროლეტარიატს".

მეორე მხრივ, „ვალში არ რჩება" არც ღარიბი და ულარიბესი გლეხობა. არც მისი იარაღია დაჩლუნგებული. „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ". ბრძოლის ცეცხლი ჩაღდება კიდეც.

როგორია აქ პარტიისა და პროლეტარიატის პოზიცია?

„ჩვენ აქ არ შეგვიძლია — ამბობს ამხ. ს ტ ა ლ ი ნ ი — მივმართოთ შერბილებულ, ზომიერ ბრძოლის პოლიტიკას. ა ქ ჩ ვ ე ნ ი ა მ ო ც ა ნ ა მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ს ი მ ა შ ი, რ ო მ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ა დ მ ო ვ ა წ ყ ო თ ღ ა რ ი ბ თ ა ბ რ ძ ო ლ ა დ ა ვ უ ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო თ ა მ ბ რ ძ ო ლ ა ს კ უ ლ ა კ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ" [1]). საკითხი აშკარაა, განმარტება უადგილოა.

და ქვევით:

---

[1]) იქვე. ხაზი ავტორისაა.

„მაგრამ ნიშნავს ეს იმას, რომ ამით ჩ ვ ე ნ ვ კ ი ს-
რ უ ლ ო ბ თ კლასიურ ბრძოლის გამახვილებას? ა რ ა,
არ ნიშნავს. ბრძოლის გამწვავება ნიშნავს არა მარტო
ბრძოლის ორგანიზაციას და ხელმძღვანელობას, ეს ნიშ-
ნავს ამასთან ერთად კლასიურ ბრძოლის ხ ე ლ ო ვ ნ უ-
რ ა დ გ ა ღ რ მ ა ვ ე ბ ა ს და წ ი ნ ა ს წ ა რ ი გ ა ნ-
ზ რ ა ხ ვ ი თ გ ა ფ ა რ თ ო ე ბ ა ს. არის ახლა ამ ხ ე-
ლ ო ვ ნ უ რ ზ ო მ ე ბ ი ს ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა, რო-
ცა ჩვენ გვაქვს პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ-
რ ა და როცა პ ა რ ტ ი უ ლ-პ რ ო ფ ე ს ი ო ნ ა ლ უ-
რ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი მოქმედობს სრულებით თა-
ვისუფლად? რა თქმა უნდა, ა რ ა. ამიტომ კლასთა
ბრძოლის გამახვილების ლოზუნგი არ არის გამოსადეგი
არც ამ, მესამე ფრონტზე“ [1]).

ასეთია, საერთოდ, კლასთა ბრძოლის სამი უმთავრესი
ფრონტი ჩვენს პირობებში, პროლეტარიატის დიქტატურის
მიმდინარე პერიოდში. ასეთია გამარჯვებული პროლეტა-
რიატის კლასიური პოლიტიკის პ რ ი ნ ც ი პ ი ა ლ უ რ ი
საფუძველიც. დიქტატურის პერიოდში კლასთა ბრძოლა
სწარმოებს, ხშირად ვითარდება. რთულდება კიდეც ეს
ბრძოლა. მაგრამ კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ი ს გ ა მ ა ხ ვ ი ლ ე-
ბ ა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი დ ა ნ ა რ გ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე-
ო ბ ს, კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ი ს გ ა მ ა ხ ვ ი ლ ე ბ ი ს
ლ ო ზ უ ნ გ ს გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ უ ლ ი პ რ ო ლ ე ტ ა-
რ ი ა ტ ი ა რ ა ყ ე ნ ე ბ ს [2]). აქ ინიციატივა კაპიტა-

---

[1]) იქვე, გვ. 298 — 299.

[2]) ამხ. ა ნ გ ა რ ო ვ ი სამართლიანად ამბობს: „ჩვენ გვინდა ახ-
ლა კლასთა ბრძოლის არა გამახვილება (не разжигание и взвин-
чивание), არამედ მ ი ს ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა და მ ა ს ზ ე
ს წ ო რ ი ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ა. საბჭოების გამოცოცხლე-

ლისტურ და, საერთოდ, რეაქციონურ ძალებს ეკუთვნის. პროლეტარიატი მხოლოდ უპასუხებს, პასუხს აძლევს ამ ინიციატივას საკუთარი კლასიური პოლიტიკის უფრო განმტკიცებით, გაფოლადებით, გამახვილებით.

კაპიტალისტურ სახელმწიფოებში კლასთა ბრძოლის გაჩაღების ინიციატივა რევოლიუციონურ პროლეტარიატს ეკუთვნის. გამარჯვებული ბურჟუაზია სცდილობს ამ ბრძოლის ჩაქრობას, რადგან ეს ბრძოლა ეწინააღმდეგება მის კლასიურ ინტერესებს. პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში კლასთა ბრძოლის „გამახვილების ლოზუნგი" რეაქციონურ წრეებს ეკუთვნის. გამარჯვებული პროლეტარიატი სცდილობს ამ ლოზუნგის აცილებას. როგორც კაპიტალისტური ბურჟუაზია თავის სახელმწიფოში ხშირად ვერ ახერხებს პროლეტარიატის რევოლიუციონურ ინიციატივის მოსპობას კლასთა ბრძოლის საკითხში, ანალოგიურად ასეთივე მდგომარეობა იქმნება ხშირად პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში: გამარჯვებული პროლეტარიატი ვერ ახერხებს — განსაზღვრულ პირობებში — კაპიტალისტურ ნაშთების და ჯგუფების რეაქციონურ ინიციატივის თავიდან აღკვეთას კლასთა ბრძოლის საქმეში და ეს ბრძოლა შედარებით რთულდება კიდეც.

ბის, განსაკუთრებით — კულაკის წინააღმდეგ გალაშქრების პოლიტიკა ზოგ ამხანაგს მიაჩნია ამ ბრძოლის გამწვავების საშუალებად. ასეთი შეხედულება სწორი არ არის. ორივე ეს ღონისძიება მიეკუთვნება კლასთა ბრძოლის ორგანიზაციას და ამ უკანასკნელზე ხელმძღვანელობას". ან კიდევ: „კულაკის წინააღმდეგ გალაშქრება არ არის კლასთა ბრძოლის გამწვავების პოლიტიკა. ეს არის სოფლის მეურნეობაში სოციალისტურ ელემენტების დარაზმული გაშლა-განვითარების პოლიტიკა". იხ. А. Ангаров. Классовая борьба... გვ. 7—8. ხაზი ავტორისაა.

მაგრამ დიქტატურის პრაქტიკული პოლიტიკა არა კლასთა ბრძოლის გართულების თავიდან აცილებაა. ძირითადი და უმთავრესი მიზანია კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ი ს ს რ უ ლ ი ლ ი კ ვ ი დ ა ც ი ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ კ ლ ა ს ე ბ ი ს მ ო ს პ ო ბ ი თ.

როგორია ჩვენს პირობებში კლასიურ საზოგადოების ფესვების აღმოფხვრის პერსპექტივები, ამის შესაძლებლობანი და სიძნელენი? აი საკითხი, რომელიც უნდა განვიხილოთ.

VII

სოციალიზმის საფუძვლები და პერსპექტივები

ამ რიგად, პროლეტარიატის კლასიური პოლიტიკა ერთ უმთავრეს, ძირითად და გარკვეულ აზრს ემსახურება. ეს არის კ ო მ უ ნ ი ზ მ ი ს დამყარება, ე. ი. ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობის განხორციელება, სადაც ადგილი არ ექნება საზოგადოებრივ კლასებს—არ იქნება არც პროლეტარი, არც ნეპმანი, არც კულაკი და ღარიბი გლეხი. იქნება მხოლოდ ერთი მთლიანი, კლასებათ დაუნაწილებელი, მშრომელი საზოგადოება. ადამიანთა ურთიერთობა ნივთიერ და კულტურულ თანასწორობას დაემყარება. ასეთია პროლეტარიატის დიქტატურის იდეა, მისი ერთად ერთი უმთავრესი, საბოლოო მიზანი. პროლეტარიატი ამ მიზნისაკენ — კლასების მოსპობისაკენ — მიდის კლასიური პოლიტიკით და არა ამ პოლიტიკაზე ხელის აღებით.

რას ნიშნავს საზოგადოებრივ კლასების მოსპობა, როგორია მათი ლიკვიდაციის გზები? ამ კითხვაზე ლ ე ნ ი ნ ი აი როგორ გვიპასუხებს:

„ცხადია, რომ კლასების სრულ მოსასპობათ საჭიროა... წარმოების საშუალებებზე ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ კერძო საკუთრების გაუქმება, უნდა მოისპოს განსხვავება როგორც ქალაქსა და სოფელს შორის, აგრეთვე ფიზიკურ და გონებრივ შრომის ადამიანებს შორისაც. ეს ხანგრძლივი საქმეა. მის დასაძლევად საჭიროა დიდი ნაბიჯის გადადგმა საწარ-

მოო ძალების განვითარებისაკენ. უნდა დავსძლიოთ წინააღმდეგობა... წვრილი წარმოების მრავალრიცხოვან ნაშთების“ [1]).

მაშასადამე, კლასიურ საზოგადოების მოსასპობად აუცილებელია მთავარი ღონისძიება — საწარმოო იარაღებზე, წარმოების საშუალებებზე ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ კერძო საკუთრების მოსპობა და ამ საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებად გამოცხადება. სანამ ეს არ მომხდარა. უსათუოდ იარსებებს საზოგადოებრივი დიფერენციაცია. „კლასები — განაგრძობს ლენინი — ეს ადამიანთა ისეთი ჯგუფებია, რომელთაგან ერთს შეუძლია მიითვისოს მეორის შრომა საზოგადოებრივ მეურნეობის განსაზღვრულ წყობაში ამ ჯგუფთა როლის სხვადასხვაობის წყალობით“. წარმოების საშუალებების კერძო საკუთრება — აი რა შეადგენს კლასიურ საზოგადოების „მეურნეობის განსაზღვრულ წყობას“. ამ საკუთრების პრინციპი საშუალებას აძლევს მესაკუთრეს მიითვისოს სხვისი შრომა, გასწიოს ექსპლოატაცია იმ ადამიანის, რომელსაც არ გააჩნია საკუთრება საწარმოო საშუალებებზე.

მეორე მხრივ, უ ნ დ ა მ ო ი ს პ ო ს გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა ქ ა ლ ა ქ ს ა დ ა ს ო ფ ე ლ ს შ ო რ ი ს. ეს განსხვავება აშკარაა დიქტატურის პერიოდშიც. ფაბრიკა-ქარხნები პროლეტარული სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს. აქ არ არის საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრება. გამარჯვებულმა პროლეტარიატმა დაამხო ბურჟუაზიული ხელისუფლება და ინდუსტრიალურ წარმოების სრული ნაციონალიზაცია გამოაცხადა. ქალაქის წარმოება სოციალისტურია, ე. ი. ისეთი, სადაც ადგილი არ აქვს სა-

---

[1]) Ленин. Собр. соч., ტ. XVI, გვ. 249.

წარმოო იარაღებზე კერძო საკუთრებას, არ არის განაწილების ინდივიდუალური, კაპიტალისტური პრინციპი, გაუქმებულია კერძო მითვისება და მრავალი სხვა.

რასაკვირველია, სხვა მდგომარეობაა სოფლად. აქ „წვრილი წარმოების მრავალრიცხოვანი ნაშთები" ჯერ კიდევ საკმაოთ ცოცხალია და ძლიერიც. მრავალმილიონიან წვრილ წარმოებასთან ბრძოლა გაცილებით ძნელი საქმეა. მართალია, სოციალისტურმა პროლეტარიატმა მიწის ნაციონალიზაცია საფუძვლიანად განახორციელა. ამ მხრივ კერძო საკუთრება გაუქმებულია. მაგრამ წარმოების ინდივიდუალური, კერძო ხასიათი ძალაში დარჩა. მაშასადამე. უცვლელია პროდუქციის არა თანაბარი, დიფერენციალური განაწილება, ზედმეტი ღირებულების მითვისება და სხვა. მრეწველობაში შედარებით ადვილია საზოგადოებრივ საკუთრებაზე გადასვლა, სოფლის მეურნეობაში — გაცილებით უფრო რთული და ძნელი.

ეჭვი არაა, „მსხვილი, ცენტრალიზაციაქმნილი ბურჟუაზიის დამარცხება ათასჯერ უფრო ადვილია, ვინემ „დამარცხება" წვრილ მეურნეთა მილიონების, რომლებიც თავიანთი ყოველდღიური, უჩინარი, გამხრწნელი მოქმედებით ანხორციელებენ ი მ ა ვ ე რეზულტატებს, რომლებიც ესაჭიროება ბურჟუაზიას, რომლებიც ახდენს ბურჟუაზიის რესტავრაციას" [1]). საბჭოთა კავშირის 25 მილიონი წვრილი მეურნეობის „დამარცხება" „ათასჯერ უფრო" ძნელია, ვინემ რუსული წვრილ-ხერხემლიანი ბურჟუაზიის განადგურება. აქ საკითხი გაცილებით უფრო სერიოზულად სდგას და მის გადასაჭრელად გაცილებით უფრო სერიოზული მუშაობაა საჭირო.

---

[1]) Ленин, ტ. XVII. გვ. 136.

ლ ე ნ ი ნ ი მრავალჯერ უბრუნდება ამ საკითხს. „ძნელი არ იყო მეფის განდევნა — ამბობს ლენინი, — ამისათვის დაგვჭირდა სულ რამდენიმე დღე. ძნელი არ იყო კაპიტალისტების განდევნა, ეს შეიძლებოდა რამდენიმე თვეში მოგვეხდინა. არც ისე ძნელია კაპიტალისტების განდევნაც. მაგრამ კ ლ ა ს ე ბ ი ს მ ო ს პ ო ბ ა გ ა ც ი ლ ე ბ ი თ უ ფ რ ო ძ ნ ე ლ ი ა, მაინც დარჩა გაყოფა მუშებათ და გლეხებათ. თუ გლეხი სდგას მიწის კერძო ნაჭერზე და ისაკუთრებს ზედმეტ პურს, ე. ი. პურს რომელიც არ სჭირდება არც მას, არც მის საქონელს, ხოლო ყველა დანარჩენი რჩება უპუროთ, ა ქ გ ლ ე ხ ი უ კ ვ ე ე ქ ს პ ლ ო ა ტ ა ტ ო რ ა თ ი ქ ც ე ვ ა... ა ქ გ ა ც ი ლ ე ბ ი თ უფრო ძნელია საკითხის გადაჭრა, ვინემ მეფის, მემამულეების, კაპიტალისტების განდევნა. ა ქ საჭიროა, რათა პროლეტარიატმა перевоспитал, переучил გლეხობის ნაწილი, თავის მხარეზე გადაიყვანოს ისინი, რომელნიც გლეხები-მშრომელნი არიან, მ ო ს პ ო ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა ი მ გ ლ ე ხ ე ბ ი ს, რ ო მ ე ლ ნ ი ც მ დ ი დ რ ე ბ ი ა რ ი ა ნ დ ა ი ს ქ ე ლ ე ბ ე ნ ჯ ი ბ ე ს დ ა ნ ა რ ჩ ე ნ ე ბ ი ს გ ა ჭ ი რ ვ ე ბ ი ს ხ ა რ ჯ ზ ე“ [1]).

სოფლის წვრილი მეურნეობის „დამარცხება“ გაცილებით ძნელი საქმეა, მაგრამ პროლეტარიატმა აუცილებლად უნდა დასძლიოს ეს სიძნელე და დასძლევს კიდეც. წინაალმდეგ შემთხვევაში კაპიტალიზმის საფრთხე გაიზრდება, კაპიტალიზმის ფესვები ღრმათ ჩაეშვება მეურნეობის ნიადაგში. კაპიტალიზმის საშიშროება სოფლიდან მოემართება: „სანამ ჩვენ ვსცხოვრობთ გლეხურ ქვეყანაში, რუსეთში კაპიტალიზმისათვის არის უფრო მტკიცე ეკონომიური

---

[1]) იქვე, გვ. 322 — 323. ხაზი ჩვენია.

ბაზა, ვინემ კომუნიზმისათვის. ეს აუცილებლად უნდა დავიმახსოვროთ... კაპიტალიზმის ფესვები არ აღმოგვიფხვრია და შინაურ მტრის ფუნდამენტი, დასაყრდნობი არ დაგვილეწია" [1]). წვრილი გლეხური მეურნეობა — აი რა არის ჩვენს პირობებში კაპიტალიზმის ნიადაგი. „გლეხური მეურნეობა ჯერ კიდევ რჩება საქონლის წვრილ წარმოებათ — სწერს ლენინი თავის შესანიშნავ წერილში: Экономика и политика в эпоху диктатуры пролетариата. — აქ ჩვენ გვაქვს განსაკუთრებით ფართო და ძალიან ღრმა, ძალიან მტკიცე ფესვების მქონე ბაზა კაპიტალიზმის. ამ ბაზაზე კაპიტალიზმი ინარჩუნებს არსებობას და კვლავაც განახლდება ხოლმე კომუნიზმთან მკაცრ ბრძოლაში. ამ ბრძოლის ფორმებია გაიძვერობა და სპეკულიაცია" [2]). სოფლის მეურნეობა, სოფლის წვრილი წარმოება კაპიტალიზმის აღორძინების ბაზაა და, მაშასადამე, კლასთა ბრძოლის განვითარების წყარო. პროლეტარიატის კლასიური პოლიტიკა განსაკუთრებული სიმწვავით და სიმახვილით მომართულია სწორედ აი ამ ბაზის მოსასპობად, სოფლის კერძო მეურნეობის განსაზოგადოებულ მეურნეობის ლიანდაგზე გადასაყვანად.

რა გზით შეიძლება ეს მოხდეს? როგორი უნდა იყოს აქ სოციალისტური პროლეტარიატის კლასიური პოლიტიკა? ცხადია, სოფლის კერძო მეურნეობის „დამარცხება" ადმინისტრატიულ-დეკრეტულ ზომებით ყოვლად შეუძლებელია. აქ საჭიროა სისტემატიური, უფრო ხანგრძლივი, მაგრამ დაუღალავი და მტკიცე მუშაობა. პროლეტარიატმა უნდა „გ ა დ ა ა კ ე თ ო ს" სოფლის წვრილი მეურ-

---

[1]) Ленин, იქვე, გვ. 427.

[2]) ტ. XVI, გვ. 349.

ნეობა განზოგადოებულ მეურნეობათ. მხოლოდ ამის შემდეგ მოისპობა თვით კლასიური დიფერენციაციაც, მოისპობა კლასებათ დაყოფა. „კლასები დარჩა და დარჩება კიდეც წ ლ ე ბ ი ს განმავლობაში ყველგან პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების დაპყრობის შ ე მ დ ე გ — სწერს ლენინი „მემარცხენეობის საყმაწვილო სენში". — შესაძლებელია მხოლოდ ინგლისში, სადაც არ არის გლეხობა (მაგრამ მაინც არიან წვრილი მეურნეები), ეს დრო უფრო ხანმოკლე იქნეს. კლასების მოსპობა ნიშნავს არა მარტო მემამულეებისა და კაპიტალისტების განდევნას — ეს ჩვენ შედარებით ადვილად შევძელით. ეს ნიშნავს აგრეთვე ს ა ქ ო ნ ლ ი ს წ ვ რ ი ლ მ წ ა რ მ ო ე ბ ლ ე ბ ი ს მ ო ს პ ო ბ ა ს, ხოლო შეუძლებელია მ ა თ ი. გ ა ნ დ ე ვ ნ ა, ძალით მათი დამორჩილება არ შეიძლება, მათთან ს ა ჭ ი რ ო ა შ ე გ უ ე ბ ა (ужиться), შეიძლება (და აუცილებელიცაა) მათი გადაკეთება (переделать..." [1]).

ამ ამონაწერში ლ ე ნ ი ნ ი გარკვევით ლაპარაკობს: კლასების მოსპობა „საქონლის წვრილი მწარმოებლების მოსპობაა", მაგრამ წვრილი მეურნეობის „მოსპობა" არ შეიძლება „მათი განდევნით". წმინდა ადმინისტრატიულ ძალდატანებით წვრილ მეურნეობას ვერ დავიმორჩილებთ. ჩვენ უნდა შევსძლოთ — და შევსძლებთ კიდეც — ამ მეურნეობის გადაკეთებას სოციალისტურ მეურნეობათ. აქ არ არის უიმედობის, ეჭვიანობის და ჰამლეტურ მელანქოლიის, ნაღვლიანობის არავითარი ნასახი. Можно (и должно) переделать — ასე სწერს ლ ე ნ ი ნ ი. ჩვენს პირობებში სოფლის წვრილი მეურნეობის „განზოგადოე-

---

[1]) ტ. XVII. გვ. 135 — 136. ხაზი ლენინისაა.

ბულ მანქანურ მიწათმოქმედებათ“ გადაკეთების, გარდაქმნის „ამოცანა განსაკუთრებით ძნელია... მაგრამ ამთავისებურობის მიუხედავათ, ეს ამოცანა ეკუთვნის სოციალისტურ მშენებლობის უძნელეს ამოცანებს, რომლებიც წარმოიშობა ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოს წინაშე, — შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ინგლისის გამოკლებით“ [1]). როგორც ვხედავთ, გლეხურ მეურნეობის გადაკეთების სიძნელე დამახასიათებელი, სპეციფიური არ არის მარტო საბჭოთა კავშირისათვის. ეს სიძნელე წარმოიშობა ყველგან, ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოში — გერმანიაში, საფრანგეთში, ამერიკაშიაც კი, მხოლოდ „შეიძლება ინგლისის გამოკლებით“. ცხადია, ეს სიძნელე ყველგან ერთნაირი არ იქნება, ერთნაირი ხარისხის არ არის. ეს დამოკიდებულია სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციაზე. მაგრამ სიძნელე მაინც აუცილებელია ყველა ქვეყნის გამარჯვებულ პროლეტარულ ხელისუფლებისათვის.

სოფლის მეურნეობის „გადაკეთების“ და განსაზოგადოების მატერიალური ბაზაა მრეწველობისა და სოფლის ეკონომიკის ინდუსტრიალიზაცია. ამის გარეშე ფუჭია და უნაყოფო პროლეტარატის ეკონომიური პოლიტიკა, სოციალისტური ღონისძიებები. გამარჯვებულ პროლეტარიატის „მთავარ ამოცანას შეადგენს სწორათ განსაზღვრა იმ ზომების, რომლებიც აუცილებელია გლეხობის ხელმძღვანელობისათვის, გლეხობასთან მტკიცე (прочный) კავშირის დასამყარებლად“ [2]) — შენიშნავს ლენინი.

---

[1]) ტ. XVIII, ნაწ. I, გვ. 313—314. ხაზი ჩვენია.

[2]) იქვე.

ამ ზომებმა ჩვენ უნდა მიგვიყვანოს გლეხურ მეურნეობის „გადაკეთებამდე", რადგან მხოლოდ ამ „გადაკეთების" გზა ჰგულისხმობს გლეხობაზე მტკიცე ხელმძღვანელობის უზრუნველყოფას, გლეხობასთან მტკიცე კავშირის დამყარებას. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. ესაა მთავარი და ძირითადი.

გლეხურ წარმოების განსაზოგადოება, მშრომელ გლეხობასთან კავშირის განმტკიცება, დიქტატურის „უმაღლესი პრინციპის" დაცვა-განხორციელება არ შეიძლება მხოლოდ ბ ა ზ რ ი ს თვალსაზრისით. ეს შეხედულება ყალბია და მიუღებელი. რა არის ბაზრის თვალსაზრისი? გლეხობა და პროლეტარი (სახელმწიფოს სახით) ერთმანეთს ხვდება ქალაქისა და სოფლის ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლის გზაზე. „ბაზრული თვალსაზრისი" მოითხოვს, ეს გაცვლა-გამოცვლა მოხდეს გლეხობის ინტერესების პროლეტარიატის ინტერესებთან გათანასწორებით. პრაქტიკულად ეს ნიშნავს სოფლისა და ქალაქის პროდუქტების ეკვივალენტურ გაცვლა-გამოცვლას, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზევით. მიმდინარე პერიოდში ამის დაშვება შეუძლებელია. საბოლოო ანგარიშით, ეს საზიანოა თვით სოფლის წვრილ მწარმოებლისათვის: შესუსტდება ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფელი ვერ მიიღებს კრედიტებს, ტრაქტორებს და მრავალ სხვა რეალურ დახმარებას.

მეორე მხრივ, ჩვენ შევზღუდავთ პროლეტარიატის სოციალისტურ ინტერესებს. ეს იქნება აშკარა გადახვევა სოციალიზმის გზიდან, ეს იქნება ლ ე ნ ი ნ ი ს აზრის დავიწყებაც. სოციალიზმისათვის ბრძოლაში — ამბობს ლენინი, — „ჩვენზე, ხელმძღვანელ პარტიაზეა დამოკიდებული, რამდენი უბედურება ერგება წილათ პროლეტარიატს და რამდენი — გლეხობას. რ ი თ უ ნ დ ა ვი-

ხელმძღვანელოთ ამ განაწილებაში — თანაბრათ გათანასწორებით?.. ჩვენ ვამბობთ, უნდა ვიხელმძღვანელოთ პროლეტარიატის ინტერესებით, ე. ი. კაპიტალიზმის რესტავრაციისაგან უზრუნველყოფით, კომუნიზმისაკენ გზის უზრუნველყოფით" [1]). ბაზრული თვალსაზრისი ივიწყებს ამ სიტყვებს, ივიწყებს პროლეტარიატის ინტერესებს და მაღლა აყენებს გლეხობის — უმთავრესად მის შეძლებულ, კულაკურ ნაწილს, რადგან ბაზარზე ეს ნაწილი დაჯირგალობს, — წვრილი მწარმოებლების ბურჟუაზიულ მისწრაფებებს. გლეხობამ საკმაოთ მოიგო ოქტომბრის რევოლიუციით. მიწის ნაციონალიზაცია, საგადასახადო სისტემა, კოოპერაცია, საკრედიტო პოლიტიკა, მანქანიზაცია და სხვა — აი რა მიიღო სოფელმა. ლენინი სამართლიანად შენიშნავს კიდეც, როცა გულახდილად აღიარებს: „რუსეთში რევოლიუციისაგან გლეხებმა უსათუოდ უფრო მოიგეს, ვინემ მუშათა კლასმა" [2]). გლეხობის მშრომელი ნაწილი შეუძლებელია იყოს — და არც არის — პროლეტარიატთან კავშირით უკმაყოფილო.

რა თქმა უნდა, ბაზრის საკითხს პროლეტარული სახელმწიფო გვერდს როდი უხვევს და აფუჩეჩებს. სოფლის და ქალაქის ნაწარმოებებზე ხელსაყრელი ფასების დაწესება, სოფლისათვის პირველსაჭიროების საგნების საკმაო რაოდენობით მიწოდება, ფაბრიკატებზე ფასის დაწევა და მრავალი სხვა ღონისძიება — ეს ყველაფერი გამარჯვებული პროლეტარიატის გაძლიერებულ ყურადღების საგანს შეადგენს. მაგრამ ეს არ არის თავი და თავი, ეს არ არის საკითხის ამომწურავი, ეს არ არის სოფლის წვრილი მეურნეო-

---

[1]) ტ. XVIII. ნაწ. I. გვ. 271. ხაზი ჩვენია.

[2]) იქვე, გვ. 330.

ბის „გადაკეთების“ საფუძველი და გლეხობასთან მტკიცე კავშირის უზრუნველმყოფელი. „ბაზრული თეორია“ ცალმხრივია, ვიწრო, დღევანდელი დღის ინტერესების „დამატკბობელი“, მაგრამ საბოლოოდ სოციალიზმის გამანადგურებელი, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციის საკითხის უარმყოფელი.

სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ნიადაგზე „გადაკეთების“, პროლეტარიატისა და გლეხობის მტკიცე კავშირის უზრუნველყოფის მთავარი საშუალება არის ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ტ ე ხ ნ ი კ უ რ ი ბ ა ზ ი ს გ ა მ ა გ რ ე ბ ა. მუშისა და გლეხის კავშირი ბაზარზე კი არ მტკიცდება. ეს კავშირი სიმტკიცის ძალას ბ ა ზ რ ა მ დ ე ღებულობს. ეს არის ი ნ დ უ ს ტ რ ი ა ლ უ რ ი, ს ა წ ა რ მ ო ო კ ა ვ შ ი რ ი. კავშირის სხვა საძირკველი სუსტია, არა საიმედო, ხშირათ ძალზე დამპალი. ქალაქმა უნდა მიაწოდოს სოფელს არა მარტო იაფი საქონელი. ეს კავშირის ერთი რგოლია. გამარჯვებულმა პროლეტარიატმა სოფელს უნდა მისცეს გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკა, აგრონომიული კულტურა, განათლება, დარაზმოს მშრომელი გლეხობა კოლექტივებში, არტელებში, ამხანაგობებში, კოოპერაციაში, ერთი სიტყვით — „გადააკეთოს“ სოფლის მეურნეობა განზოგადოებულ, მაღალ ტეხნიკასა და ცოდნაზე დამყარებულ მეურნეობათ,— აი რა არის პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი მიზანი სოფლად, ქალაქისა და სოფლის არა „ბაზრული“, ი ნ დ უ ს ტ რ ი ა ლ უ რ ი კ ა ვ შ ი რ ი.

შეუძლებელია ასე მსჯელობა: გლეხმა მოიტანოს ბაზარზე იაფი პური, სულ ერთია, როგორი ხერხითაც იქნება ეს პური მოყვანილი, და პროლეტარიატმა გამოიტანოს იაფი ფაბრიკატი — კავშირიც განმტკიცებულია. ასე მსჯე-

ლობა, მარქსის სიტყვებით რომ ვსთქვათ, „სოფლის ცხოვრების იდიოტიზმს“ ახასიათებს მხოლოდ.

მოვუსმინოთ ლ ე ნ ი ნ ს.

„შინაური მტერი ემყარება წვრილ მეურნეობას და ამ მტრის გასანადგურებლად არის ერთი საშუალება: ქვეყნის მეურნეობის, მათ შორის მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს, — გ ა დ ა ყ ვ ა ნ ა ა ხ ა ლ ტ ე ხ ნ ი კ უ რ ბ ა ზ ა ზ ე, თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე მ ს ხ ვ ი ლ წ ა რ მ ო ე ბ ი ს ბ ა ზ ა ზ ე. ა ს ე თ ი ბ ა ზ ა ა მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ ე ლ ე ქ ტ რ ო ფ ი კ ა ც ი ა. კომუნიზმი — ესაა საბჭოთა ხელისუფლება პლიუს ელექტროფიკაცია“ [1]).

ახალი ტეხნიკური ბაზა და ამ ბაზის შექმნის საშუალება — ელექტროფიკაცია, — აი რა არის „მსხვილ წარმოების ბაზაზე“ „მიწათმოქმედების გადაყვანის“ ერთად ერთი სწორი გზა. სხვანაირად:

„წვრილი მეურნეობის გადამუშავების (переработки) საქმე, ამ მეურნეობის მთელი ფსიხოლოგიის და ზნის გადამუშავების საქმე მოითხოვს მთელ რიგ თაობას. ამ საკითხის გადაჭრა, გაჯანსაღება — ასე ვსთქვათ — წვრილი მეურნის ფსიხოლოგიის შეუძლია მხოლოდ მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ბ ა ზ ა ს, ტ ე ხ ნ ი კ ა ს, მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა შ ი ტ რ ა ქ ტ ო რ ე ბ ი ს ა და მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა ს მ ა ს ი უ რ მ ა შ ტ ა ბ ი თ, ე ლ ე ქ ტ რ ო ფ ი კ ა ც ი ა ს მ ა ს ს ი უ რ მ ა შ ტ ა ბ ი თ. აი რას შეუძლია წვრილი მეურნეობის ძირ-ფესვიანად და დიდის სისწრაფით გადაკეთება. თუ მე ვამბობ, საჭიროა მთელი რიგი თაობათა-თქო, ეს არ ნიშნავს, რომ საჭიროა საუკუნეები“ [2]). აი ასეთია სოფლის მეურნეობის

---

[1]) ტ. XVII. გვ. 428. ხაზი ჩვენია.

[2]) ტ. XVIII, ნაწ. I, გვ. 139. ხაზი ჩვენია.

სოციალისტური რეკონსტრუქციის გზა. სხვა გზა არ არის, არ არსებობს. სხვა დანარჩენი პალიატივაა და წყლის ნაყვა.

მატერიალური ბაზა, ტექნიკა, ტრაქტორები და მანქანები მასსიურ რაოდენობით, ელექტროფიკაცია მასსიურ მაშტაბით — აი სოფლის მეურნეობის განვითარების, სოფლისა და ქალაქის განსხვავების მოსპობის ერთად-ერთი სწორი და საიმედო გზა, ლ ე ნ ი ნ ი ს მიერ ნაჩვენები.

მაგრამ ეს გზა ციდან არ იწყება. მას აქვს მხოლოდ ერთი სათავე — მსხვილი, მძიმე მრეწველობა, ი ნ დ უ ს ტ რ ი ა ლ უ რ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ა. სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია, ამ მეურნეობის მატერიალური ბაზის გამტკიცება შეუძლებელია ინდუსტრიალური მრეწველობის გარეშე. მართალია, თვით სოფლის მეურნეობის განვითარებაც ერთგვარი ბაზაა ინდუსტრიის. მისი გაფართოების. აქ აშკარაა სახალხო მეურნეობის ამ ორი ძირითადი დარგის ერთმანეთზე დამოკიდებულება. მაგრამ მთავარი და გ ა დ ა მ წ ყ ვ ე ტ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა მ ძ ი მ ე ი ნ დ უ ს ტ რ ი ა ს ა ქ ვ ს. სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია დამოკიდებულია მძიმე მრეწველობის განვითარებაზე, ქალაქის მეურნეობის ინდუსტრიალიზმზე. აქ ведущая роль უსათუოდ და უეჭველად ინდუსტრიას ეკუთვნის.

„ე რ თ ა დ ე რ თ ი მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს ა ა რ ი ს მ ს ხ ვ ი ლ ი მ ა ნ ქ ა ნ უ რ ი მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა, რ ო მ ე ლ ს ა ც შ ე უ ძ ლ ი ა მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს რ ე ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ც“ [1]), ე. ი. სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია.

---

[1]) იქვე. გვ. 316.

ეს იმდენად ზედმიწევნით უდაო დებულებაა, რომ აქ ყოვლად წარმოუდგენელია განსხვავებული აზრის წამოყენება. მძიმე ინდუსტრიის განვითარება სოციალიზმის ურყევი საფუძველია. მხოლოდ ინდუსტრიას შეუძლია ქალაქად და სოფლად სოციალიზმის გამარჯვება, რა თქმა უნდა, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოში. მოწინავე პროლეტარიატის უშუალო ხელმძღვანელობით.

ამიტომ ამბობდა ლ ე ნ ი ნ ი ასე გადაჭრით, ჟანატიური რწმენით და სიმტკიცით — სწერდა ჯერ კიდევ ოქტომბრის წინა დღეებში: „რევოლიუციამ მოგვცა ის, რომ რუსეთი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი წყობილების თვალსაზრისით რამდენიმე თვეში დაეწია (ოქტომბრის შემდეგ ხომ გაუსწრო კიდეც. გ. მ.) მოწინავე ქვეყნებს. მაგრამ ეს ცოტაა". და ლენინიც განაგრძობს: ცხოვრება „აყენებს საკითხს მთელი სიმწვავით: ან უ ნ დ ა დ ა ვ ი ღ უ პ ო თ, ან დ ა უ ნ დ ა დ ა ვ ე წ ი ო თ მ ო წ ი ნ ა ვ ე ქ ვ ე ყ ნ ე ბ ს და გ ა უ ს წ რ ო თ მ ა თ ა გ რ ე თ ვ ე ე კ ო ნ ო მ ი უ რ ა დ ა ც. ეს შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა. რ ა დ გ ა ნ ა ც ჩ ვ ე ნ ხ ე ლ თ გ ვ ა ქ ვ ს მ ო წ ი ნ ა ვ ე ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი ს უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს მ ზ ა-მ ზ ა რ ე უ ლ ი გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა, კ ულ ტ უ რ ი ს ა და ტ ე ხ ნ ი კ ი ს მ ზ ა-მ ზ ა რ ე უ ლ ი მ ი ღ წ ე ვ ე ბ ი... ან დ ა ღ უ პ ვ ა. ან წ ი ნ გ ა ქ ა ნ ე ბ ა მ თ ე ლ ი ჩ ვ ე ნ ი ძ ა ლ-ღ ო ნ ი თ. ა ს ე ა ს ა კ ი თ ხ ი ი ს ტ ო რ ი ი ს მ ი ე რ დ ა ყ ე ნ ე ბ უ ლ ი" [1]). ან განვითარება სოციალისტურ მძიმე ინდუსტრიის, ანდა დაღუპვა — სოციალი-

---

[1]) ტ. XIV. ნაწ. II. გვ. 213. ხაზი ჩვენია.

ზმზე ხელის აღება — ასაბუთებს ლენინი. პოლიტიკურად ჩვენ გავუსწარით მთელ მსოფლიოს, მაგრამ ეკონომიურად ჯერ კიდევ უკან ვართ ჩამორჩენილი. ჩვენ უნდა „დავეწიოთ (догнать) მოწინავე ქვეყნებს" ეკონომიურად. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ჩვენ უნდა „გავუსწროთ (перегнать) მათ" — „ასეა საკითხი ისტორიის მიერ დაყენებული". ვინც ვერ ხედავს საკითხის ამგვარ დაყენებას, ისტორიის წინააღმდეგ ილაშქრებს და, ამრიგად, ს ე რ ვ ა ნ ტ ე ს ი ს ცნობილი გმირის „საპატიო" როლში გამოდის. ის შეუგნებლად თუ შეგნებით უკან იხევს პროლეტარიატის სოციალისტური ამოცანების წინაშე.

სწორედ ასე დააყენა საკითხი ამხ. ს ტ ა ლ ი ნ მ ა ც: „იმისათვის, რათა მივაღწიოთ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას, საჭიროა დავეწიოთ და გავუსწროთ ტეხნიკურ-ეკონომიურ თვალსაზრისით მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს" [1]). შეგვიძლია თუ არა ამას მივაღწიოთ? „შ ე გ ვ ი ძ ლ ი ა" — გვიპასუხებს ლ ე ნ ი ნ ი: ჩვენ გვაქვს როგორც „მზა-მზარეული მიღწევები" მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების, „ყველა პირობა" სოციალიზმის შენებისათვის ჩვენს ქვეყანაში, ვანვითარებთ ელექტროფიკაციას, სოფლის მეურნეობას და მრავალი სხვა.

რასაკვირველია, საერთაშორისო რევოლიუციის დ ა გ ვ ი ა ნ ე ბ ა მეტად გვიძნელებს და გვირთულებს მუშაობას. სოციალისტური გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი — საბჭოთა ევროპა ხელის ერთი ვაჟკაცური დაკვრით გარდაქმნიდა ჩვენს სახალხო მეურნეობას. ევროპის კულტურისა და ტეხნიკის მიღწევები მეტეორული სიჩქარით განავითა-

---

[1]) И. Сталин. Об индустриализации страны и о правом уклоне. არის ქართული გამოცემაც.

რებდა ჩვენს მრეწველობას, ეს ცხადია. უცხადესია ისიც, რომ ევროპის პროლეტარული რევოლიუციის დაგვიანებით საბჭოთა პროლეტარიატი მხოლოდ საკუთარ მარჯვენას დაემყარა. აი სად არის სოციალიზმის მშენებლობის ს ი ძ ნ ე ლ ი ს სათავე. ამ სიძნელეს ლ ე ნ ი ნ ი არასოდეს არ მალავდა, პირიქით, ხაზს უსვამდა მას. შესანიშნავ წერილში: „კომინტერნი და მისი ადგილი ისტორიაში" აი რას ამბობს ლ ე ნ ი ნ ი:

„მსოფლიო ისტორია გადაუხრელად მიდის პროლეტარიატის დიქტატურისაკენ, მაგრამ მიდის არა უბრალო, არა სწორი გზით... მე საშუალება მქონდა მეთქვა არა ერთხელ: მოწინავე ქვეყნებთან შედარებით რუსებისათვის ადვილი იყო დიადი პროლეტარული რევოლიუციის დ ა წ ყ ე ბ ა, მაგრამ მათთვის უფრო ძნელი იქნება ამ რევოლიუციის გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა და მისი მიყვანა საბოლოო გამარჯვებამდე, სოციალისტური საზოგადოების სრული ორგანიზაციის თვალსაზრისით" [1]).

აქ გასაგებია ყველაფერი: შედარებით ადვილი იყო რუსეთის პროლეტარიატისათვის ოქტომბრის ისტორიული გადატრიალება, მაგრამ შედარებით ძნელია მისთვის ამ გადატრიალების დანიშნულების „მიყვანა საბოლოო" მიზნამდე — სოციალიზმამდე, რა თქმა უნდა, ევროპის მოწინავე სახელმწიფოების პროლეტარიატთან შედარებით. ევროპის პროლეტარულმა რევოლიუციამ დაიგვიანა. კიდევ მეტი — კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაციის პერიოდი დაგვიდგა. ასეთ საერთაშორისო პირობებში „უფრო

---

[1]) Ленин, ტ. XVI. გვ. 184 — 185. რევოლიუციამდეც ამ აზრს ლენინი არა ერთხელ ამბობდა: იხ. ტ. IX. გვ. 339. აგრეთვე: ტ. VII, ნაწ. I. გვ. 187, 188 და სხ.

ძნელია“ საბჭოთა პროლეტარიატისათვის პროლეტარული „რევოლუციის გაგრძელება და მისი მიყვანა საბოლოო გამარჯვებამდე“. ამ სიძნელეს ლენინი ხაზს უსვამს, მაგრამ ამავე დროს როდი ამბობს, რომ სიძნელე შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ს ნიშნავდეს. პირიქით, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ლენინი ყველგან ამტკიცებს: სოციალიზმის მშენებლობის სიძნელე სრულებით არ არის ამ მშენებლობის შეუძლებლობა — ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი. „ე ს შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა“ — ასეთია ლენინის პასუხი. ჩვენი პარტია და მოწინავე პროლეტარიატი. მშრომელ გლეხობასთან ერთად. მტკიცეთ ანხორციელებს ლენინის გენიალურ აზრებს ქვეყნის ჩქარი, ძარღვებ დაჭიმულ ინდუსტრიალიზაციით, სოფლის მერნეობის მანქანიზაცია-კოლექტივიზაციით, ლენინის კოოპერატიული და ელექტროფიკაციულ გეგმის მტკიცე დაცვით და განვითარებით. პროლეტარიატი და მისი პარტია მტკიცეთ იცავს ლენინის პოლიტიკურ ანდერძს სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ჩვენ მიერ მოყვანილ ლ ე ნ ი ნ ი ს სიტყვების შემდეგ თითქმის ათმა წელმა გაიარა. ეს მთელი პერიოდია სოციალისტურ მშენებლობაში. ამ ხნის მანძილზე საკმაო, მეტად მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს. ლ ე ნ ი ნ ი „ვოლხვოსტროიზე“ ოცნებობდა, დღეს კი „დნეპროსტროი“ შენდება. სოციალისტური პროლეტარიატის მუშაობა საკმაოთ გაღრმავდა, გაფართოვდა. ლენინის აზრები გზას უკაფავს ამ მუშაობას.

მეორე მხრივ, ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი მ შ ე ნ ებ ლ ო ბ ი ს გ ა ღ რ მ ა ვ ე ბ ა ი წ ვ ე ვ ს მ თ ე ლ რ ი გ ა ხ ა ლ-ა ხ ა ლ ა მ ო ც ა ნ ებ ს. ა ხ ა ლ პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ-ს ა კ ი თ ხ ებ ს, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს. ამ პასუხს იძლევა პროლეტარიატის კოლექტიური ნების-

ყოფა — მისი პარტიის, კომუნისტური პარტიის სახით. ასეთი ახალი მნიშვნელოვანი საკითხია მიმდინარე საფეხურზე: სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, საბჭოთა მეურნეობათა განვითარება, ქალაქისა და სოფლის კავშირის კიდევ ერთი ახალი სახე — სამეურნეო კონტრაქტაცია, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, თუ გნებავთ — განიარაღების კონფერენცია. ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა და მთელი რიგი ეკონომიურ-პოლიტიკური საკითხების. რომლებსაც აყენებს სოციალისტურ მშენებლობის შემდგომი განვითარება. ამ საკითხებს პარტია აძლევს ლენინურ პასუხს — პასუხს, რომელიც ლენინიზმიდან უშუალოდ გამომდინარეობს. ლენინიზმის „ნაწილს შეადგენს".

გამოჩენილმა რუსმა მარქსისტმა გ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ მ ა „კომუნისტურ მანიფესტის" რუსულ გამოცემის წინასიტყვაობაში მეტად მნიშვნელოვანი აზრი გამოსთქვა. მართალია, მან ეს აზრი პრაქტიკულად სრულებითაც ვერ გამოიყენა, რადგან საერთოდ ასეთი აღმოჩნდა გ. პლეხანოვის ბედი: სწორი მარქსისტული თეორია მწარეთ მოსწყვიტა ცოცხალ საქმიანობას. მაგრამ ეს გ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი ს მკვლევარის საქმეა, ჩვენ ის არ გვაინტერესებს. აი რა არის ჩვენთვის საინტერესო: „ერთმა გონებამახვილმა ფრანგმა შენიშნა — სწერს პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, — რომ მისი სურვილი არ იქნებოდა ეფიქრა ისე, როგორც ფიქრობდა ვოლტერი იმ დროს, როცა ვოლტერი სხვანაირ აზრის იქნებოდა. ჩვენ უნდა მივბაძოთ ამ ფრანგის მაგალითს. თუ ჩვენ მოვისურვებთ ვიაზროვნოთ ისე, როგორც ფიქრობდენ მარქსი და ენგელსი, მაშინ, როცა მ ა რ ქ ს ი და ე ნ გ ე ლ ს ი სხვანაირი აზრის იქნებოდენ. ამით ჩვენ დავამტკიცებდით მათი მოძღვრების კრიტიკული ს უ ლ ი ს

(дух) შეთვისების სრულ უსუსურობას და, მისი მკვდარი ასოების დაცვით, ჩვენ მარქს-ენგელსიდან წავიდოდით გაცილებით უფრო შორს, ვინემ ის დოგმატიკოსები, რომელთა შესახებ ლაპარაკობდა მარქსი... არნოლდ რუგესადმი წერილში".

აი ასეთია საკითხის მარქსისტული დაყენება, მარქსიზმის დიალექტიური ბუნების გაგება. ასე სწერდა ძველი რევოლიუციონერი მარქსისტი გ. პლეხანოვი. მარქსიზმი დოგმა კი არაა, არამედ სახელმძღვანელოა მოქმედებაში — თითქმის ყოველ გზა-ჯვარედინზე იმეორებდა ამას ლენინი. ვინც ამას ვერ გაიგებს, ცხადია, ვერც ლენინიზმის „კრიტიკულ სულს" შეითვისებს და გამოიყენებს.

ლენინიზმი დოგმა არ არის. ლენინიზმი მოქმედების, ბრძოლის, განვითარების ფილოსოფიაა — მარქსისტული დიალექტიკის „უმაღლესი ფორმაა", უაღრესი გამომხატველი.

რა თქმა უნდა, ჩვენ იმას სრულებითაც არ ვამტკიცებთ, ვითომც ლენინი სოციალიზმის მშენებლობის მიმდინარე პერიოდში სხვა აზრის იქნებოდა. სასაცილოა ამაზე ფიქრი და ასეთი დასკვნის გამოყვანა. ეს მხოლოდ საშუალო საუკუნეების სქოლასტიკოსებისა და ძველი ბერძნული სოფისტების ჯურისა და რანგის „მოაზროვნეებს" თუ შეუძლიათ. ჩვენ ვამბობთ უბრალო ჭეშმარიტებას: ლენინი გენიალური დიალექტიკ-მატერიალისტი იყო, ცხოვრება ვითარდება, სოციალიზმის პრაქტიკულად განხორციელებისათვის ბრძოლა ღრმავდება, რთულდება, საზოგადოებრივი განვითარება მრავალ პრაქტიკულ საკითხს აყენებს და ამ საკითხებს გარკვეული

პასუხი უნდა გაეცეს — პასუხი ლენინური. პარტია იძლევა ასეთ პასუხს თითოეულ კონკრეტიულ შემთხვევაში.

ამხ. ს ტ ა ლ ი ნ ს მოყავს ლენინის აზრი მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნების ეკონომიური თვალსაზრისით „დაწევისა" და „გასწრების" შესახებ და ამბობს:

„ლ ე ნ ი ნ ი სწერდა ყოველივე ამას ოქტომბრის რევოლიუციის წინა დღეებში, პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების აღებამდე, როცა ბოლშევიკებს არ გააჩნდათ არც ხელისუფლება, არც სოციალისტური მრეწველობა, არც ფართოდ გაშლილი კოოპერატიული ქსელი, რომელიც გლეხობის მილიონებს აკავშირებს, არც კოლმეურნეობანი, არც საბჭოთა მეურნეობანი. ახლა, როცა ჩვენ გვაქვს ზოგი რამ მეტად მნიშვნელოვანი იმისათვის, რათა ძირეულად აღემოვფხვრათ ჩვენი ტეხნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა, ჩვენ შეგვეძლო ლენინის სიტყვები გადაგვესხვაფერებინა (перефразировать) დაახლოებით შემდეგნაირად: „ჩვენ დავეწევით და გავუსწარით მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მიმართულებით, რაკი დავამყარეთ პროლეტარიატის დიქტატურა. მაგრამ ეს ცოტაა. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ პროლეტარიატის დიქტატურა, ჩვენი ნაციონალიზაცია ქმნილი მრეწველობა, ტრანსპორტი, საკრედიტო სისტემა და სხ., კოოპერაცია, კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი და სხ. იმისათვის, რათა დავეწიოთ და გ ა ვ უ ს წ რ ო თ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს აგრეთვე ე კ ო ნ ო მ ი უ რ ა დ ა ც" [1]).

რასაკვირველია, ლენინიზმის დოგმატიკოსი ამ სიტყვებში ლ ე ნ ი ნ ი ს წინააღმდეგ გალაშქრებას თუ არა,

---

[1]) И. Сталин. Об индустриализации... გვ. 11 — 12.

ლენინიდან გადახვევას მაინც დაინახავს. როგორ, განა ლ ე ნ ი ნ ი ს სიტყვები უნდა „გადავასხვაფეროთ" — შემოგვძახებს იგი. მას არ შეუძლია „მკვდარ ასოს" გასცილდეს. ასეთი ტიპის მოაზროვნესათვის, მაგალითად, წინეთ მეტად გაუგებარი იყო ლენინის „საქციელი", რომელიც „ნეპის" შემოღებას შეიცავს. ამ ადამიანისათვის დღეს გაუგებარია აგრეთვე, თუ რატომ ასეთი სიმტკიცით და სერიოზულობით ანვითარებს მოწინაკე პროლეტარიატი და ძისი პარტია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას...

მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნების ეკონომიური თვალსაზრისით დაწევა და გასწრება ამოცანათა-ამოცანაა, რომელიც იალბუზის მთასავით სდგას გამარჯვებული პროლეტარიატის წინაშე. ან მიღწევა ამ მიზნის, გადაჭრა ამ ამოცანის, ან — ხელის აღება სოციალიზმის მშენებლობაზე, სოციალიზმისათვის ბრძოლის ველიდან სამარცხვინო გაქცევა. „ასეა საკითხი ისტორიის მიერ დაყენებული". ეს არის გენერალური ხაზი, რომელიც ლ ე ნ ი ნ მ ა შეიმუშავა, დაასაბუთა და მისი სწორად დაცვა გვიანდერძა. ესაა ძირითადი მიზანი მიმდინარე პერიოდში. ამ მიზნისათვის დაუზოგავია ყოველგვარი ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი საშუალება, კოლექტივიზაცია—კონტრაქტაცია იქნება ეს თუ კიდევ სხვა ახალი ლოზუნგი, რომელსაც ცხოვრება წამოაყენებს.

უზარმაზარი სიძნელეების მიუხედავად, სახალხო მეურნეობის სოციალისტური და, მაშასადამე, ინდუსტრიალური სექტორი თანდათან ვითარდება, ძლიერდება, ჩქარი ნაბიჯით იკაფავს გზას. კაპიტალისტური ელემენტი იზღუდება, იდევნება, მას არ აქვს მოღონიერებისა და გაძლიერების ნიადაგი, საშუალება. სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის განხორციელება მთელი ოქტომბერი იქნება სა-

ბჭოების ქვეყანაში. მოწინავე პროლეტარიატმა შესძლო ოქტომბრის გადატრიალება პოლიტიკურ ცხოვრებაში, მან უნდა შესძლოს და კიდევაც შესძლებს ამ გადატრიალებას ეკონომიკაში. ამ ჟამადაც უდიდესი მიღწევები გვაქვს, უდიდესი ნაბიჯებია ინდუსტრიალიზაციის ფრონტზე გადადგმული. ამას ხედავს მთელი ქვეყანა. ამას განსაკუთრებით კარგად გრძნობენ ევროპიულ კაპიტალიზმის აგენტები ჩვენს ქვეყანაში — უცხოეთის კონცესიონერები, რომლებიც ეწევიან საკონცესიო წარმოებას საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ პოლიტიკის ფარგლებში *). სოციალისტურ-ინდუსტრიალურ სექტორის ზრდა-განვითარება შიშველი ფაქტია და მისი დანახვაც ყველასათვის ადვილია.

მაგრამ, ცხადია, სოციალიზმის მშენებლობა საბჭოთა პროლეტარიატს მეტად მძიმე პირობებში უხდება. სიძნელეები სიძნელეებს მოსდევს. ზრდისა და განვითარების სიძნელენი აუცილებელია საფეხურიდან-საფეხურზე გადასვლის დროს. ლენინის არ იყოს, ერთი კლასიდან მეორეში გადასვლა ძალ-ღონის წარმოუდგენელი დაჭიმვით უხდება სოციალისტურ პროლეტარიატს.

---

*) გერმანულ ბურჟუაზიულ გაზ. „Berliner Tageblatt"-ში (№ 176, 14 აპრილი, 1929) დაიბეჭდა პირველ გვერდზე მოწინავეთ გრძელი წერილი სათაურით: „Sowjetwirschaft und Ausland". წერილი ეკუთვნის ამ გაზეთის მოსკოველ კორესპონდენტს პაულ შეფფერს. ავტორი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში სოციალისტური წარმოება იმდენად გაფართოვდა და გამაგრდა, რომ კონცესიების არავის ეშინია და ამ კონცესიების მიხურვა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს საბჭოთა მთავრობისათვისო. რა თქმა უნდა, ავტორი არ არის კმაყოფილი იმ გარემოებით, რომ მოგების ნორმა მცირეა და გადასახადებიც დიდი. „უნდა გვქონდეს მაგარი ნერვები" ყველაღერი ამის ასატანადო. სანტიმენტალურად სჩიეის ის...

და აი აქ ვხედავთ ჩვენ არც ისე სახალისო მოვლენას: ენერგიის დაჭიმვას ყველა ერთნაირად ვერ იტანს, დაჭიმული ძარღვები ჩონგურის სიმებივით სწყდება და იწყება ისტერიული ყიჟინა უკანდახევის შესახებ. პროლეტარიატის ზოგიერთ ფენაში იწყება წვრილბურჟუაზიული მერყეობა, რაც ბუნებრივად იწვევს ქანაობას პროლეტარულ პარტიის განსაზღვრულ ნაწილშიაც.

ამ ქანაობასა და მერყეობის, შიშისა და უკანდახევის პროპგრამა რამდენიმე მუხლს შეიცავს. აქ მთავარია: ინდუსტრიალიზაციის ტემპის შესუსტება, კოლექტივიზაციის შენელება, გლეხობისადმი პერმანენტული დათმობა და ხაზის აღება მსუბუქ ინდუსტრიის განვითარებაზე, საბაზრო ურთიერთობის მოწესრიგებასა და წვრილი მეურნეობის აღორძინებაზე. ასეთია ამ პროგრამის დედა-აზრი, ლოლიკურ დასკვნამდე მიყვანილი.

რა არის გლეხობისადმი პერმანენტული დათმობა? ესაა — სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე ხელის აღება და კულაკური მეურნეობის გაფართოება. მიზანი — პურის და ნედლეულობის კრიზისის თავიდან აცილება, საშუალება — კულაკური მეურნეობის მოღონიერებით საწარმოო ძალების განვითარება სოფლად.

ლენინი თავის დროზე აყენებდა „დათმობის" საკითხს. ამ საკითხის ლენინურად დაყენებას სრულებით არ უხვევს გვერდს სოციალისტური პროლეტარიატი. „დათმობის პერმანენტული თეორია" კი ჰგულისხმობს სოციალიზმის ფესვების შესუსტებას, სოციალიზმის ნიადაგის შერყევას — პროლეტარიატის დიქტატურის ძირის გამო-

ოხრას. კულაკური მეურნეობის განვითარება სოციალიზმის გამაგრება არ არის!

აი რას სწერდა ლ ე ნ ი ნ ი „ნეპზე“ გადასვლის ხანებში:

„ჩვენ ვხელმძღვანელობთ მხოლოდ ერთ კ ლ ა ს ი უ რ ა ნ გ ა რ ი შ ი თ. ჩვენ აშაკარათ, ყოველგვარ მოტყუილების გარეშე ვეუბნებით გლეხებს: იმისათვის, რომ განვამტკიცოთ გზა სოციალიზმისაკენ, თქვენთან, ამხანაგებო გლეხებო, ვახდენთ მთელ რიგ დათმობას, მ ა გ რ ა მ ა მ ა დ ა ა მ ი ს ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი, ა მ ა დ ა ა მ ზ ო მ ი თ... აი როგორ სდგას გლეხობისა და პროლეტარიატის ურთიერთობის საკითხი, ე. ი. ან გლეხობა წავა ჩვენთან შეთანხმებაზე და ჩვენ ვახდენთ დათმობას, ანდა — ბრძოლა“ [1]). მაგრამ რას ჰგულისხმობს ეს „დათმობა“, მისი „ამა და ამის ფარგლები“, რა არის „დათმობის“ „ზომა“? აი მთავარი საკითხი.

ამ კითხვაზე ლ ე ნ ი ნ ი გასაგებათ გვიპასუხებს: დათმობის მიზანია „გ ა ნ ვ ა მ ტ კ ი ც ო თ გ ზ ა ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს ა კ ე ნ“, ესე იგი: „ჩვენ ვამბობთ, წავალთ ყოველგვარ დათმობაზე იმის ფარგლებში, რაც ა მ ა რ ა გ ე ბ ს დ ა ა მ ტ კ ი ც ე ბ ს პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს, რ ო მ ე ლ ი ც (პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი) მ ე დ გ რ ა თ მ ი დ ი ს — მ ი უ ხ ე დ ა ვ ა თ ს ი ძ ნ ე ლ ე ე ბ ი ს ა დ ა დ ა ბ რ კ ო ლ ე ბ ე ბ ი ს — კ ლ ა ს ე ბ ი ს მ ო ს პ ო ბ ა ს ა დ ა კ ო მ უ ნ ი ზ მ ი ს ა კ ე ნ“ [2]). აი როგორ აყენებდა ლ ე ნ ი ნ ი საკითხს 1921 წელს, პროლეტარიატის ეკონომიურ პოლი-

---

[1]) Ленин, ტ. XVIII, ნაწ. I, გვ. 271.

[2]) იქვე, გვ. 172.

ტიკის მკაცრ მოსახვევზე. პროლეტარიატი და მისი პარტია სამხედრო კომუნიზმიდან საქონლის წარმოების წესზე გადადიოდა, „განაწილების“ სისტემა ჩვეულებრივ სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იცვლებოდა, ფული და მისი ტრიალი ჩვეულებრივ გზას იკაფავდა. ამ გარემოებაში ლენინი ამბობს „დათმობაზე“, მაგრამ არა დათმობაზე შაბლონიური გაგებით. ეს შაბლონიური დათმობა როდია, რაც ა ძ ლ ი ე რ ე ბ ს ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ს დ ა ა მ ტ კ ი ც ე ბ ს პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა ს.

ასეთ „დათმობაზე“ პროლეტარიატი არასოდეს არ იტყვის უარს. ასე გვესმის ჩვენ „დათმობა“ დღესაც.

ავიღოთ ორი მაგალითი. აწეულ იქნა პურზე ფასი. არის თუ არა ეს დათმობა გლეხობისადმი საერთოდ? ა რ ა, ა რ ა რ ი ს. რატომ? იმიტომ, რომ ამ ლონისძიებით პროლეტარიატმა უფრო გაამაგრა დიქტატურა, გაარღმავა სოციალისტური მშენებლობა, შესძლო პურის დამზადება. ამიტომ სავსებით მართალი იყო ამხ. მ ო ლ ო ტ ო ვ ი, როცა ფასების აწევის პოლიტიკაში დათმობას არ ხედავდა და ამ პოლიტიკით ქალაქისა და სოფლის კავშირის უფრო განმტკიცების აუცილებლობას ასაბუთებდა. მეორე — სასოფლო სამეურნეო გადასახადის ახალი კანონი, რომელიც საშუალო გლეხობას საგრძნობლად უმსუბუქებს გადასახადს. არის ეს დათმობა? ა რ ა, ა რ ა რ ი ს. პირიქით, ეს გაძლიერებაა საშუალო გლეხობასთან მტკიცე კავშირის, ეს არის საშუალო გლეხობის მოწყვეტა კულაკების გავლენისაგან. აქ დ ა თ მ ო ბ ა, ე. ი. უ კ ა ნ დ ა ხ ე ვ ა კი არ არის სოციალიზმის პოზიციებიდან, პირიქით, ამ პოზიციების გამაგრებაა. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კნონი გადასახადის უდიდეს ნაწილს კულაკურ მეურნეობის მხრებზე აყენებს. დათმობაა ეს კაპიტალისტური

ელემენტების წინაშე? — რა თქმა უნდა, არა. ეს შეტევაა ამ ელემენტების წინააღმდეგ. ცხადია, გართულდება კლასთა ურთიერთობაც. აქ იოტის ოდნავ არ არის ლენინის გზიდან გადახვევა. ასეთ პირობებში ლენინი გადაჭრით ამბობდა:

„კლასთა ბრძოლა გრძელდება, მან მხოლოდ შეიცვალა ფორმები. ეს კლასიური ბრძოლაა პროლეტარიატისა იმისათვის... რათა შ ე ე რ თ დ ე ს ბ ნ ე ლ ი გ ა ფ ა ნ ტ უ ლ ი გ ლ ე ხ უ რ ი მ ა ს ს ა ე რ თ კ ა ვ შ ი რ შ ი. კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ა გ რ ძ ე ლ დ ე ბ ა, დ ა ჩ ვ ე ნ ი ა მ ო ც ა ნ ა ა — დ ა ვ უ მ ო რ ჩ ი ლ ო თ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ა მ ბ რ ძ ო ლ ი ს ი ნ ტ ე რ ე ს ებ ს“ [1]).

საშუალო და ღარიბ გლეხურ მასსების შეერთება „ერთ კავშირში“ და, მეორე მხრივ, კლასიური ხაზის დაცვა კულაკების მიმართ — აი რა არის პროლეტარიატისა და მისი ხელმძღვანელი პარტიის მიმდინარე პოლტიკის ძთავარი ძარღვი და მამოძრავებელი. „დათმობის“ ლენინურად გაგება წ ი ნ ს ვ ლ ა ა, ნაბიჯების წინ გადადგმაა და არა კაპიტულიაცია, უკანდახევა. ეს „მცირე“ განსხვავება არ უნდა დაგვავიწყდეს. თუ „ნეპის“ გარიჟრაჟზე ლ ე ნ ი ნ ი აღნიშნავდა პროლეტარიატის „მედგრად“ მსელელობას „კლასების მოსპობასა და კომუნიზმისაკენ“ და „დათმობაში“ არ ხედავდა უ კ ა ნ დ ა ხ ე ვ ა ს, მით უმეტეს, მიმდინარე პერიოდში — სოციალიზმის გაშმაგებულ მშენებლობის თანამედროვე საფეხურზე — ოცნება და უაზრობაა, სამარცხვინო კაპიტულიანტობაა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, კულაკურ-ნეპმანურ ელემენტებისათვის გზის გაფართოე-

---

[1]) ტ. XVII, გვ. ხაზი ჩვენია.

ბაზე წერა და ლაპარაკი. ეს არ არის მოწინავე პროლეტა-რიატის ხაზი, არ არის სოციალიზმისაკენ მიმავალი გზა. ამ გზით შეუძლებელია საზოგადოებრივ კლასების მოსპობისათვის ნაყოფიერი ბრძოლა. პირიქით, ეს კლასიურ ომის უფრო გაჩაღებაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს ომი „დღეს" შეიძლება ცოტა მიწყნარდეს, რათა ხვალ უფრო ფართოდ გაჩაღდეს. უდიდესი ქარიშხალის წინ ყოველთვისაა გრილი ნიავი მოსალოდნელი...

პროლეტარიატის განსაზღვრული ნაწილის მერყეობა და ქანაობა შემთხვევითი არ არის. ამ მერყეობას აქვს თავისი სოციალური ნიადაგი. მართლაცდა, წვრილბურჟუაზიულ-გლეხური „იდეოლოგია იკრება პროლეტარიატსა და მუშათა კლასში. ჩინური კედელი არ აცალკევებს პროლეტარიატს დანარჩენ კლასებისაგან" — შენიშნავს ლ ე ნ ი ნ ი [1]). ეს განსაკუთრებით ითქმის საბჭოთა პროლეტარიატზე. საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ გლეხური ქვეყანაა. პროლეტარიატის რიგებში უხვად მოდის „ადამიანი სოფლიდან". ინდუსტრიალიზაციის ჩქარი განვითარება მოითხოვს მუშა ხელის ახალ და ახალ რაოდენობას. ახალი კადრები გლეხურ ელემენტებით ივსება უმთავრესად. ამ ელემენტს კი მუდამ ჰკიდია ზურგზე წვრილბურჟუაზიული ფსიხოლოგია, მას მოაქვს გლეხური იდეოლოგია.

საქონლის წვრილი მწარმოებლები „პროლეტარიატს ახვევენ წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიაში, ამ სტიქიით ეღენთავენ მას, ამით ხრწნიან მას, გამუდმებით იწვევენ პროლეტარიატის რიგებში წვრილბურჟუაზიულ უხასიათობას, გაფანტულობას, ინდივიდუალიზმის, გატაცებიდან

---

[1]) ტ. XIII, გვ. 322.

დაღონებაზე გადასვლის რეციდივებს" [1]) ხოლო ყოველი, ვე ეს ელექტრო-ჩქერის სისწრაფით გადადის თვით პროლეტარიატის პარტიის რიგებში. აქაც იწყება „წვრილბურჟუაზიული უხასიათობა" და „გატაცებიდან დაღონებაზე გადასვლის რეციდივები". სამეურნეო სიძნელეები აფრთხობს პროლეტარულ პარტიის მერყეე ელემენტებს და სოციალიზმის გამარჯვების პერსპექტივას უკარგავს მათ. „ჩ ვ ე ნ ვ ი ბ რ ძ ვ ი თ კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს მ ო ს პ ო ბ ი ს ა დ ა კ ო მ უ ნ ი ზ მ ი ს გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს — ამბობს ლენინი. — ჩ ვ ე ნ ი გ ზ ა ძ ა ლ ი ა ნ ძ ნ ე ლ ი ა დ ა ა მ გ ზ ა ზ ე ა რ ი ს ბ ე ვ რ ი დ ა ღ ა ლ უ ლ ი დ ა ი მ ე დ დ ა კ ა რ გ უ ლ ი" [2]). საქონლის წვრილ მწარმოებლების გარემოცვის პირობებში ძნელ გზაზე დაღალვა მოულოდნელი არ არის და არც დაღალულთა იმედ დაკარგულობაა გასაკვირი. ამ მოვლენას აქვს ღრმა სოციალური ფესვები. ცხადია, ამდენადვე საშიშია ეს მოვლენა, ამდენად უფრო რეალური და სერიოზული.

---

[1]) ტ. XVII, გვ. 136.

როგორც ვიცით. „წვრილბურჟუაზიულ უხასიათობისა" და „დაღონებაზე გადასვლის რეციდივებმა" ყველაზე ადრე თავი იჩინა მოსკოვის ორგანიზაციის ერთ ნაწილში, მემარჯვენე გადახრის სახით. ბევრისათვის ეს გაუგებარია: მოსკოვის ორგანიზაცია მოწინავეა და როგორ იჩინა იქ თავი „რეციდივებმა" — კითხულობენ გაკვირვებით. აი დავუგდოთ ყური ლენინს. რას სწერდა ის თავის ცნობილ წერილში „Кризис назрел": „მოსკოვი რომ პიტერზე უფრო წვრილბურჟუაზიულია — ეს საზოგადოთ ცნობილია. მოსკოვის პროლეტარიატს რომ გაცილებით მეტი კავშირი აქვს სოფელთან, მეტად ახასიათებს სოფლის სიმპატიები, სოფლის გლეხურ განწყობილებებთან დაახლოება — ეს ფაქტია, მრავალჯერ დამტკიცებული და უდაო" (Ленин. ტ. XIV, ნაწ. 2. გვ. 264).

[2]) ტ. XVIII, ნაწ. I, გვ. 271. ხაზი ჩვენია.

ცნობილი მოაზროვნე პასკალი შენიშნავდა სოლ-
ე: სასიამოვნოა იალქნიან ნავში
ჯდომა ქარიშხალის დროს, როცა დარ-
წმუნებული ხარ, რომ არ დაიღუპები.
რასაკვირველია, ამ სიტყვებში არის ვადაქარბება, მა-
გრამ არის სიმართლეც: ქარიშხალში ნავში ჯდომა ჯართ-
ლაც „სასიამოვნოა", თუ ნამდვილად იცი, ნაპირს გახვალ
უეჭველად. მაგრამ თუ არ ხარ დარწმუნებული, რომ არ
დაიღუპები, თუ „იმედ დაკარგული", „დალალული" ხარ
ტალღებთან ბრძოლაში, მით უმეტეს, თუ დარწმუნებული
ხარ აუცილებელ დაღუპვაში. ცხადია, შენი ბედიც განწი-
ულია სამუდამოთ.

კლასთა ბრძოლის და სოციალიზმის მშენებლობის სი-
ძნელეთა ტალღები ზვირთებად ეხეთქება პროლეტარიატის
დიქტატურის გემს. ამ ბრძოლაში პროლეტარიატი იმარ-
ჯვებს და გაიმარჯვებს კიდეც საბოლოოდ, იმიტომაც,
რომ ის დარწმუნებულია, უეჭველ-
ად გაიმარჯვებს. ბრძოლაში დაღალვა, იმე-
დის დაკარგვა დამარცხების აუცილებელი საწინდარია.
მხოლოდ „საჭიროა პროლეტარიატის პარ-
ტიის რიგების სასტიკი ცენტრალიზა-
ცია დადისციპლინა, რათა პროლეტარია-
ტის ორგანიზაციული როლი (და ეს კი
მისი მთავარი როლია) შენარჩუნებულ
იქნეს სწორათ, წარმატებით და ძლევა-
მოსილათ". უნდა გავიჟღენთოთ, ძვალ-რბილში გაგ-
ვიჯდეს ლენინის ეს გენიალური სიტყვები და, მიუხედა-
ვად იმისა, რომ „ჩვენი გზა ძალიან ძნელია", საბოლოო გა-
მარჯვება უზრუნველყოფილი არის და იქნება...

შ ი ნ ა ა რ ს ი

		გვერდი
	წინასიტყვა	5 — 7
I.	კლასთა ბრძოლა ეიმდინარე პერიოდში	11 — 21
II.	პროლეტარიატის დიქტატურა და საზოგადოებრივი კლასები	22 — 57
III.	კლასთა ბრძოლა და წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია	58 — 79
IV.	კლასთა ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში	80 — 92
V.	ადამიანი სოფლიდან და პროლეტარიატის დიქტატურა	93 — 114
VI.	კლასთა ბრძოლის სამი ფრონტი და პროლეტარიატის კლასიური პოლიტიკა	115 — 138
VII.	სოციალიზმის საფუძვლები და პერსპექტივები	139 — 166